ინვენტარი №
სარეგ. №

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2001 წლის მეორე ნახევარი

07-12 2001

დაიბეჭდა ბაერის განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით

UNDP

74 ეროვ.

1

საქართველოს სახალხო დამცველის

ანგარიში

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2001 წლის მეორე ნახევარი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 4
თავი I. საქართველოში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზოგადი მდგომარეობა 6
თავი II. უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების იმპლემენტაცია საქართველოში 15
თავი III. სოციალური და ეკონომიკური უფლებები; უკიდურესი სიღარიბე და ადამიანის უფლებები 21
"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" 1998 წლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნაზე არასათანადო რეაგირების შესახებ 24
საგადასახადო უწყებაში არსებული პრობლემების შესახებ 26
გარე მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემა 30
ჯანმრთელობის უფლება 36
თავი IV. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 37
სინდისის თავისუფლება და რელიგიური ექსტრემიზმი 37
მდგომარეობა სამხედრო ძალებში 43
დეზერტირობა 44
მკვლელობები და თვითმკვლელობები შეიარაღებულ ძალებში 46
სამხედრო პროკურატურა 48
კოდორის ხეობა 49
პანკისი 51
სახალხო დამცველის აპარატის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი 53
2001 წლის ოქტომბრის მოვლენები 56
თავი V. სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის მიერ განხილული კონკრეტული საქმეები 58
სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დაშვებული დარღვევებისა და დანაშაულის შესახებ 58
ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ თანამშრომელთა ხონის დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კონტინგენტის კანონის დარღვევით გადაყვანის შესახებ 71
განათლების სისტემაში დასაქმებულ პედაგოგთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ 72

თავი VI. პენიტენციალურ სისტემაში არსებული
მდგომარეობის შესახებ 78
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ურთიერთ-
შეუსაბამო მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე,
საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის შესახებ 87
ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის აღძვრაზე
უარის თქმის შესახებ კანონსაწინააღმდეგო
გადაწყვეტილებები (პროკურატურის ორგანოები) 90
ცემისა და წამების შესახებ 92
ეჭვმიტანილისა და მისი ინტერესების დამცველის
ცემის შესახებ 95
სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე სასამართლო
ორგანოების არასათანადო რეაგირების შესახებ 102
მოსამართლეთა და სასამართლო შემადგენლობების
მიერ სხვადასხვა სახის სიყალბეების ჩადენის გზით
მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებული უფლებების
შელახვის შესახებ 108
სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების
პროცესში წარმოშობილი პრობლემები 112
სასამართლო განხილვის გაჭიანურების შესახებ 113
კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევითა და
სხეულის დაზიანებებით საპყრობილეებში პატიმართა
მოთავსების შესახებ 115
არასრულწლოვანი პირებით ვაჭრობის შესახებ 119
სტრონციუმის გაუვნებელყოფის ღონისძიებათა
გაუტარებლობის შედეგად, სხეულის მძიმე დაზიანებათა
მიღების შესახებ 120
თავი VII. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 126
სტრატეგიის დეპარტამენტი 126
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
სტრატეგიის დეპარტამენტის ბავშვის უფლებათა
ცენტრის მიერ გაწეული სამუშაო 128
სწრაფი რეაგირების ჯგუფი 131
თავი VIII. ურთიერთობა საერთაშორისო
ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან 137
თავი IX. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის წინაშე
მდგარი პრობლემები 145
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
საქმიანობის 2001 წლის II ნახევრის სტატისტიკური
მონაცემები 148

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის მორიგ მოხსენებას საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ, რომელიც მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოხსენება მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2001 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. მიუხედავად ამისა, გარკვეული მიზეზების გამო, აქ მოტანილი მასალები შეიცავს უფრო ადრინდელ პერიოდსაც. განსაკუთრებით ეს ეხება მოხსენების ზოგად ნაწილს, რათა უფრო თვალნათლივ გამოჩნდეს 2001 წლის განმავლობაში დაფიქსირებული ტენდენციები, რომლებიც გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის მხრივ, მით უმეტეს, რომ სწორედ წლის ბოლოს ხდება მონაცემების შეჯამება.

მოხსენების მომზადებისას გამოყენებულია სხვადასხვა მასალები, კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში შემოსული მომართვები და საჩივრები, სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოპოვებული ინფორმაცია, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო მოხსენებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტების რეკომენდაციათა დაცვის თაობაზე. საქმეები, რომლებიც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის განსაკუთრებით მძიმე და აღმაშფოთებელ ფაქტებს ეხება, დაწვრილებით არის მოყვანილი.

მოხსენება შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზოგადი მდგომარეობა, სოციალური და ეკონომიკური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა, უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის იმპლემენტაცია, სახალხო დამცველის საერთაშორისო ურთიერთობები და სახალხო დამცველისა და მისი აპარატის წინაშე მდგარი პრობლემები.

სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიშში არ მოხვდა ისეთი კონკრეტული საქმეების უმრავლესობა, რომლებიც ბოლომდე მიყვანილი არ არის და მიმდინარეობს საქმის შესწავლა და მოკვლევა. წინა მოხსენებების მსგავსად, კვლავაც ვაპირებ მაქსიმალური ყურადღება დავუთმო ადამიანის უფლებათა დაცვის დინამიკას წამების, არაადამიანური მოპყრობის, უკანონო დაკავე-

ბის, თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და ასევე შრომითი უფლებების საკითხებში. ყველა ეს პრობლემა მეტად მტკივნეულია საქართველოში და საჭიროებს სისტემატურ კონტროლს. აქ ვგულისხმობ ომბუდსმენისა და ხელისუფლების ერთობლივ კოორდინაციას გამოაშკარავებულ ფაქტებზე უსწრაფესი რეაგირების მოხდენის მიზნით.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მოცემულ მოხსენებაში, სავსებით შეგნებულად, ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, პრობლემებზე და წინააღმდეგობებზე და თითქმის არაფერია ნათქვამი დადებითი ტენდენციების შესახებ. საქმე ის არის, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, პირველ რიგში, უნდა გამოსწორდეს ნაკლოვანებები (რისთვისაც ისინი მაქსიმალურად თვალსაჩინო გავხადე).

მადლობის სიტყვებით მივმართავ გაეროს განვითარების პროგრამის ოფისს საქართველოში, რომლის აქტიური მხარდაჭერით მოხერხდა სახალხო დამცველის წინამდებარე და სხვა მოხსენებების მომზადება.

თავი I. საქართველოში ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ზოგადი მდგომარეობა

"რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის".

ი. ჭავჭავაძე

ჩემი მოხსენების დასაწყისში მოყვანილი დიდი ილიას სიტყვების სამართლიანობას და სისწორეს სრულად ასახავს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი აშკარა და დაუფარავ სახეს იღებს. ქვეყნის ბიუჯეტის სისტემატური შეუსრულებლობა, დაკარგული ტერიტორიები, უმუშევრობა, კანონის მოთხოვნების სისტემატური შეუსრულებლობა, სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოხელეთა თავნებობა და თავგასულობა, დაუსჯელობის სინდრომი, ცხოვრების უპერსპექტივობა – აი, მცირე ჩამონათვალი, რაც ადამიანების ყოფას ამ ქვეყანაში გაუსაძლისს ხდის. ამ სიტყვების უტყუარი დადასტურებაა საქართველოს მოსახლეობის კატასტროფული კლება. თუ 1991 წელს იგი შეადგენდა 5 მილიონ 464 ათასს, 2001 წელს შეადგენს 4 მილიონ 452 ათასს. ხალხის ასეთი მასობრივი კლება (ერთ მილიონ ადამიანზე მეტი), თანაც დროის ასე მცირე მონაკვეთში, საქართველოს ისტორიისთვის უპრეცენდენტო შემთხვევაა. ხალხის პასიური, მაგრამ ასეთი მასობრივი პროტესტის ფორმა შედეგია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (შემდგომში "დეკლარაციის") 23-ე მუხლის მესამე პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (შემდგომში "პაქტის") მე-6 და მე-7 მუხლების იგნორირებისა. დეკლარაციის 23-ე მუხლის მესამე პუნქტი აცხადებს: "ყოველ მაშვრალს უფლება აქვს მიიღოს სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი ჯილდო, რომელიც უზრუნველყოფს მისი და მისი ოჯახისათვის ადამიანისათვის საკადრის არსებობას და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, დაემატება სოციალური უზრუნველყოფის სხვა საშუალებები", ხოლო პაქტის მე-7 მუხლის

a) პუნქტის მეორე ქვეპუნქტი კი შემდეგს ადგენს: "წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც, კერძოდ, გულისხმობს: ანაზღაურებას, რომელიც მშრომელს უზრუნველყოფს, სულ მცირე, მას და მის ოჯახს ღირსეული არსებობის შესაძლებლობით, ამ პაქტის დებულებათა შესაბამისად". დეკლარაციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი აცხადებს: "ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის; ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურებისა თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისთვის სხვა საშუალების დაკარგვის შემთხვევაში". როგორ "სამართლიან და დამაკმაყოფილებელ" ანაზღაურებაზეა საუბარი, როდესაც ქვეყანაში 1999 წლის მონაცემებით, საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 67,5 ლარს, ან რა უფლებრივი გარანტია გააჩნია ადამიანს "უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურებისა თუ, მისგან დამოუკიდებლად არსებობისთვის სხვა საშუალების დაკარგვის შემთხვევაში", ცხადად ჩანს პენსიონრებისათვის დანიშნული 14-ლარიანი საპენსიო განაკვეთიდან, რომელიც დროულად ყველას არც ეძლევა. არადა, 2001 წლის მონაცემებით, საქართველოში მილიონამდე პენსიონერია. ეს ხალხი, რომ არა მათი ახლობლების დახმარება, სახელმწიფოს მხრიდან განწირულია შიმშილისა და დაღუპვისათვის. და რამდენია, რომელთაც ასეთები, უბრალოდ, არა ჰყავთ. ცხოვრების უპერსპექტივობის დამადასტურებელია ქვეყანაში მოზარდი თაობის რაოდენობის შემცირება. მაგ. 1989 წელს საქართველოში 9 წლამდე ასაკის 910 ათასამდე ბავშვი იყო, 2001 წელს ქვეყნის 9 წლამდე ასაკის მოსახლეობა შემცირდა 601 ათასამდე. ამავე დროს აშკარაა ერის "დაბერების" პროცესი. ასე, მაგალითად, 1989 წელს 60 წელს ზევით ასაკის 775,4 ათასი ადამიანი იყო, ხოლო შარშან ამ რიცხვმა 951 ათასს მიაღწია.

თვალსაჩინოა მოსახლეობის მასობრივი სიღარიბე, რაც საფუძველია ქვეყანაში ყოველგვარი მანკიერებისა და დამნაშავეობისა. პაქტის მე-11 მუხლის თანახმად, "მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი

კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდნენ ცხოვრების პირობებს... ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას – არ განიცდიდეს შიმშილს". ძნელია არ დაეთანხმო ამ სიტყვებს, მაგრამ როგორ იარსებოს უმუშევარმა შემწეობის ამარა, როდესაც ეს თანხა 1999 წლის მონაცემებით თვეში 10,3 ლარს შეადგენდა, რითაც დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლი. ქვეყანაში მომუშავე ადამიანების მდგომარეობაც არ არის დალხენილი. თუ 1990 წელს საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 214 ლარს, 1999 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 67,5 ლარს. მშრომელთა მთელ რიგ კატეგორიებს საშუალოზე ნაკლები ხელფასი აქვთ. მაგალითად, საშუალო თვიური ხელფასის მხოლოდ 65%-ს იღებენ განათლების მუშაკები, 52%-ს ჯანდაცვაში, სპორტში და სოცუზრუნველყოფაში მომუშავეები, კულტურის დარგში დასაქმებულებს საშუალო თვიური ხელფასის მხოლოდ 74% აქვთ. განა შიმშილისთვის არ არის განწირული ექიმი, პედაგოგი ან ხელოვანი, რომელსაც 35-50 ლარის შემოსავალი აქვს? შრომის ასეთი დაბალი ანაზღაურებით ირღვევა კონსტიტუციის 30-ე მუხლი.

საკუთარი მოქალაქეების ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება უდიდესი დანაშაულია. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში, რაც ერთხელ კიდევ დადასტურდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ, საქართველოს მხარდაჭერის მიზნით, სამხედრო თანამშრომლობის ახალი პროგრამის დამტკიცებით. საჭიროდ მიმაჩნია, რომ ქვეყნის პარლამენტმა და პრეზიდენტმა კრიტიკულად უნდა გადახედონ ეკონომიკის განვითარების პროგრამებს, რათა ისინი შეცვალონ ახალი და უფრო სიცოცხლისუნარიანი გეგმებით. ამავე დროს, საჭიროა დაისვას იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო დონეზე წლების განმავლობაში, პასუხისმგებელნი არიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, რადგან არსებული პერსონალიები, უბრალოდ, მზად არ არიან ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ეს უკვე დროით არის დადასტურებული.

ადამიანების ღირსეული ცხოვრების მასობრივი უგულებელყოფის შედეგია საქართველოში ქორწინებებისა და შობადობის მკვეთრი შემცირება. ეს პრობლემა მაწუხებს როგორც ქართველს, როგორც მოქალაქეს და როგორც დედას. ერის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა არ შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე პუნქტი, სადაც

გაცხადებულია, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას და, ევროპის სოციალური ქარტიის მე-16 მუხლი, რომელიც აცხადებს: "საზოგადოების ძირითადი უჯრედის, ოჯახის სრული განვითარების უზრუნველყოფისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ ითანამშრომლონ ოჯახური ცხოვრების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური დაცვის საქმეში ისეთი საშუალებებით, როგორიცაა სოციალური და ოჯახური დახმარება, საგადასახადო შეღავათები, ოჯახის უზრუნველყოფა , ბინით, დახმარება ახალშეუღლებულთათვის და სხვა საშუალებებით". როგორი დახმარებაა სახელმწიფოს მხრიდან ოჯახისათვის და ახალდაქორწინებულთათვის, კარგად ჩანს სტატისტიკიდან. თუ 1980 წელს საქართველოში 50,5 ათასი ქორწინება იყო, 2000 წელს დაფიქსირდა მხოლოდ 12,9 ათასი ახალი ოჯახის შექმნა; თუ საქართველო 1991 წლამდე საკმაოდ მადალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა (1000 კაცზე 8-9), 2000 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უარყოფითი გახდა (1000 კაცზე –0.2). ე.ი. საქართველოში უფრო მეტი კვდება, ვიდრე იბადება. ეს მაჩვენებლები (ოჯახების შექმნისა და შობადობის) კატასტროფულად მცირდება და არავითარი ტენდენცია არ არსებობს მისი გაუმჯობესებისა. დღეს ჩვენ თუ არ ავტეხეთ განგაში და სასწრაფოდ არ მივიღეთ კონკრეტული ზომები, ვეჭვობ, ახლო მომავალში არჩევნებში იმდენი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას, რამდენი ასარჩევი თანამდებობაც იქნება საქართველოში. ოჯახების დაუცველობა, ოჯახებში არსებული კონფლიქტები საფუძველია მთელი რიგი დანაშაულებისა. 2001 წელს ოჯახური კონფლიქტისა და მეზობლური დავების ნიადაგზე ჩადენილ იქნა 21 სისხლის სამართლის დანაშაული (რაც დაფიქსირდა). აქედან 3 მკვლელობაა, მაგრამ ვინ მოთვლის იმ ათასობით ბავშვს, რომლებსაც ოჯახური პრობლემების შედეგად დაუმახინჯდათ ფსიქიკა და საზოგადოების არასრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბდნენ? ამავე დროს, საქართველოს შსს-ს მიერ გადმოცემული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ოჯახური კონფლიქტების "ძირითადი გამომწვევი მიზეზია დღეისათვის არსებული მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. ხშირად სასამართლოები იძულებულნი არიან, მწვავე ოჯახური კონფლიქტის გამო, განქორწინებული მეუღლეები ან გაყრილი ოჯახის წევრები ჩაასახლონ ერთსა და იმავე ბინაში, რაც შემდეგში უამრავ პრობლემას ქმნის და ხშირად სავალალო შედეგით სრულდება".

არ შეიძლება არ გამოვხატო გაკვირვება ცხოვრების

ყოველწლიური გაძვირების გამო. გასაგებია, რომ ბიუჯეტის ყბადაღებული შეუსრულებლობა საშუალებას არ იძლევა განხორციელდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი ღონისძიებები, მაგრამ სხვადასხვა მომსახურების ღირებულების შემცირება, თუ არა გაყინვა, მაინც ხომ შესაძლებელია. არ ხდება გადასახადებისა და მოსაკრებლების რეალურ ფასებთან შეჯერება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ უწყებები ერთმანეთს ეჯიბრებიან სატარიფო განაკვეთების გაზრდაში. დროა, რეალურად ჩავიხედოთ ჩვენი მოქალაქეების პირად ბიუჯეტში და ვიზრუნოთ მათთვის ნებისმიერი თეთრის დასაზოგად.

ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს უქმნის დამნაშავეობას. 1995-1999 წ.წ. რეგისტრირებული იყო 4122-დან 5174-მდე მძიმე დანაშაული, ხოლო 2000–2001 წ.წ. შესაბამისად, 8317 და 8601. აშკარაა წინა წლებთან მძიმე დანაშაულის 50%-იანი და მეტის ზრდის ტენდენცია და თანაც მას სტაბილური სახე ეძლევა. სამწუხაროდ, ვეჭვობ, ქვეყანაში არსებულმა ფონმა კიდევ არ გაზარდოს ამ კატეგორიის დანაშაულებათა რიცხვი. შემაშფოთებელია განზრახ მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების მაჩვენებელი. 2001 წელს დაფიქსირდა 430 ერთეული. სამწუხაროდ, ეს ციფრი წინა წლებშიც ასეთივე მაღალი იყო. შემაშფოთებელი კიდევ ის არის, რომ მარტო შარშან 70 ასეთი საქმე გაუხსნელი დარჩა. ასევე დამაფიქრებელია 2001 წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა – 558 ადამიანი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ავღანეთში უკანასკნელი ოპერაციის დროს საერთაშორისო ძალებმა ფანატიკოს თალიბებთან ბრძოლაში სულ რამდენიმე ათეული კაცი დაკარგეს, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულ პირთა რაოდენობა კატასტროფულია. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს საგზაო ინსპექციისა და საავტომობილო გზების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების არასათანადო შესრულებაზე. სიკვდილიანობის ასეთი მაღალი ციფრი, რომელიც არ წარმოადგენს ბოლო პერიოდში გამონაკლისს, საგანგაშოა. მესმის, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსება არ არის სრულფასოვანი, ამიტომ, შემომაქვს წინადადება, რადგან ავტოინსპექციის მუშაკები ასე არასათანადოდ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, მოხდეს მათი დაფინანსების მნიშვნელოვანი შემცირება, შესაბამისად, შტატების შემცირების ხარჯზე, ხოლო გამოთავისუფლებული სახსრების ნაწილი მოხმარდეს თვით ავტოინსპექციის რეფორმას და გადაიარაღებას. ამით მნიშვნელოვნად შემცირდება კორუფციის ერთ-ერთი

ებადაღებული წყარო.

რადგან შევეხე კორუფციის საკითხს, არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ამ სენის დამარცხების არავითარი ნიშანწყალი არ შეინიშნება. არადა, სახელმწიფო მოხელეების დაბალხელფასიანი ათეულათასიანი არმია ქვეყნის გაღატაკებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწევს როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. გაურკვეველი ტარიფები, მომსახურების ხელოვნური გაჭიანურება, დაბალი საშემსრულებლო დისციპლინა ნოყიერი ნიადაგია კორუფციისათვის, ხოლო როგორ ეფექტიანად ებრძვიან ამ სენს საქართველოში, შესანიშნავად ჩანს სტატისტიკიდან. 2001 წელს აღირიცხა მექრთამეობის 22 საქმე. გაკვირვებას იწვევს ეს ციფრი. მესმის, რომ ამ კატეგორიის საქმეების გამოძიება სპეციფიკური და რთულია, მაგრამ 22-ჯერ ქრთამს, ალბათ, დღეში იღებს ზემოხსნებული ავტოინსპექციის ზოგიერთი თანამშრომელი. მექრთამეობის ფაქტებზე აღძრული საქმეების ასეთი დაბალ მაჩვენებელს რამდენიმე მიზეზი აქვს: სამართალდამცველების ცუდი მუშაობა, ხალხის ფართო მასებისთვის ქრთამის ცხოვრების წესად გადაქცევა და სამართლებრივი ნიჰილიზმი. შარშან, მარტო სხვადასხვა ჟურნალისტური გამოძიებით, უფრო მეტი მექრთამეობის შემთხვევა იქნა გამოვლენილი და გახმაურებული. ხომ არ არის იმის საჭიროება, რომ სამართალდამცველი სტრუქტურების მუშაკები სტაჟიორებად მივავლინოთ სხვადასხვა რედაქციებში? რა თქმა უნდა, ქვეყანაში რაც უფრო მეტი მდიდარი ადამიანი იქნება, ეს მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ სახელმწიფო მოხელეების მიერ სასახლეების მშენებლობა, ძვირადღირებული მანქანების შეძენა და სხვა ფუფუნების საგნების მოხვეჭა ფართო მასების გაღატაკების ფონზე, ნამდვილად დასაგმობი და აღმაშფოთებელი ფაქტია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ მორალისა და ელემენტარული წესიერების გარეშე გამორიცხულია სრულფასოვანი საზოგადოების შექმნა.

სწორედ კორუფციის პრობლემასთან არის დაკავშირებული კონსტიტუციის 37-ე მუხლის მეოთხე პუნქტის უხეში და სისტემატური დარღვევა. უკვე მრავალი წელია ვლაპარაკობთ საქართველოში ხე-ტყის უკანონო ჭრაზე. ჩვენ ისეთი ფართო მასშტაბებით ვანადგურებთ ტყის მასივებს, რომ ახლო მომავალში საქართველოს ბუნების სილამაზე ისეთივე მოგონებად გადაიქცევა, როგორც გადავაქციეთ წარსულის ტკბილ მოგონებად ერთ დროს ქართველების შეძლებული ცხოვრება. ესეც ნარკოტიკები ხომ არ არის, ჩუმად რომ გაატარო საქართველოს გზებზე და გადაიტანო

სახელმწიფო საზღვარზე. ანდა, განა ხელისუფლების სრულ უსუსურობაზე და უნიათობაზე არ მეტყველებს თბილისის გარშემო მრავალი თაობის მიერ ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივების გაკაფვა სააგარაკე სასახლეების ასაშენებლად? რა მორალური უფლება აქვთ ამ ადამიანებს ეკავოთ ნებისმიერი დონის თანამდებობა, როდესაც მათ იმდენი შეგნებაც არ გააჩნიათ, რომ ამით საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს წირავენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ გარემოში საცხოვრებლად. როგორ შეიძლება ასეთი აზროვნებისა და მორალის ხალხს ვანდოთ ქვეყნის აღმშენებლობა?

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების ვადის გადატანა არსებით ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა უფლებაზე – თავისუფალი არჩევნების გზით შეცვალოს არსებული ხელისუფლება. არჩევნების გაუქმებასთან შედარებით აღნიშნული მოქმედება რაიმე უპირატესობის, ან შედავათის მქონედ ვერ იქნება წარმოდგენილი, რადგან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, არჩევნების სამართლიანობის ერთ-ერთ კრიტერიუმად აღიარებულია მისი ჩატარების მკაფიოდ განსაზღვრული პერიოდულობა. შესაბამისად, ამგვარი ნაბიჯის გადადგმა იმ ხელისუფლების მხრიდან, რომელსაც დემოკრატიულობაზე პრეტენზია გააჩნია, უკიდურესად არასასურველად შეიძლება შეფასდეს.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე ჩემს მიერ, 10.08.2001 წელს №190/01–2, შეტანილ იქნა შესაბამისი ხასიათის რეკომენდაცია:

„როგორც თქვენთვის ცნობილია, 2001 წლის შემოდგომაზე საქართველოში უნდა ჩატარდეს მორიგი არჩევნები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. აღნიშნული არჩევნების ჩატარების წესი მოწესრიგებულია კანონით „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ". ამ კანონის 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად (თავი „გარდამავალი დებულებები"), „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების <u>პირველ</u> (ხაზგასმა ჩვენია) არჩევნებში არ მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული – დევნილი ამომრჩეველები". ამგვარად, არსებითად შეიზღუდა საქართველოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის საარჩევნო უფლებები.

შეგახსენებთ, რომ 2000 წლის ივნისში მოქალაქეთა ჯგუფმა შეიტანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც სადაოდ ხდის „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნების შესახებ“ კანონის 36–ე მუხლის მე–2 პუნქტის დებულებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (2000 წლის 21 დეკემბერი) შეწყვიტა წარმოება ამ საქმეზე, მიუთითა რა, რომ „კანონის გარდამავალი დებულებების 36–ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში კონკრეტულად ლაპარაკია მხოლოდ 1998 წლის 15 ნოემბრის საქართველოში ჩატარებული (...) საკრებულოების პირველ არჩევნებზე და არა მომავალში ჩასატარებელ (...) საკრებულოების არჩევნებზე“ და შემდეგ: „საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი შემოსულია (...) საკრებულოების არჩევნების ჩატარებიდან 10 დღის შემდეგ, როდესაც სადაო ნორმატიული აქტი, ფაქტიურად, უკვე ძალადაკარგული იყო“ (ხაზგასმა ჩვენია).

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს ერთგვარ სამართლებრივ ვაკუუმთან, როდესაც გაუგებარია, აქვთ თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება, მიიღონ მონაწილეობა მომავალ ადგილობრივ არჩევნებში. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, „საქართველოს კონსტიტუციის მე–2 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივ პირობებში ჩასატარებელ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებას (შენიშვნა: შეცდომაა – საუბარი უნდა იყოს კონსტიტუციის 28–ე მუხლის შესახებ), არ შეიძლება თანაბრად მოქმედებდეს არაორდინალური ვითარების დროს“... (?) და შემდეგ: „(საკონსტიტუციო სასამართლო) თვლის, რომ (...) კანონი უფლებამოსილი იყო, იმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის განსხვავებული წესი დაედგინა საცხოვრებელი ადგილიდან მათი მოწყვეტის გამო“ (.).

ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში ადგილი აქვს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის საარჩევნო უფლებების დარღვევას და დისკრიმინაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამით ირღვევა არა მხოლოდ კონსტიტუციის 28–ე მუხლი, არამედ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის 25–ე მუხლის ა და ბ პუნქტები (სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის და არჩევნებში მონაწილეობის უფლება) და მე–2 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე–14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა კონვენციის მიერ აღიარებულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში) და ამავე კონვენციის მე–12 ოქმი (დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა). ევროპის კონვენციის ანტიდისკრიმინაციულ დებულებებთან მიმართებაში მიმაჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა მხრიდან სარჩელის შეტანის შემთხვევაში, საქმე

შეიძლება განვითარდეს ქვეყნისათვის საკმაოდ არასასურველი მიმართულებით.

აღნიშნული საკითხის კონტექსტში მიზანშეწონილად მიმაჩნია აღვნიშნო აგრეთვე, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საარჩევნო უფლებების გარშემო შექმნილი მდგომარეობა სრულ შეუსაბამობაშია გაეროს „თანასწორობის ძირითად პრინციპებთან", რომელთა თანახმად:

- „იძულებით გადაადგილებული პირები სარგებლობენ თანასწორობის საფუძველზე იგივე უფლებებითა და თავისუფლებებით, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რითაც მათ ქვეყანაში მცხოვრები სხვა პირები" (პრინციპი 1.1.);

- „იძულებით გადაადგილებული პირები (...) არ ექვემდებარებიან დისკრიმინაციას მათი გადაადგილების გამო და თანაბრად სარგებლობენ შემდეგ უფლებებით: (...) ხმის მიცემისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებით. მათ, კერძოდ, უნდა მიეცეთ საშუალება ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რომელიც აუცილებელია ამ უფლების განსახორციელებლად" (პრინციპი 22.1d).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შემდეგი რეკომენდაციით: საარჩევნო კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნას იძულებით გადაადგილებულ პირთა კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული საარჩევნო უფლებები და ამ პირებს კანონით მიენიჭოთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებში".

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით, დევნილ მოსახლეობას დაუბრუნდა მისი კანონიერი უფლება – მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, რაც ნამდვილად შეიძლება განხილულ იქნას, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი.

კონსტიტუციის გარდა იმიტომ მომყავს საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები, რომ ჩვენ მათთან მიერთებით ავიღეთ გარკვეული ვალდებულებები საერთაშორისო თანამეგობრობისა და, უპირველესად, საკუთარი ხალხის წინაშე. ნებისმიერ ვალდებულებას უცილობლად მოჰყვება შესრულებაზე მოთხოვნა და ვშიშობ, რომ ჩვენს მიერ ასეთი რიხით გაცხადებული მოვალეობების იგნორირება და შეუსრულებლობა ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდება.

და ბოლოს, ჩვენს ერს, რომელსაც სამათასწლიანი სახელმწიფოებრივი ისტორია აქვს, უფლება არ აქვს, როგორც პრეზიდენტმა მათ უწოდა, ზოგიერთების უნამუსობით და დაუდევრობით, მავანს და მავანს ვათქმევინოთ, რომ ქართველებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად ქვეყნის აღმშენებლობა და ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

თავი II. უნივერსალურ და რეგიონულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების იმპლემენტაცია საქართველოში

ტრადიციულად, ადამიანის უფლებათა დაცვა სახელმწიფოს შიდა კომპეტენციას განეკუთვნებოდა. საერთაშორისო რეგულირების საგანი არ იყო ადამიანის უფლებათა დაცვა. სახელმწიფოს შეეძლო იმგვარად მოპყრობოდა თავის მოქალაქეებს, როგორც ამას იგი მიზანშეწონილად თვლიდა. შესაბამისად, სხვა სახელმწიფოებს არ ჰქონდათ უფლება იმ სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევისა, რომელიც არღვევდა მოქალაქეთა უფლებას.

გაეროს წესდებამ, რომელიც მიღებულ იქნა 1945 წელს, გარდატეხა შეიტანა ადამიანის უფლებათა დაცვაში. მან მოახდინა ადამიანის უფლებების "ინტერნაციონალიზაცია" და მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ უფლებათა საერთაშორისო სისტემის განვითარებას. ძირითადი მიზეზი, რომელმაც განაპირობა გაეროს წესდებაში ადამიანის უფლებათა დებულებების გათვალისწინება, იყო ნაცისტური გერმანიის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების მასობრივი შემთხვევები. ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. სწორედ ამის გამო, 10 დეკემბერი აღიარეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღედ.

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია მიღებულია 1950 წელს, ძალაში შევიდა 1953 წელს, დაფუძნდა საყოველთაო დეკლარაციაზე.

ევროპის კონვენციით შექმნილი მექანიზმი ითვლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის ყველაზე ეფექტიან სისტემად. იგი არა მხოლოდ ინდივიდთა უფლებებს იცავს, არამედ ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს.

საქართველო, მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად, დაადგა დემოკრატიული საზოგადოების შენების გზას. ჩვენი მიზანია ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაეფუძნება კანონის უზენაესობის პრინციპს და რომელშიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და წახალისება უმთავრესი პრიორიტეტი იქნება. ამ თვალსაზრისით ჩვენ ძალიან გვჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომა და მხარდაჭერა. პირველი ნაბიჯები

ამ რთულ გზაზე უკვე გადადგმულია – მიღებულია კონსტიტუცია, რომლის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიებს და ძირითად პარამეტრებში შესაბამისობაშია ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, შექმნილია დემოკრატიული ინსტიტუტები, მათ შორის, სახალხო დამცველის ინსტიტუტი (კონსტიტუციის 43-ე მუხლი).

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს აქვს საკმაოდ სერიოზული საერთაშორისო ვალდებულებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

დღეისათვის საქართველო უკვე მიუერთდა გაეროს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მრავალმხრივ დოკუმენტებს ადამიანის უფლებათა სფეროში. მათ შორის არის პაქტები სამოქალაქო და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, კონვენციები წამების წინააღმდეგ, ბავშვთა უფლებების შესახებ, ქალთა დისკრიმინაციისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. საქართველო მიუერთდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის პირველ ფაკულტატურ ოქმს, რომელიც ითვალისწინებს წევრი ქვეყნების მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრის უფლებას.

სულ საქართველო მიერთებულია ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში არსებულ 17 მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას. ამ რიცხვში არ შედის ევროპის საბჭოს ჩარჩოებში მიღებული უფლებადაცვითი დოკუმენტები, რომელთაგან ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციასთან ერთად აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტია, ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, კონვენცია რეგიონულ და უმცირესობათა ენების შესახებ.

1999 წელს საქართველო გახდა ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი. ამ ისტორიულ მოვლენას, უპირველესად, დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და შემდეგ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ევროპის საბჭოს სტატუსი პირდაპირ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, თავის რიგებში მიიღონ მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც, "ჭეშმარიტი დემოკრატიის" შეუქცევადი ტენდენცია და მყარი საფუძველია შექმნილი ადამიანის უფლების დაცვის, კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად. საქართველომ, როგორც ევროპის საბჭოს სრულუფლებიანმა წევრმა, მოახდინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიცირება. კონვენციის ჩარჩოებში ჩვენმა სახელმწიფომ აღიარა ადამიანის

უფლებათა ევროპის სასამართლოს სავალდებულო იურისდიქცია. ჩვენს მოქალაქეებს მიეცათ კიდევ ერთი საშუალება, დაიცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები, ამჯერად საერთაშორისო სასამართლო ორგანოს წინაშე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ საქართველომ ხელი მოაწერა მის დამატებით ოქმებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ კონვენციის განუყოფელ ნაწილს. ნამდვილად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის პარლამენტმა, ერთი გამონაკლისის გარდა, უკვე მოახდინა ამ პროტოკოლების რატიფიცირება. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის ხელმოსაწერად სულ ახლახანს გახსნილი მე-12 ოქმი (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-12 ოქმი ითვალისწინებს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას, რაც წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს კონვენციის მე-14 მუხლთან შედარებით და ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას მხოლოდ იმ უფლებებთან მიმართებაში, რომლებიც ასახულია თვით კონვენციაში), იგი ხელმოწერილია, მაგრამ ჯერჯერობით არ არის რატიფიცირებული ევროკონვენციის პირველი ოქმი (პირველი ოქმი ითვალისწინებს საკუთრების, თავისუფალი არჩევნებისა და განათლების უფლებების დაცვას). საქმე ისაა, რომ დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში, რაც გამოწვეულია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული გადაუჭრელი კონფლიქტებით, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნებოდა საკუთრების უფლებების დაცვა. იგულისხმება, მაგალითად, რესტიტუციის საკითხი, რომლის მოგვარება შეუძლებელია ქვეყნის მთლიანობის აღდგენამდე.

ამ კონტექსტში აუცილებელია აღინიშნოს, რომ კონფლიქტების შედეგად სახელმწიფოს იურისდიქცია დე-ფაქტო ვერ ვრცელდება ქვეყნის არცთუ მცირე ნაწილზე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. ამგვარად, საქართველოს ხელისუფლება ამჟამად ვერ ახორციელებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის ფუნქციას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რაც გვიქმნის ბევრ სირთულეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გაგვიკეთებია არანაირი დათქმა კონვენციის ტერიტორიულ გამოყენებაზე საქართველოს მიმართ. და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ იხსნის პასუხისმგებლობას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე და დარწმუნებულია, რომ ჩვენი იურისდიქცია იქ აუცილებლად აღდგება.

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ადგილზე ქვეყნის

სამართლებრივ სისტემაში, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ, კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების (შეთანხმებების) შესახებ"), ქვეყნის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები საქართველოს სამართლებრივ სისტემაში გამოიყენება უშუალოდ. კერძოდ, შესაძლებელია საერთაშორისო დოკუმენტებისადმი, მათ შორის, კონვენციისადმი, აპელირება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ჩემი აზრით, ამ მხრივ საქართველოში და მსოფლიოშიც, არასახარბიელო მდგომარეობაა. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, პრაქტიკულად, არ ხდება საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაცია (ცნობისათვის: საქართველოში ადამიანის უფლებათა დოკუმენტებისადმი აპელირების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა: ხუთი – უზენაეს სასამართლოში, ერთი – საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია).

ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქმედითი და ეფექტიანი სასამართლო სისტემა, სწორედ მას ევალება ერთ-ერთი უმთავრესი უფლების – სამართლიანი სასამართლოს უფლების – განხორციელება.

განხორციელდა სასამართლო რეფორმა, მოხდა სასამართლო სისტემის სრული გარდაქმნა, რის შედეგადაც დაინერგა მართლმსაჯულების განხორციელების თანამედროვე მოდელი. პრაქტიკულად, მნიშვნელოვნად განახლდა მოსამართლეთა კორპუსი ახალი კადრებით, რომლებიც შეირჩნენ საკონკურსო წესით, ჩააბარეს რა სპეციალური საკვალიფიკაციო გამოცდები, რომლის საგანთა ნუსხაში შედიოდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებიც, მათ შორის, ევროკონვენცია.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საქართველოში დღემდე სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო დოკუმენტებზე ან თუნდაც კონსტიტუციაზე დაყრდნობით, ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობა მოსამართლეთა მიერ აღიქმება დემაგოგიად, ხოლო ამ მოტივით გადაწყვეტილების მიღება წარმოუდგენელიც კი არის. შესაბამისად, იბადება კითხვა: რა სახით უნდა მოხდეს მათი იმპლემენტაცია, თუკი მას ნებაყოფლობით არც ერთი მოსამართლე არ მიმართავს? ის, რაც საქართველოსთვის სავალდებულოა შესასრულებლად, არ

შეიძლება ეფუძნებოდეს მოსამართლის კეთილ ნებას – ისწავლოს საერთაშორისო ნორმები და ისინი პრაქტიკაში გამოიყენოს თუ არა. საქართველოში არც ერთ მოსამართლეს არ უნდა სჭირდებოდეს კონსტიტუციის მე-6 მუხლისა და იმის შეხსენება, რომ არსებობს აგრეთვე სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლის ცოდნა და გათვალისწინებაც აუცილებელია.

აუცილებელია, ყველა მოსამართლე, პროკურორი და იურისტი სრულყოფილად ფლობდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და განუხრელად იყენებდეს მათ პრაქტიკაში. აუცილებელია, იურისტებისათვის სათანადო სასწავლო კურსების არსებობა მანამდე, ვიდრე ყველა მოსამართლე, პროკურორი, პოლიციის თანამდებობის პირი, თუ ადვოკატი საქმის განხილვისას ისევე ორგანულად არ გამოიყენებს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, როგორც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას.

ალბათ, ამ და უამრავ სხვა მიზეზთა გამო, მიუხედავად ასეთი ფართომასშტაბიანად ჩატარებული რეფორმისა, მოსახლეობის ნდობა სასამართლო ხელისუფლებისადმი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.

უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საქმეში კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანო – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. თავისი არსებობის არცთუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლომ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც ისეთმა ორგანომ, რომელიც მტკიცედ დგას სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირთა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული უფლებების დაცვის სადარაჯოზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება დაკავშირებული იყო იმის დადგენასთან, თუ რამდენად შეესაბამებოდა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა კონვენციას და მის ჩარჩოებში არსებული პრეცედენტული სამართლის მოთხოვნებს. ამის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ არასრულყოფილი კანონმდებლობის პირობებში შესაძლებელია, არაეფექტური გახდეს დარღვეული უფლებების აღდგენის სამართლებრივი, მათ შორის სასამართლო მექანიზმები.

საქართველოს მოსახლეობა დიდი ინტერესით და იმედით ეკიდება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს და მის საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს

სასამართლოს მუშაობის წესებსა და პროცედურებს, მასში ხედავენ კომპეტენტურ და მიუკერძოებელ არბიტრს, რომელსაც ძალუძს აღადგინოს სამართლიანობა იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა ეროვნულ (რეგიონულ) დონეზე. შესაბამისად აუცილებლად მიმაჩნია, მოხდეს პოპულარიზაცია ევროპის სასამართლოსა და ევროპის კონვენციით დაცული უფლებებისა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამჟამად გახსნილია 49 დროებითი განაცხადი საქართველოს წინააღმდეგ, 20 განაცხადი რეგისტრირებულია სასამართლოს მიერ, 20 განაცხადიდან დაუშვებლად გამოცხადებულია 3. სამ განაცხადზე სახელმწიფოს უკვე მოეთხოვა ინფორმაციის მიწოდება, ჰქონდა თუ არა ადგილი უფლებების დარღვევას.

ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შემდგომ, აზერბაიჯანი და სომხეთი ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ევროპულ სივრცეში მათი გაერთიანება, ჩემი ღრმა რწმენით, მთელ რეგიონში ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დამკვიდრების სერიოზული წანამძღვარია. ამგვარად, კავკასიის სამივე დამოუკიდებელმა სახელმწიფომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება ევროპული ღირებულებებისადმი, გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებისა და, საბოლოო ჯამში, ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის შენებისაკენ.

ჩვენ ვცხოვრობთ საკმაოდ სწრაფად ცვლად და განვითარებად სამყაროში, რეალიები იცვლება, მაგრამ უცვლელი რჩება, უფრო მეტიც, სულ უფრო ძლიერდება, ადამიანის უფლებების მნიშვნელობა და პრიორიტეტი.

თავი III. სოციალური და ეკონომიკური უფლებები; უკიდურესი სიღარიბე და ადამიანის უფლებები

„ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითავისოს ის აზრი, რომ სიღარიბის შემცირების სტრატეგიების დასახვა და, რაც მთავარია, მათი ეფექტური განხორციელება, ღირსეული მომავლისაკენ ქვეყნის წარმატებული წინსვლის საწინდარია".

ედუარდ შევარდნაძე

მსოფლიოში ყოველი მეხუთე ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში. გაეროს გენერალური ასამბლეის 1996 წლის რეზოლუციაში (№51/178) აღინიშნა, რომ 1,3 მილიარდი ადამიანი მსოფლიოში, რომელთაგან უმრავლესობა არიან ქალები, ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და ამ ადამიანების რაოდენობა იზრდება.

ბოლო წლების განმავლობაში სიღარიბესთან ბრძოლამ გლობალური ხასიათი მიიღო. მსოფლიოს უდიდესმა ორგანიზაციებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მათი მიზანია, XXI საუკუნე მსოფლიოში სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირებით დაიწყოს.

საერთო გლობალურ ფონზე აღსანიშნავია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სიღარიბის ზრდის მასშტაბი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაჯანსაღება სახელმწიფოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხია. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის განვითარების ხელსაყრელი პირობები შექმნა, დანარჩენი უმრავლესობისათვის კი მანამდე უცნობი მატერიალური პრობლემების წარმოშობა და სტაბილური მომავლის გარანტიების დაკარგვა გამოიწვია.

საქართველოს მთავრობისათვის ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სიღარიბის დაძლევის საკითხი. მიუხედავად ამ დაინტერესებისა და ამ მხრივ მთელი რიგი წინგადადგმული ნაბიჯებისა, მდგომარეობა, რომელშიც საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან, საგანგაშოა. უკანასკნელი

მონაცემებით, მოსახლეობის 60%-ზე მეტი იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. აქედან დიდი ნაწილი ქრონიკული ღარიბია. შენელებას განაგრძობს ეკონომიკური აქტიურობა. 1998 წელთან შედარებით გასულ წელს ქვეყანაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა 4,5-ჯერ იკლო.

მართალია, საქართველოს ხელისუფლების სოციალური პოლიტიკა ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მიიჩნევა, მაგრამ ამ პოლიტიკის მიზნის, მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რაიმე თვალშისაცემი წინგადადგმული ნაბიჯი არ შეინიშნება. შედეგობრივი თვალსაზრისით, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ცალკეულ დარგებში განხორციელებული ღონისძიებები არაეფექტიანად შეიძლება ჩაითვალოს. იგივე შეიძლება ითქვას ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის ზრდაზე, ასევე კერძო სექტორისათვის სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობისა და ბიზნესის არალეგალური სექტორის ლეგალიზაციაზე.

1998 წლიდან მოყოლებული სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკულმა შეუსრულებლობამ გამოიწვია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების, პენსიებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შემწეობის გაცემაში სერიოზული შეფერხებები. აღნიშნული პრობლემა საკუთარ თავზე იწვნია სახალხო დამცველის აპარატმაც.

სიღარიბის დონეს კიდევ უფრო ამძიმებს უმუშევრობა. 1990 წლიდან მოყოლებული დასაქმებულთა რიცხვი შემცირდა 37,2 პროცენტით. ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის უმაღლესი დონე დაფიქსირებულია დედაქალაქში, სადაც იგი 29%-ს აჭარბებს. ბოლო წლების მაჩვენებლებით, უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნება 20-25 წლის და 25-29 წლის ახალგაზრდებში. მათი რაოდენობა უმუშევართა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია, ანუ ადამიანს არ გააჩნია დასაქმების შესაძლებლობა ყველაზე პროდუქტიულ ასაკში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ ასახავენ იმ რეალობას, რაც დღეს შრომით ბაზარზეა შექმნილი. დასაქმებულთა რიცხოვნებაში დიდი ხვედრითი წილი უკავიათ ე. წ. თვითდასაქმებულებს. გარდა ამისა, უმუშევართა ნაწილი არ თვლის საჭიროდ რეგისტრაციის გავლას, რადგან დაბალია უმუშევრობაზე შემწეობა და არა აქვთ იმედი, რომ ამ გზით ისინი მოძებნიან სამუშაოს.

ამჟამად უკვე შემუშავებულია დასაქმების ეროვნული პროგრამა, მაგრამ იგი ემყარება ემპირიული და საექსპერტო ხასიათის სტატისტიკურ მონაცემებს, ანუ მთავარი პრობლემის სახით კვლავ რჩება შრომის ბაზრის სერიოზული შესწავლა.

უმუშევრობის მაღალი დონისა და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო, დასაქმებულთა უმეტესობის შრომითი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და სრულებით არ არის დამოკიდებული შრომის ხარისხსა და ოდენობაზე. მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება მინიმალური ხელფასის ოდენობის ზრდა, ეს ფაქტი არ შეიძლება განხილულ იქნას იმ ადეკვატურ სოციალურ გარანტად, რომელიც აუცილებელია ადამიანის მინიმალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

უკიდურეს სიღარიბესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებებთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლა სიღარიბის აღმოსაფხვრელად მოითხოვს არა მარტო სიღარიბის გამომწვევი მიზეზების დეტალურ ცოდნას, არამედ ასევე მის ზემოქმედებას ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებზე მთლიანად. ერთ-ერთი განმარტებით, სიღარიბე არის იმ ძირითადი საშუალებების სიმცირე ან არარსებობა, რომლებიც საშუალებას აძლევენ ინდივიდებსა და მათ ოჯახებს, ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებებით და თავისუფლებებით და იკისრონ ძირითადი ვალდებულებანი.

ქრონიკული სიღარიბე ზემოქმედებს ადამიანთა ცხოვრების ერთდროულად რამდენიმე მხარეზე. ადამიანის უფლება ცხოვრების ადეკვატურ პირობებზე არის ინტეგრალური და განუსხვისებელი უფლება, განმტკიცებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლით: „ყველა ადამიანს აქვს უფლება იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის; ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოფილ იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურებისა თუ მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის საჭირო სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში".

სიღარიბე გვევლინება ისეთი უფლებების დარღვევად, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, ადამიანის განვითარების უფლება, ადამიანის უფლება ცხოვრების ჯანსაღ პირობებზე, არადისკრიმინაციულობის უფლება და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბე არის პრინციპული მიზეზი მსოფლიოში

ადამიანის უფლებების დარღვევისა. იგი ასევე უქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს ადამიანებს, პირნათლად განახორციელონ მათზე დაკისრებული როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ვალდებულებანი, რომლებსაც ისინი ასრულებენ როგორც მოქალაქეები, მშობლები, ამომრჩევლები.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტებით აღიარებულ იქნა, რომ შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის პიროვნების იდეალის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს, ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული უფლებებით ისევე, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით; თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე შესაფერისი კვების, ტანისამოსისა და ბინის ჩათვლით, აგრეთვე – უფლება, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს.

სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვიწევს იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ საქართველო სათანადოდ ვერ იცავს საკუთარი მოქალაქეების სოციალურ უფლებებს და ვერ ასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტის მე-6, მე-7, მე-9 მუხლებით ნაკისრ ვალდებულებებს.

"საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" 1998 წლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნაზე არასათანადო რეაგირების შესახებ

ვინც კი გაეცნო გასული წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშს, ნახავს, რომ ზოგიერთ გადაუწყვეტელ საკითხზე კვლავაც მიწევს საუბარი, რადგან პრობლემა მოუგვარებელია. "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მიხედვით, ჩვენი მუშაობის ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი გახლავთ, ვაცნობოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით საზოგადოებას ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების შედეგები, არსებული მასალების ანალიზი გამოვაქვეყნოთ სპეციალურ მოხსენებებსა და ანგარიშებში, მოხსენებით წარვდგე საქართველოს პარლამენტის წინაშე და სწორედ ეს გახლავთ ამ ანგარიშის უპირველესი მიზანი და არა ის, თუ როგორ მუშაობს სახალხო

დამცველი, ან მისი აპარატი. თუმცა მუშაობის სხვადასხვა ფორმებთან ერთად, აპარატის მუშაკები შესაბამის განმარტებებს აძლევენ მოქალაქეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. მთელ რიგ შემთხვევებში, სახალხო დამცველის აპარატს მუშაობა უხდება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევასთან დაკავშირებით შემოსული ისეთი განცხადებებისა და საჩივრების განხილვასთან, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო ხარვეზებთან.

მოგეხსენებათ, რომ 1997 წლის 25 ნოემბრიდან მოქმედებს ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის 562-ე მუხლით მკაფიოდ განისაზღვრა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები მიზეზების არსებობისას და უფლება მიეცა მესაკუთრეს, მოშალოს ხელშეკრულება დამქირავებელთან, თუკი საცხოვრებელი სადგომი სჭირდება თვითონ, ან ახლო ნათესავისათვის და იმ შემთხვევაშიც, თუ დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შეთავაზებული გაზრდილი ქირა საბაზრო კურსის მიხედვით. დღეს, როცა ქვეყანაში და განსაკუთრებით თბილისში, ქუთაისში, რუსთავში და დიდ ქალაქებში ინტენსიურად მიმდინარეობს საცხოვრებელი ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემა კოდექსის მითითებული მუხლის ამოქმედებით, დღევანდელ სოციალურ ფონზე, დამქირავებელს შეექმნა სირთულეები გადაიხადოს ქირავნობის გაზრდილი თანხა. ამიტომაც "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" 1998 წლის 25 ივნისის კანონით, თითქოს გათვალისწინებულ იქნა დამქირავებლის ინტერესები, მაგრამ აშკარად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით აღიარებული საკუთრების უფლება. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა კონკრეტული წინადადებებით მიმართა პარლამენტის შესაბამის კომიტეტს და მოითხოვა საკითხის გადაწყვეტისათვის ცალკე განხილულიყო იმ პირთა ქონებრივი უფლებების საკითხები, რომლებიც ცხოვრობდნენ სხვა პირის საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელ სადგომებში 1921-1991 წლებში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და ცალკე, პრივატიზაციის შემდგომ პერიოდში, 1992 წლიდან მოყოლებული, მაგრამ ეს მოთხოვნები გათვალისწინებულ არ იქნა. საცხოვრებელი ბინების მესაკუთრეთა მოთხოვნით საქმე განიხილა საკონსტიტუციო სასამართლომ და 2001 წლის 7 ივნისის დადგენილებით, 1998 წლის 25 ივნისს მიღებული კანონის ცალკეული მუხლები არაკონსტიტუციურად ჩაითვალა. კერძოდ, მესაკუთრე აღარ არის

ვალდებული საცხოვრებელი სადგომის გამოთავისუფლების შემთხვევაში მოსარგებლეები უზრუნველყოს სხვა საცხოვრებელი სადგომით ან მისი ღირებულების კომპენსაციით. საკონსტიტუციო სასამართლომ სთხოვა საქართველოს პარლამენტს 1998 წლის 25 ივნისის კანონში შეეტანა ცვლილებები, თუმცა დღემდე ეს საკითხი არ არის განხილული.

საგადასახადო უწყებაში არსებული პრობლემების შესახებ

2001 წლის პირველი ნახევრის ჩვენს საპარლამენტო ანგარიშში მითითებული ზოგიერთ პრობლემას კვლავ დავუბრუნდები. საქმე ეხება საგადასახადო სისტემაში არსებულ მდგომარეობას. მოგეხსენებათ, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების პირველ მინისტრად, არც თუ დიდი ხნის პერიოდში, მოღვაწეობდა *ბატონი მ. მაჭავარიანი*, რომელსაც ნამდვილად არ ჰქონდა რეფორმის წარმატებით ჩატარების გამოცდილება, მაგრამ არც *მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ბატონ მუმლაძემ* იღვაწა რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის, რის გამოც ჩატარებულმა რეფორმამ მრავალი დარღვევა და პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში, საკადრო საკითხებში. ასეთ შემთხვევაში გულგრილი ვერ დავრჩებოდი და "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში არაერთი წინადადება, დასკვნა და რეკომენდაცია მივაწოდე საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, ხოლო 2001 წლის პირველი ნახევრის საპარლამენტო ანგარიშში ამ თემას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც.

რა პრეტენზია არსებობს საგადასახადო სისტემისადმი? მოგეხსენებათ, რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო მაღალკვალიფიციური და მორალური რეპუტაციის მქონე მოხელეთა შერჩევა, რისთვისაც შემოღებულ იქნა საკვალიფიკაციო-საატესტაციო გამოცდები ტესტური და კონკურსანტებთან გასაუბრების მეთოდიკით. ამ პროცესში დიდმა ნაკადმა მიიღო მონაწილეობა და კონკურსში მონაწილე 2,1 ათასი ადამიანიდან 400-მდე დაკმაყოფილდა სხვადასხვა თანამდებობებით, რეზერვში ჩაირიცხა 477 ადამიანი, რომელთაც ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, კიდევ 255 ადამიანი დაემატა და, საბოლოო ჯამში, მათმა რაოდენობამ 700-ს გადააჭარბა.

აღსანიშნავია ის, რომ რეფორმის ჩატარების პერიოდიდან, ანუ ორი წლის განმავლობაში, საგადასახადო დეპარტამენტს მრავალი ხელმძღვანელი შეეცვალა და ამჟამად მეოთხე ადამიანი ხელმძღვანელობს ბატონ *ლ. ჩრდილელის* სახით. თბილისის საგადასახადო საოლქო ინსპექციების ყველა ხელმძღვანელი შეიცვალა, ზოგან ორჯერ, შეიცვალა ინსპექტორთა გარკვეული ნაწილიც, მაგრამ ამ ფონზე გარდატეხა მუშაობაში ვერ იქნა მიღწეული. მოგეხსენებათ, ყოველ ქვეყანაში კანონები ცივილიზებულ სახეს მხოლოდ მათი შესრულების უზრუნველყოფის შედეგად იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა კანონები კანონებად და უმოქმედოდ რჩებიან, ისინი იწვევენ სხვადასხვა სახის მითქმა-მოთქმას, დიდია სხვა სახის მორალური ზიანიც. კადრების შერჩევაში საჭიროა ყურადღებიანი და პრინციპული მიდგომა, არ უნდა ირღვეოდეს მონაცვლეობის პრინციპი. ამ საქმეში დაუშვებელია როგორც უძრაობა, ისე მუშაკთა გაუმართლებელი, ნაჩქარევი შეცვლა, ადმინისტრირება, სუბიექტივიზმი. საკადრო ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა საგადასახადო სისტემაში, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს იმის იმედს, რომ ყოველი ახალი ხელმძღვანელი მაშინვე გამოავლენს ყველა საუკეთესო საქმიან და ზნეობრივ თვისებას. მათი ჩამოყალიბება ერთი დღის საქმე როდია, მით უმეტეს ისეთ უწყებაში, როგორიცაა საგადასახადო. არადა, ამ უწყების გამართულ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. საგადასახადო შემოსავლების უწყების ქმედუნარიანობა პირდაპირ კავშირშია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან, განსაკუთრებით კი საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთათვის. როცა ქვეყანა ვერ ახერხებს ბიუჯეტის შევსებას, ეს მაშინვე უარყოფითად მოქმედებს პენსიების, სტიპენდიების, ხელფასების გაცემისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ძირითადი მუხლების შესრულებაზე. საგადასახადო შემოსავლების მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდება, მართალია, 2001 წელს 1996 წელთან შედარებით 2,3 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ გადასახადების ამოღების დონე არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებადობის საერთო დაბალ დონეს მჭიდროდ უკავშირდება ქვეყანაში სტატისტიკურად აღურიცხავი ეკონომიკის მაღალი წილიც. ბოლო წლებში მან თითქმის მესამედს მიაღწია, ხოლო საქმიანობის ისეთ სფეროში, როგორიცაა: ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ნახევარს აჭარბებს. ეს მაშინ, როცა 2001 წელს

მთლიანად საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების ბრუნვის მოცულობა 2000 წელთან შედარებით 13 პროცენტით გაიზარდა, ხოლო რესტორნებში – 11,7 პროცენტით. ამ ფონზე 2001 წელს აღურიცხავი პროდუქციის წილმა სამეწარმეო რეესტრში 57,8 პროცენტი შეადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 2001 წლის ივნისში შეადგენდა 19,1 მლნ. ლარს, ივლისში – 26 მლნ. ლარს, ხოლო ნოემბერში 35,9 მლნ. ლარამდე გაიზარდა. ჩემი აზრით, ეს გარკვეულწილად განპირობებულია თვით ჩატარებული რეფორმის უხარისხობით და იმ არასწორი საკადრო პოლიტიკის გატარებით, რომელსაც ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი. საკითხავია, საერთოდ, რა საჭირო იყო ატესტაცია, გამოცდები, კონკურსები, თუკი ვაკანსიების დაკომპლექტებისას არ მიექცეოდა ყურადღება მუშაკთა კვალიფიკაციას, რის გამოც ამა თუ იმ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ და კვლავაც ინიშნებიან არაწარმატებული კადრები. ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით არაერთი დასკვნა, რეკომენდაცია მომზადდა და წარედგინა სამინისტროს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობის მხრიდან კეთილი ნება არ იქნა გამოვლენილი და შედეგიც სავალალოა. სხვა მანკიერ პრაქტიკასთან ერთად ასეთმა საკადრო გადაადგილებებმა განაპირობეს ის, რომ 2000-2001 წლებში თვით სეკვესტრირებული ბიუჯეტიც არ შესრულებულა საგადასახადო შემოსავლების ნაწილში. ამიტომ სრულიად სამართლიანი იყო საქართველოს პრეზიდენტის პრინციპული და მკვეთრი რეაქცია სამინისტროს საქმიანობის შეფასებისას. ითქვა ის, რასაც 2000 წლის 31 ოქტომბრისა და შემდგომ პერიოდში დღემდე, ჩემს არაერთ რეკომენდაციაში პირდაპირ აღვნიშნავდი, რომ რეფორმა არ შედგა. მაგრამ სამინისტროს მხრიდან საქმისადმი არათანმიმდევრული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, დაირღვა არა მარტო მრავალი საგადასახადო მოხელის შრომითი უფლებები, არამედ საქართველოს ყოველი მოქალაქის შრომითი ანაზღაურების უფლებებიც ბიუჯეტის დავალების შეუსრულებლობით. მოგეხსენებათ, საქართველოს უზენაესი კანონის – კონსტიტუციის 32-ე მუხლით, სახელმწიფომ აიღო ვალდებულება თავისი მოქალაქეების შრომითი დასაქმების ხელის შეწყობაზე. შრომის არჩევის, მუშაობის სამართლიან, ხელსაყრელ პირობებსა და უმუშევრობისაგან დაცვას ითვალისწინებს ასევე "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტიც, რომელსაც საქართველო შეუერთდა და იკისრა ვალდებულება, დაიცვას ადამიანის აღიარებული უფლებები შრომაზე თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე (მუხლი

6). ეს სავალდებულო მოთხოვნებიც არ სრულდება, რის გამოც საგადასახადო უწყების ყოფილი და რეზერვში ჩარიცხული ადამიანები თავიანთი შელახული უფლებების აღსადგენად მიმართავენ სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტანციებს. მათი მოთხოვნაა, სამინისტროს მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტების, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და კონსტიტუციის მოთხოვნათა უცილობელი შესრულება. იგივეს ვითხოვდით ჩვენც. იყო დაპირება, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე არა თუ გამოსწორდა, არამედ პირიქით, მეტი შეცდომაც იქნა დაშვებული. იგნორირებულია თვით "საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სისტემის საჯარო მოხელეთა რეზერვის ფორმირების, ჩარიცხვის, რეზერვიდან თანამდებობაზე დანიშვნის და სამსახურებრივი დაწინაურების წესის შესახებ" სამინისტროს 2000 წლის 25 დეკემბრის №546 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნა, რეზერვიდან თანამდებობაზე დანიშვნისა და სამსახურებრივი დაწინაურების შესახებ. ამის დამადასტურებელია ის, რომ თბილისის საგადასახადო-საოლქო ინსპექციებში საკადრო დანიშვნებისას მხედველობაში არ მიიღება მოხელეთა სპეციალობით მუშაობის გამოცდილება, საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაგროვილ ქულათა რაოდენობა და ა. შ. მაგალითად, ავიღოთ დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექციაში საკადრო გადაადგილების ფაქტი, სადაც სულ ახლახანს კანონდარღვევით გათავისუფლდა: გ. ჩიბუხაშვილი, გ. იაშვილი, ნ. ალავიძე, ლ. ბერაძე, ბ. მელაძე, თ. ლეჟავა, მ. მიქელაძე, ბ. ნოზაძე, თ. კვერღელიძე, სულ 9 მუშაკი. იმავე რაიონის ა. წ. 28 მარტის სასამართლო გადაწყვეტილებით, ისინი დაუყოვნებლივ იქნენ აღდგენილი, გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ საგადასახადო დეპარტამენტის ბრძანებით, სასამართლო გადაწყვეტილება ჯერჯერობით აღუსრულებელია.

ჩემს ხელთ არსებული დოკუმენტების ანალიზით აშკარად ვრწმუნდები, რომ სამინისტრო და მისი სტრუქტურული სამსახურები მუშაობას არ წარმართავენ გუნდური პასუხისმგებლობის ნიშნით, დამკვიდრდა დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებით დაკომპლექტების მავნე ტრადიცია და საკადრო დანიშვნები არ ხორციელდება საჯაროდ და გამჭვირვალედ. მიმაჩნია, რომ საგადასახადო სისტემაში შექმნილი მდგომარეობა იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 30 ივნისის №280 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის "რ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სამსახურებრივი

ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს მიერ გატარებული მუშაობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, მუშაკთა შორის დაბალი საშემსრულებლო დისციპლინის, რეზერვში ჩარიცხულ საგადასახდო მოხელეთა უფლებების შელახვის, ქ. თბილისის საოლქო საგადასახადო ინსპექციების კადრების კანონდარღვევით დაკომპლექტებისა და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობისათვის, *ჩემს მიერ დაისვა საკითხი საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის ლ. ძნელაძისა და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ლ. ჩრდილელის დაკავებულ თანამდებობებზე შემდგომი მიზანშეუწონლობის თაობაზე. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრს, ბატონ ა. ჯორბენაძეს ეთხოვა, გაატაროს ქმედითი ღონისძიება საგადასახადო შემოსავლების სისტემაში ადამიანთა დარღვეული შრომითი უფლებების აღსადგენად.*

გარე მიგრაციისა და ტრეფიკინგის პრობლემა

2001 წლის აგვისტოში დურბანში ჩატარებულ მსოფლიო კონფერენციაზე აღინიშნა: „მსოფლიოში ყოველი 50 ადამიანიდან ერთი ცხოვრობს მისი წარმოშობის ან საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მათი საერთო რაოდენობა აღწევს 150 მილიონს... XXI ს., როგორც ჩანს, იქნება მიგრაციის ახალი ერა". სამწუხაროდ, საქართველო ამ პროცესებს მომზადებული ვერ ხვდება. ტერმინები „მიგრაცია" და „მიგრაციული მოძრაობა" ძირითადად გამოიყენება პირთა, მათი წარმოშობის ან ყოფილი განსახლების სახელმწიფოებიდან სხვა სახელმწიფოში დროებითი ან მუდმივი დაფუძნების მიზნით მოსახლეობის მოძრაობის აღსანიშნავად. უმრავლეს შემთხვევებში, მიგრაციის მიზეზები შრომით ორიენტირებულია. საერთაშორისო მიგრაციის მიზეზები მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თუმც კი, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ შრომითი მიგრაციის ისეთ უმთავრეს ურთიერთშემავსებელ ფაქტორზე, როგორიცაა მიგრანტთა წარმოშობის ქვეყანაში არსებული ცხოვრების დაბალი პირობები.

საქართველოდან მოსახლეობის გადინების პროცესები სწორედ რომ დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიღარიბესა და ეკონომიკის დაბალ განვითარებასთან, არსებით განსხვავებასთან საქართველოსა და დასაქმების ქვეყნებს შორის ცხოვრების

სტანდარტული პირობებისა და ხელფასის ოდენობის თვალსაზრისით. საქართველოში აღნიშნული პროცესი პროვოცირებულია ქრონიკული უმუშევრობით. ყოველივე ეს აშკარა კონტრასტს ქმნის დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში არსებულ დემოგრაფიულ სტაბილურობასთან მიმართებაში; ამიტომაც, სიღარიბისა და უმუშევრობის კომბინაცია აიძულებს საქართველოს მოქალაქეებს დატოვონ თავიანთი სამშობლო, ხშირად საკუთარი სურვილის, ოჯახის გარეშე და ეძიონ არსებობის უფრო ღირსეული პირობები სხვა ქვეყნებში. მეტიც, ცალკეულ მიგრანტთა მიერ საქართველოს დატოვება შემდგომი დასაქმების მიზნით ასოცირებულია მათ გადარჩენასთან. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საერთაშორისო მიგრაციის დიდი ნაწილი უკანონოა, საშიშროება იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეები შეიძლება დისკრიმინაციისა და ტრეფიკინგის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, დიდია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტით: „საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა", მაგრამ საქართველოს მოქალაქეები ამ მფარველობას არათუ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისას, არამედ საკუთარ სამშობლოშიც ვერ გრძნობენ და ვერ სარგებლობენ კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით.

მართალია, მოსახლეობის მიგრაცია ზოგადად ოდითგანვე იყო ადამიანის ოიკუმენის გაფართოების საშუალება, მაგრამ არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს ამ პროცესების ისეთი უარყოფითი გამოვლინებანი, როგორიცაა ტრეფიკინგი და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანა, რომელთა მაჩვენებლები ლეგალური მიგრაციის მზარდ ხელისშემშლელ ფაქტორებთან ერთად იზრდება.

საერთაშორისო სამართლით უკანასკნელ პერიოდში აღიარებულ იქნა განსხვავება ტრეფიკინგსა და მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის კონცეფციებს შორის. ტერმინი „ტრეფიკინგი" ახლა პრინციპულად მოიაზრებს პროცესს ექსპლუატაციური მიზნებით, რომელიც მოიცავს ძალადობის, იძულებისა და თაღლითობის გარკვეულ ფორმებს, ხოლო ტერმინი – „მიგრანტთა უკანონო გადაყვანა" – გამოიყენება შემოსავლის მიღების მიზნით ადამიანთა სახელმწიფოების საზღვარზე უკანონო გადაყვანის პროცესის მნიშვნელობით.

საერთაშორისო საზოგადოების აღიარებით, ტრეფიკინგის მსხვერპლთა და უკანონო მიგრანტთა უფლებები დაცვას

ექვემდებარება. საქართველოში სახელმწიფო ორგანოებთან შედარებით ამ პრობლემებს გაცილებით დიდი ყურადღება ექცევა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების დღევანდელ ეტაპზე. არაოფიციალური მონაცემებით, მილიონზე მეტ ჩვენს თანამემამულეს დატოვებული აქვს საქართველოს საზღვრები. თუ გავიხსენებთ საქართველოში მოსახლეობის საერთო რაოდენობას, რომელიც 4 452 100 ადამიანს შეადგენს, ეს ციფრი საკმაოდ შთამბეჭდავია. აქვე უნდა აღინიშნოს ის პრობლემა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აშკარად არსებობს მიგრაციის შედეგების ემპირიული შეგრძნება, მიგრანტთა ნაკადების ზუსტი რაოდენობრივი გაზომვა ძალიან ძნელია, ვინაიდან სტატისტიკური ინფორმაცია ხშირად იკრიბება ზედაპირულად და წყაროები არასრული და ურთიერთგამომრიცხავია.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოდან უკანონო მიგრაციას არსებითი ხასიათი აქვს. არსებობს რეალური მაჩვენებლები, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგის ფაქტებს. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების მონაცემთა ანალიზით იკვეთება საქართველოდან უკანონო მიგრაციის შემდეგი სახე: საქართველოდან ემიგრირებულთა 70%-ს შეადგენენ ქალები; ემიგრირებულთა ძირითადი ნაწილის ასაკი მერყეობს 21-49 წლებს შორის; ემიგრირებული ქალების 60-70%, ხოლო მამაკაცების 15-20% არის ტრეფიკინგის მსხვერპლი; ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან უფრო ახალგაზრდები, ვიდრე სხვა უკანონო მიგრანტები; ტრეფიკინგის მსხვერპლთა დიდი ნაწილი არის იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოების წარმომადგენლები. ციფრები ნამდვილად შემაშფოთებელია.

საქართველოდან მიგრირებულთა უმრავლესობის დანიშნულების ქვეყანას წარმოადგენს საბერძნეთი, თურქეთი, აშშ, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია, რუსეთი. აქედან საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგის შემთხვევები საბერძნეთში, საფრანგეთში, აშშ-სა და ესპანეთში გაცილებით მაღალია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალები ხშირად იძულებულნი არიან, იმუშაონ სხვადასხვა სახის საეჭვო დაწესებულებაში, ღამის კლუბებში, ე.წ. „სტრიპტიზბარებში" (განსაკუთრებით თურქეთში, აშშ-ში). ასევე ხშირად ისინი იძულებით ჩართულნი არიან მეძავეობაში.

ტრეფიკინგის მსხვერპლი მამაკაცები უმეტესად იძულებით მუშაობენ მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში უმძიმეს, აუტანელ პირობებში (განსაკუთრებით თურქეთში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში).

ტრეფიკინგის მსხვერპლნი უცხო ქვეყნებში სამუშაოს მოძიებას უმეტესად ახორციელებენ საქართველოში არსებული ტურისტული ფირმებისა და დასაქმების სააგენტოების მეშვეობით. საკმაოდ ხშირად ამგვარი დაწესებულებები უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელებს ყალბი დოკუმენტებით, რაც კიდევ ერთ დამატებით ბარიერს უქმნის მათ შემდგომ ლეგალიზაციას. აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნია, სახელმწიფოს სათანადო ორგანოებმა შეისწავლონ ამგვარი დაწესებულებების საქმიანობა და გამოავლინონ მათი პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგში. ასევე ერთ-ერთი ფაქტორი, რაც აადვილებს საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგს, არის მათი გაუთვითცნობიერება მგზავრობისა და სამუშაოს პირობებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს დატოვებული აქვს საქართველო, ქვეყნის მიგრაციის პოტენციალი კვლავ მაღალი რჩება. ძირითადი მიზეზები ყველასათვის კარგად ცნობილია: მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა, დასაქმებულთა დაბალი ხელფასები, უიმედობა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში საქართველოში დაბრუნებული ტრეფიკინგის მსხვერპლი გამოთქვამდა სამშობლოს დატოვების სურვილს, მიუხედავად მის მიერ უცხო ქვეყანაში გადატანილი შეურაცხყოფისა. ყოველივე ეს მიუთითებს იმ მძიმე მდგომარეობაზე, რაც საქართველოში არსებობს ადამიანის თუნდაც მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამ კუთხით ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება აუცილებელი და განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ ამ მოვლენასთან ბრძოლის მთლიანი პოლიტიკისა. უნდა დამყარდეს კავშირები სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ერთობლივი პროგრამების შესამუშავებლად ტრეფიკინგის მსხვერპლთა საქართველოში დაბრუნების, დაბრუნებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის, მათთვის სხვადასხვა სახის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

აუცილებელია, წარიმართოს სათანადო მუშაობა იმ

მიმართულებით, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, გააცნობიეროს ტრეფიკინგის სახით იმ რეალური რისკის არსებობა, რომლის მსხვერპლიც ის შეიძლება გახდეს სხვა სახელმწიფოში მუშაობის მიზნით გამგზავრებისას. ამ მხრივ აღსანიშნავია რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგის პრობლემა, ხდება ამ საკითხებზე საზოგადოებრივი მსჯელობის წარმართვის ინიცირება და წახალისება. ეს პროცესები მოითხოვენ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას. თუმც კი, ყველაზე მნიშვნელოვან და ქმედით ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ამ მხრივ უნდა განხორციელდეს, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საქართველოს მოქალაქეთა ტრეფიკინგის შემთხვევები, არის სწორად წარმართული და წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა.

მართალია, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეინიშნება ტრეფიკინგის პრობლემებით დაინტერესების ტენდენცია, მაგრამ ეს დაინტერესება არ ვლინდება კონკრეტული პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების სახით.

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს. ამ აქტებიდან მხოლოდ რამდენიმე იძლევა შესაძლებლობას, წარმართულ იქნას ბრძოლა ტრეფიკინგის წინააღმდეგ, ესენია:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;
- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში (BSEC) მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმება დანაშაულობათა, კერძოდ, მისი ორგანიზებული ფორმის თავიდან აცილების შესახებ (2000 წ. 27 ივლისი).

საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18 და 30-ე მუხლები შეესაბამებიან ზემოჩამოთვლილი აქტების მოთხოვნებს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებზე. სახელდობრ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სრულად ვერ მოიცავს ტრეფიკინგთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ ქმედებებს, თუმც კი ეხება მის ცალკეულ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა 253-ე მუხლით გათვალისწინებული პროსტიტუციაში ჩაბმა. აღნიშნული მუხლის ინტერპრეტაცია არ მოიცავს ტრეფიკინგის ყველა ასპექტს იმ

მიზეზის გამო, რომ სექსუალური ექსპლუატაცია არ არის ერთადერთი გამოვლინება ტრეფიკინგისა. შესაბამისად, აუცილებლად გვეჩვენება, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები.

ასევე აუცილებელია, სათანადო ყურადღება დაეთმოს საქართველოს პრეზიდენტის მთელ რიგ ბრძანებულებათა შესრულებას, რომელთა ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ტრეფიკინგთან დაკავშირებული პრობლემების რეგულირება. მათგან გამოვყოფდი №511 – „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვისა და განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" (1999 წ. 28 აგვისტო) და №64 – „ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის (2000-2002) დამტკიცების შესახებ" (2000 წ. 25 აგვისტო) ბრძანებულებებს. ამ უკანასკნელის ამოცანად დასახულ იქნა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის თავიდან აცილებისა და აღკვეთ ღონისძიებათა განხორციელება; სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ქალებით ვაჭრობის ადამიანის უფლებათა დარღვევად აღიარება; სამართალდამცველი, იმიგრაციული, სოციალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლობა ქალებით ვაჭრობის აღსაკვეთად და ა.შ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამწუხაროდ, აღნიშნული ბრძანებულებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება მნიშვნელოვნად ფერხდება საბიუჯეტო დაუფინანსებლობის მიზეზით.

უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური ნება, მიმართული მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანისა და ადამიანებით ვაჭრობის ორგანიზატორთა დასჯისაკენ. საკანონმდებლო ბაზა მოითხოვს გაძლიერებას, საერთაშორისო კონვენციები და ოქმები რატიფიცირებულნი უნდა იქნენ. კერძოდ, საქართველოს მხრიდან ხელმოწერილ იქნა გაეროს კონვენცია „ტრანსეროვნულ ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" (2000 წ. 15 ნოემბერი). აგრეთვე მისი ორი დამატებითი ოქმი: 1) „ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ" და 2) „მიგრანტთა ხმელეთით, წყლით და ჰაერით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ". სახელმწიფომ უნდა მოახდინოს შიდა კანონმდებლობის ამ აქტებთან ჰარმონიზება კონვენციასა და ოქმებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას იმ სახელმწიფოთა პრაქტიკა,

რომლებიც წარმატებით იბრძვიან უკანონო მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის მაჩვენებლების შესამცირებლად.

ჯანმრთელობის უფლება

1995 წლიდან საქართველოში დაიწყო ჯანდაცვის სისტემის რეფორმის განხორციელება, რომლის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ სახელმწიფოს აღარ შესწევდა უნარი, დაეფინანსებინა საბჭოთა მემკვიდრეობის სახით მიღებული ჯანდაცვის სისტემა. შემუშავდა ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ ეს რეფორმა მოსახლეობამ ვერ მიიღო, მას სიხარულით არც ექიმები შეხვედრიან. მოსახლეობა უარყოფითად აფასებს სახელმწიფო პოლიტიკას ამ სფეროში. რეფორმამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა ღარიბებსა და სოციალურად დაუცველ ფენას (მათ შორის პატიმრებს). ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქრონიკული დაუფინანსებლობა. სახალხო დამცველის აპარატში იმატა განცხადებებმა, რომლებშიც გვთხოვენ შუამდგომლობას სხვადასხვა სახის სამედიცინო დახმარებაზე.

დღეისათვის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად დგას ტუბერკულოზისა და ჰეპატიტის პრობლემა პატიმრებში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პატიმრები მაღალი რისკის ფაქტორის მატარებლები არიან.

სახალხო დამცველმა "საქართველოს ვაქცინაციის ცენტრ XXI საუკუნესთან" და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტთან ერთად ორგანიზება გაუკეთა და გადასცა 1307 დოზა B ჰეპატიტის საწინააღმდეგო საპროფილაქტიკო ვაქცინა ერთჯერად შპრიცებთან ერთად სასჯელაღსრულებათა დეპარტამენტის №5 საპყრობილეს, ხოლო ცოფის ეპიდემიის დროს შეძლო გადაეცა ჯანდაცვის სამინისტროსათვის 171 დოზა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინები თბილისის ბავშვთა მეორე საავადმყოფოსთვის. ამისათვის მადლობით მოვიხსენიებ "საქართველოს ვაქცინაციის ცენტრ XXI საუკუნეს", რომელმაც მხარი დაუჭირა რა ჩემს შუამდგომლობას, უზრუნველყო აღნიშნული ვაქცინების მოწოდება.

19

თავი IV. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
სინდისის თავისუფლება და რელიგიური ექსტრემიზმი

საუკუნეების მანძილზე საქართველომ შემწყნარებელი ქვეყნის სახელი დაიმკვიდრა. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: "ქართველმა იცის პატივისცემა სხვა სარწმუნოებისაც... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი აქ, ჩვენში პოულობდნენ მშვიდობის მყოფელ სავანესა და სინდისის თავისუფლებასა". ქვეყანაში დღეს არსებული მდგომარეობა რელიგიური უმცირესობების მიმართ მართლაც რომ უცხოა ჩვენი ქვეყნის რელიგიური და კულტურული შემწყნარებლობის მდიდარი ისტორიისათვის.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბოლოდროინდელი მოვლენები, როდესაც ჩვენს თვალწინ ღვივდება შეურიგებლობა და შეუწყნარებლობა განსხვავებული აღმსარებლობის მქონე ადამიანების მიმართ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, როგორი მრავალფეროვნებით ხასიათდება საქართველოს რელიგიური სპექტრი. დიდი რაოდენობით მიმდევარი ჰყავს როგორც ტრადიციულ რელიგიებს (ქრისტიანობის თითქმის ყველა მიმართულება, ისლამი, იუდაიზმი), ასევე სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობასაც (ბაპტისტები, კრიშნაიდები, იეღოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები და სხვა).

რელიგიის თავისუფლება სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა, რასაც საქართველო რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში ვერ აუვლიდა გვერდს საკანონმდებლო დოკუმენტებში. საქართველოს კონსტიტუცია, კანონები, ნორმატიული აქტები უზრუნველყოფენ რელიგიის თავისუფლებასა და პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობას.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება ცივილიზაციის მონაპოვარია და წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების საფუძველს. საქართველო მიერთებულია ყველა ძირითად საერთაშორისო დოკუმენტთან, რომელიც არეგულირებს რელიგიის თავისუფლებას.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-10 და

მე-19 მუხლები აღიარებენ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. ეს უფლება მოიცავს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შეცვლას, საკუთარი რელიგიის ან აღმსარებლობის, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, მოძღვრების, ღვთის მსახურების და რელიგიურ ან რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულების თავისუფლებას. ასეთი და მსგავსი პუნქტები თითქმის ყველა საერთაშორისო დოკუმენტშია, რომელიც კი ადამიანის უფლება-თავისუფლებას ეხება.

ევროპის კონვენციის "ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ" მე-9 მუხლში ეს უფლება შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: "ყველა ადამიანს აქვს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება".

საერთაშორისო კონვენციების, პაქტების რატიფიცირებით ქვეყანამ აიღო ვალდებულება, დაიცვას საკუთარ მოქალაქეთა აღმსარებლობის თავისუფლება.

საქართველოში, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ამ დონეზე მით უფრო აუტანელია ის მდგომარეობა, რომელიც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში. საუბარია იმ მრავალრიცხოვან ძალადობრივ აქტებზე, რომელთა მსხვერპლნი გახდნენ ძირითადად არატრადიციული რელიგიური დაჯგუფებების წევრები – "იეღოვას მოწმეები", ევანგელისტები, ბაპტისტური რელიგიის მიმდევრები, კრიშნაიდები და ა. შ.

[illegible]ერთაშორისო ორგანიზაციების ერთსულოვანი შეფასებით, რასაც მეც სრულიად ვიზიარებ, საქართველოში ადგილი აქვს სინდისის თავისუფლების მასობრივ დარღვევებს. ამასთან ერთად, დარღვეულია მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომობის უფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ უმცირესობათა უფლებების უხეშად დარღვევაზე მეტყველებს ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას "რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ"; საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას, შსს-მ მიიღოს საგანგებო ზომები, რათა ბოლო მოეღოს რელიგიური შეუწყნარებლობის დანაშაულებრივ ქმედებებს; უზენაესი სასამართლო აკეთებს განცხადებას, სადაც გმობს ამგვარ ქმედებებსა და რელიგიური ექსტრემიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა გამოვლინებებს.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოს

ისტორიაში საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მართლმადიდებლური ეკლესია იყო და არის ის უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც ეფუძნება ქართული სახელმწიფოებრიობა. მიუხედავად ამისა, საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს ყოფილა მონორელიგიური, მით უმეტეს, თეოკრატიული სახელმწიფო. დღევანდელი საქართველო ქვეყნების იმ რიგს განეკუთვნება, სადაც კონფესიათა შორის ურთიერთობების არასწორი პოლიტიკა ხორციელდება. დემოკრატიული ხასიათის რეფორმათა ფონზე, რომლებიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, აშკარად თვალშისაცემია რელიგიური ღირებულებებით სპეკულაციის ტენდენცია. შორს არ არის ის დრო, როდესაც ქვეყანაში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს შორის არსებული პრობლემების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აუცილებელ შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა დემოკრატიის გზაზე დამდგარი სახელმწიფოსათვის. სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება და პოლიტიკური ძალები ზემოაღნიშნულ პრობლემას არ აღიქვამენ სერიოზულად.

დღეისათვის საქართველოში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოქმედებენ ნებისმიერი მიმართულების რელიგიური ჯგუფები. მას შემდეგ, რაც კომუნისტებისდროინდელი მკაცრი კონტროლი მოულოდნელად შეიცვალა აბსოლუტური თავისუფლებით, ბევრმა ეს გაიგო, როგორც ნებართვა სრულ განუკითხაობაზე. რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობის დაურეგულირებლობამ გამოიწვია მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა. სამწუხაროდ, დაპირისპირება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა და ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა.

მაგალითად, 2001 წლის სექტემბერში იურიდიულმა ფირმამ "კანონიერება და სამართალი საქართველოში" სახალხო დამცველს მომართა განცხადებით, ქ. მარნეულში დაგეგმილი "იეღოვას მოწმეთა" რელიგიური კონგრესის ჩატარების შესახებ და ითხოვდნენ, არ დარღვეულიყო მათი უფლებები. სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა წერილი, რომელიც გაეგზავნა ქ. მარნეულის გამგებელს აღნიშნული შეხვედრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. სამწუხაროდ, "იეღოვას მოწმეთა" კონგრესი უხეშად იქნა დარბეული.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართე მარნეულის რაიონის პროკურატურას. მიღებულ პასუხში მარნეულის რაიონის პროკურორი ვ. იოსავა მწერს: "აღძრულია სისხლის სამართლის №3101831 საქმე. ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის

პასუხისგებაში მიცემულია სრულიად საქართველოს პატრიოტული კავშირის "ჯვარის" თავმჯდომარე პ. ბლუაშვილი და ამავე კავშირის წევრები: ზ. ქევანიშვილი და მ. ჭუბაბრია. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება და საქმე დამთავრდება უმოკლეს ვადაში".

2002 წლის 27 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის სახელზე შემოვიდა წერილი, რომელიც ეხება ეგვიპტეში, ჟურნალ "ისთაიზიკ"-ში გამოქვეყნებულ მასალას, კერძოდ, საქართველოში იეღოვას მოწმეთა მომხრეებზე განხორციელებულ მრავალრიცხოვან თავდასხმებს. ჩამოთვლილ ფაქტებში მოხსენიებულია 2001 წლის 16 სექტემბერს მარნეულში იეღოვას მოწმეთა კონგრესის დარბევის ფაქტიც.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან შემოსული ბოლოდროინდელი განცხადებების ანალიზი მიუთითებს შემაშფოთებელ ტენდენციაზე. რელიგიური დევნის ფაქტებმა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც შეაღწია.

2001 წლის 26 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა იეღოვას მოწმეების კოლექტიური განცხადება, რომელშიც გვატყობინებდნენ, რომ მათ შვილებს, ქ. ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეებს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და აიძულებდნენ, პირჯვარი გადაეწერათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაემუქრნენ სკოლიდან გაგდებით. სამწუხაროა, მაგრამ სკოლის დირექტორის კანონსაწინააღმდეგო პოზიცია გაიზიარა *ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ გულვერ ბრეგაძემ.*

როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, ისე საქართველოს შიდა კანონმდებლობა, იცავს როგორც მოსწავლის, ისე მშობლის უფლებებს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, "ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება". განათლების შესახებ კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი ვალდებულია, "დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები". იგივე კანონის 44-ე მუხლის I პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მშობლებს უფლება აქვთ, "არასრულწლოვან შვილს, ბავშვს, შეურჩიონ სწავლების ფორმა, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულება", ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციით, რომელიც საქართველოში ძალაშია 1994 წლიდან და რომლის მე-14 მუხლში აღნიშნულია, რომ "მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის უფლებას აზრის, სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლებაზე", საქართველოს

განათლების სისტემაში ხშირად ირღვევა.

მსგავსი განცხადებით მოგვმართა 2001 წლის 26 დეკემბერს ქ. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის №1 საშუალო სკოლის მოსწავლის, იეღოვას მოწმის, ვახტანგ გაბუნიას ადვოკატმა ინგა გელიაშვილმა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვ. გაბუნიას შვილი სწავლობს ამ სკოლაში და განიცდის სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფას და დამცირებას რელიგიის მასწავლებლის, *ქალბატონ თ. შუბლიანის მხრიდან.*

2001 წლის 12 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა დაბა ადიგენის საშუალო სკოლის რელიგიისა და კულტურის მასწავლებელმა როინ კირთაძემ, რომელიც განიცდის დევნას *ადიგენის განათლების განყოფილების ხელმძღვანელის გ. ჩიქოვანის* მხრიდან, რაც გამოიხატა რ. კირთაძის სკოლიდან გათავისუფლების მცდელობაში. აღნიშნული ფაქტის შესწავლისათვის შუამდგომლობის წერილით (05.10.2001, №987–04-3) მივმართე განათლების მინისტრს.

მიღებულ პასუხში განათლების მინისტრის პირველი მოადგილე მაცნობებს, რომ "აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია განათლების განყოფილება, რომელმაც რ. კირთაძის სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა".

ყველასათვის ცნობილია, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში იყო შემთხვევები სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის დარბევის, მათი ცემის, შევიწროების, რელიგიური ლიტერატურის დაწვისა და განადგურებისა. აღნიშნულ პერიოდში სახალხო დამცველის აპარატში ამ საკითხთან დაკავშირებით შემოსულია სამოცდაათზე მეტი განცხადება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ განცხადებათა ნაწილი კოლექტიურია, სურათი ნამდვილად საგანგაშოა. ფართოა დარღვევათა გეოგრაფიაც (თბილისი, რუსთავი, მარნეული, კასპი, ცაგერი). მაგალითისათვის რამდენიმე კონკრეტული ფაქტის დასახელებაც საკმარისია.

2001 წლის 11 ოქტომბერს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა თბილისში მცხოვრებმა, იეღოვას მოწმე ზიზი გაბარაევამ, სადაც მიუთითებდა მისი მეზობლების – *მეკლუდ კიკნაველიძისა და შ. კაკუშაძის* – მხრიდან იეღოვას მოწმეთა მშვიდობიანი შეხვედრების უკანონო გზით ჩაშლაზე, მუქარაზე, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე. აპარატში მომზადდა შუამდგომლობა *იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის ა. ბესელიას* სახელზე, რათა შეესწავლა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და მიეღო კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილება. 2001

წლის 5 დეკემბერს მსგავსი განცხადებით მოგვმართა ბაღდათიდან და ბაღდათის რაიონის სოფლებიდან იეღოვას მოწმეთა თერთმეტკაციანმა ჯგუფმა, სადაც ასევე საუბარია მეევლუდ კიკნაველიძისა და მისი მეზობლების უკანონო ქმედებებზე. განმეორებით მივმართე ბაღდათის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებას. სამწუხაროდ, დღემდე პოლიციის მხრიდან რეაგირებას შედეგი არ მოჰყოლია, დამნაშავენი არ არიან დასჯილნი.

ევანგელისტური ეკლესია "მადლის" პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა მოგვმართა იმასთან დაკავშირებით, რომ 2001 წლის 23 სექტემბერს, გლდანში, ღვთისმსახურების დროს მათ მიუვარდა *ბასილ მკალავიშვილი თავისი მრევლით* და აღნიშნული ეკლესიის წევრები სასტიკად დაარბია, მიაყენა მათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მატერიალური ზარალი. აღნიშნულ ფაქტზე გლდანის პოლიციის ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ დღემდე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს რეალური შედეგი არ მოჰყოლია, დამნაშავენი დასჯილნი არ არიან.

არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს რწმენის თავისუფლების ცენტრი"-დან ჩემს სახელზე, 26.12.2001, №01,02, შემოვიდა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2001 წლის 23 დეკემბერს, სახარებისეული ეკლესია "სიცოცხლის სიტყვის" ხუცესი მამუკა ჯებისაშვილი და მისი ეკლესიის წევრები კინოთეატრ "ივერიის" დარბაზში ატარებდნენ ღვთისმსახურებას, როცა მათ თავს დაესხა *ბასილ მკალავიშვილის მრევლის 50-მდე წევრი.* მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს შეკრებილთ, დაუმტვრიეს ტექნიკა და ზოგიერთი მათგანი გაძარცვეს კიდეც. ამ ფაქტზეც მთაწმინდის რაიონის პოლიციის სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ეს საქმეც დღემდე არ არის გამოძიებული.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უფლებადარღვეულებს შორის გამოირჩევა "იეღოვას მოწმეთა" ჯგუფი, ხოლო დამრღვევებში – ბასილ მკალავიშვილი თავისი "ეპარქიით". საყურადღებოა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებელი მიმოწერა "ემნესტი ინტერნეშნლთან" – ძირითადად წერილები მოგვდიოდა საფრანგეთის 174-ე ჯგუფისაგან, აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის დანიური ცენტრიდან, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რელიგიური ორგანიზაციებისაგან. ამ წერილების უმრავლესობა ეხებოდა

საქართველოში იეღოვას მოწმეთა და სხვა რელიგიური მიმდინარეობების დევნას, შევიწროებას, ბ. მკალავიშვილის თავნებობასა და პოლიციის თანამშრომელთა უმოქმედობას.

ჩემი აზრით, საჭიროა სახელმწიფოს, საზოგადოების, არასამთავრობო სექტორის, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების გაერთიანებული ძალით ბრძოლა ისეთ საშიშ მოვლენასთან, როგორიცაა სინდისის, რელიგიის თავისუფლების უფლებების უხეში დარღვევა. აუცილებლად მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ, ხელისუფლებამ დაიწყოს ფართო დიალოგი საქართველოში არსებულ ყველა რელიგიურ დენომინაციასთან, რათა უკეთ იქნას გაგებული მათი მოთხოვნები, დამყარდეს ურთიერთგაგებისა და პატივისცემის ატმოსფერო; მიღებულ იქნას კანონი "რელიგიური ორგანიზაციების" შესახებ. ამ მიმართულებით ჩვენს აპარატში დაგეგმილია შეხვედრების, დიალოგის სამუშაო გეგმა, რომელმაც უკვე დაიწყო განხორციელება. დაწვრილებით ამ საკითხზე საუბარი მომავალ ანგარიშში გვექნება.

მდგომარეობა სამხედრო ძალებში

ქართული ჯარის აღმშენებლობის დღევანდელ ეტაპზე არსებული პრობლემების სუბიექტური და ობიექტური მიზეზებიდან უმთავრესი და უპირველესია სახელმწიფოებრივი მიდგომა და საზოგადოებრივი დამოკიდებულება ამ პროცესისადმი, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ დგას სათანადო დონეზე, რაც განაპირობებს როგორც ოფიცერთა, ასევე რიგითი პირადი შემადგენლობის დაბალ რეიტინგსა და ავტორიტეტს. აქედანვე იღებს სათავეს სამხედრო ძალებში არსებული მძიმე მატერიალურ-სოციალური პრობლემები, რომლის თავიდათავი დღემდე გადაუჭრელი "ავადსახსენებელი" საბიუჯეტო დაფინანსებაა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ის მწირი ასიგნებანი, რაც სამხედრო ძალებს გამოეყოფათ, მარტო ჯარის არსებობისთვისაც კი არ კმარა. ჯარის ძირითადი ფუნქცია – საბრძოლო მზადყოფნა – გაუსაძლის მდგომარეობაშია, რომ აღარაფერი ვთქვათ ყველა სასწავლო პროცესზე, რაც მნიშვნელოვნად ასუსტებს ჯარისკაცის მომზადებას, აღზრდას და, ოფიცრის, როგორც პროფესიონალის, განვითარებას. სამხედრო მოსამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა სიცოცხლის უფლება, თუ სამხედრო პირი ვერ გადის შესაბამის სამხედრო წვრთნებს და ვერ ეუფლება სამხედრო ხელოვნებას, ასეთი ჯარი

შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას, ვერც თავს დაიცავს და ვერც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტი იქნება. მოსახლეობას, რომელიც იხდის გადასახადს და ინახავს ჯარს, უფლება აქვს, იცხოვროს უსაფრთხო გარემოში.

არაკალორიული უხარისხო საკვები, სიცივე ყაზარმებში, ელემენტარული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებები, მედიკამენტებისა და შესახვევი მასალების უქონლობა, პირველადი დახმარების არქონა – ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზით არის განპირობებული ჯარისკაცების მიერ სამხედრო სამსახურის თვითნებურად მიტოვება, რაც ხელს უწყობს მათ "დეზერტირად" ქცევას. მარტო თავდაცვის სამინისტროში 2000 წელს 1746 დეზერტირი იყო, ხოლო 2001 წელს – 1334.

დეზერტირობას ხელს უწყობს ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის არასაწესდებო ურთიერთდამოკიდებულება, ხშირია ჯარისკაცთა შორის კონფლიქტები, რაც, პრაქტიკულად, ოფიცრების მხრიდან თვითდინებაზეა მიშვებული.

გარდა ამისა, დეზერტირობის წყაროს წარმოადგენენ ოფიცრების მიერ სახლში გაშვებული ჯარისკაცები, რომელთაც ვერ შეძლეს გარკვეული თანხის გადახდა (ეს თანხა მერყეობს 50-100 ლარამდე თვეში) და იმის შიშით, რომ მათი საქმე გადაცემული იქნება სამხედრო პროკურატურაში, აღარ ბრუნდებიან სამხედრო ნაწილში.

2001 წლის ამნისტიას, პრაქტიკულად, არ მოჰყოლია შედეგი. დღეისათვის, ჩვენი მონაცემებით, დაახლოებით 2000-მდე ჯარისკაცია გაქცეული, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ დეზერტირობის გამომწვევ მიზეზებს არ ვებრძვით. ვიდრე არ შეიცვლება სახელმწიფოს მხრიდან მიდგომა, დეზერტირობის პრობლემა ყოველთვის მოუგვარებელი იქნება და თუ არ შეიცვალა დაფინანსების პოლიტიკა, მაშინ გამოვა, რომ თვითონ სახელმწიფო უბიძგებს ჯარისკაცს დეზერტირობისაკენ.

ყოველივე ამის ფონზე ხშირია სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დარღვევის ფაქტები. უმეტესწილად, მეთაურები ცდილობენ ფაქტების დამალვა-მიჩუმათებას, არც ჯარისკაცები გამოირჩევიან გულწრფელობით იმის შიშით, რომ მეთაურებთან არ დაძაბონ ურთიერთობა; აღსანიშნავია მეთაურის განუსაზღვრელი უფლებამოსილება.

დეზერტირობა

გთავაზობთ მთავარი სამხედრო პროკურატურიდან მოწოდებულ

ინფორმაციას დეზერტირობასა და მის გამომწვევ მიზეზებზე.

საქართველოს სამხედრო ძალებში 2000 წელთან შედარებით, 2001 წელს სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვებულთა და დეზერტირთა რიცხვი გარკვეულად გაიზარდა. 2000 წელს სამხედრო პროკურატურაში და მის რეგიონულ დანაყოფებში სულ აღძრული და წარმოებაში მიღებული იყო 1872 სისხლის სამართლის საქმე დეზერტირობისა და სამხედრო ნაწილის მიტოვების ფაქტზე. 2001 წელს აღიძრა და წარმოებაში მიღებულ იქნა 2498 სისხლის სამართლის საქმე. სამხედრო პროკურატურის განმარტებით, აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო 2000 წლის 28 დეკემბრის "ამნისტიის შესახებ" კანონის გამოყენებით.

დეზერტირთა უფლებების დაცვისა და მათ მიმართ შეღავათების განხორციელების თვალსაზრისით, გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებამ, რომლის მოქმედების ვადა 2001 წლის 28 აპრილამდე განისაზღვრა. მაგალითად, თუ 2000 წელს შეწყვეტილია 160 სისხლის სამართლის საქმის წარმოება, 2001 წ. შეწყდა 1822 სისხლის სამართლის საქმის წარმოება, ანუ 1662-ით მეტი, რაც მეტყველებს ახალგაზრდა თაობის მომავლისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებაზე.

როგორც სამხედრო პროკურატურა აღნიშნავს, დეზერტირთა რაოდენობა არ კლებულობს.

მიზეზი:

დეზერტირობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ პირად შემადგენლობასთან სათანადოდ არ მიმდინარეობს მიზნობრივი აღმზრდელობითი მუშაობა; სრულყოფილად არ სრულდება წესდებათა მოთხოვნები, ჯეროვან სიმაღლეზე არაა საშემსრულებლო დისციპლინა; სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელები დროულად არ ღებულობენ ზომებს თვითდათხოვნაში მყოფი სამხედროების ნაწილში დასაბრუნებლად და მათი მხრიდან არ ტარდება შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის მიზეზი ისიცაა, რომ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები განიცდიან მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას და სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების პერიოდში ისინი ეხმარებიან ოჯახს. სამხედრო ნაწილის მიტოვების ერთ-ერთ მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ სამხედრო ნაწილში არ არის კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, კერძოდ: არა აქვთ საკმარისი რაოდენობით მედიკამენტები და ავადმყოფობის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეები თვითნებურად ტოვებენ

სამხედრო ნაწილს და მკურნალობენ სამოქალაქო დაწესებულებებში. გარდა ამისა, სამხედრო ნაწილები არ არიან სათანადოდ მატერიალურად უზრუნველყოფილნი. სამხედრო ნაწილებში დაბალ დონეზეა ჯარისკაცთა კვება და საყოფაცხოვრებო პირობები. სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობის მხრიდან, პრაქტიკულად, თითქმის არაფერი კეთდება ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა შორის პატრიოტული სულისკვეთების ასამაღლებლად. ასევე პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ხშირად სამხედრო ნაწილებში ოფიცრები შედარებით შეძლებული ოჯახის შვილებს, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად, დიდი ხნით უშვებენ სახლში.

ოფიცერთა თვითნებობა უარყოფითად მოქმედებს სხვა ჯარისკაცებზეც და, იღებენ რა ცუდ მაგალითს, თვითონაც თვითნებურად ტოვებენ სამხედრო ნაწილს.

სამხედრო სამსახურის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს სამხედრო ნაწილებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მოკვლევის სამსახურში მომუშავე პირების განათლებისა და დისციპლინის დაბალი დონე; ხშირად სამხედრო ნაწილის მეთაურებად და მომკვლევებად მუშაობენ ჯარში შემთხვევით მოხვედრილი პირები, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ, ამასთან, სარგებლობენ საეჭვო რეპუტაციით და არც მორალური თვისებებით გამოირჩევიან. მათ მიერ დროულად არ ხორციელდება დანაშაულის გამოვლენა და სათანადო მოკვლევის დროულად და ხარისხიანად ჩატარება.

მკვლელობები და თვითმკვლელობები შეიარაღებულ ძალებში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურიდან 1994 წლიდან დღემდე მკვლელობების, თვითმკვლელობებისა და უბედურ შემთხვევათა შედეგად დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა სტატისტიკა.

1994-2001 წლებში სამხედრო პროკურატურის ორგანოებში თვითმკვლელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე აღიძრა 35 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო მკვლელობისა და თვითმკვლელობის ფაქტზე 113 სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მომხდარი

თვითმკვლელობებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის სტატისტიკური დინამიკა შემდეგია:

რეგიონები	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
თბილისი			5	3	3	4	1	2
ქუთაისი				4		2	2	
გორი					2			
თელავი						1		2
ახალციხე							1	1
სოხუმი	1							
ბათუმი								
ფოთი						1		
სულ:	1		5	7	5	8	4	5=35

თვითმკვლელობამდე მიყვანის აღნიშნული 35 საქმიდან, სისხლის სამართლის 5 საქმე წარიმართა სასამართლოში და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებს, 1994 წლიდან დღემდე საქართველოს სამხედრო პროკურატურის ორგანოებში აღძრულია 113 სისხლის სამართლის საქმე და წლების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

რეგიონები	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
თბილისი	15	18	11	15	6	12	9	2
ქუთაისი	4	1	2	1	2	2	1	2
გორი	8	4	2	3	1	1	1	1
თელავი	4	1	4	3	2	1	1	3
ახალციხე		1				1		2
სოხუმი	5			6	3			2
ბათუმი		1	1	2	1			
ფოთი						1	1	
სულ:	36	26	20	30	15	18	13	12

სულ = 112; 2002 -1. =113

საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, რომელიც აუცილებლად უნდა გახდეს შესწავლის საგანი. გაუგებარია მშვიდობიანობის დროს დაღუპულთა ასეთი საშინელი სტატისტიკა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ გულსატკენია, როდესაც მშვიდობიანობის დროს 148 სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული. საბჭოთა კავშირის დროს, თურმე, სიკვდილიანობის დასაშვები კოეფიციენტიც კი ყოფილა. ვფიქრობ, რომ ასეთ მახინჯ "კოეფიციენტებზე" უარი უნდა განვაცხადოთ. ცინიზმია, რომ წინასწარ დავუშვათ სამხედრო მოსამსახურის სიკვდილი 2002 წელს.

2001 წელს საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციით მივმართე, რათა შექმნილიყო საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლიდა საქართველოს სამხედრო ძალებში მკვლელობებისა და თვითმკვლელობების გამომწვევ მიზეზებს შემდგომში მისი აღმოფხვრის მიზნით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი კომისია არ შექმნილა.

სამხედრო პროკურატურა

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ვერ ფლობს საკმარის და ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებულ მდგომარეობაზე. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ჩამოყალიბებული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა შეიარაღებულ ძალებში სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის განხორციელება, როდესაც საზოგადოება ჩართული იქნება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტის, სამხედრო ძალების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, თითოეული სამხედრო მოსამსახურის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებათა დაცვაში.

სამწუხაროა, რომ ორგანო, რომელიც მიმართული უნდა იყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე, ხშირ შემთხვევაში, თვითონ გვევლინება უფლებების დამრღვევად. სხვაგვარად როგორ შეიძლება შეფასებულ იქნას თავდაცვის სამინისტროს ყოფილი საზღვაო ძალების სარდლის ვ. ჩხარტიშვილის ორწლიანი უკანონო პატიმრობა. უზენაესი სასამართლოს მიერ იგი გამართლებულ იქნა, დაუყოვნებლივ აღადგინეს თანამდებობაზე განაცდურის ანაზღაურებით. შედეგად ვ. ჩხარტიშვილმა, პატივისა და ღირსების შელახვის მოტივით, კომპენსაციის სახით მიიღო

50 000 ლარი. აღნიშნული ფაქტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა, სახეზე გვაქვს კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება მთავარი სამხედრო პროკურატურის მხრიდან საქმეების "შეკერვა".

ვ. ჩხარტიშვილმა მიიღო უზარმაზარი მორალური ზიანი. გარდა ამისა, ჩემთან პირად საუბარში დიდ გულისწყრომას გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას იცნობდა შავი ზღვის წევრი ქვეყნების ყველა სარდალი და უსაფუძვლო ბრალდების გამო მოხდა მისი, როგორც სამხედრო ღირსების მატარებელი პიროვნების, დისკრედიტება. ეს შეეხო არა მარტო მის, არამედ ქვეყნის იმიჯსაც კი.

გაუგებარია, რატომ არავინ აგო პასუხი აღნიშნულ "შეკერილ" საქმესთან დაკავშირებით, ვის დასჭირდა ვ. ჩხარტიშვილისთვის ესოდენ მძიმე ბრალდების წაყენება და, საერთოდ, რა მიზანს ისახავდნენ, როცა თავდაცვის სამინისტროს საზღვაო ფლოტის სარდალს ასე ადვილად ორწლიან პატიმრობაში ამყოფებდნენ. გარდა ამისა, აპარატში მოწოდებული საქართველოს კონტროლის პალატის მიერ სამხედრო ძალებში კორუფციული ნიშნის მქონე მასალებიდან, სადაც ასახულია უზარმაზარი მატერიალური ზარალი, ჩანს, რომ, ფაქტობრივად, არც ერთი სერიოზული საქმე არ არის მიყვანილი ბოლომდე, საქმეთა უმრავლესობა წლების მანძილზე ძიებაშია, რაც იწვევს საფუძვლიან ეჭვს.

გარდა ამისა, მთავარი სამხედრო პროკურატურა ხუთი წლის განმავლობაში არც ერთხელ ყოფილა შემოწმებული.

შემოვდიეარ რეკომენდაციით, ამ საკითხების შესასწავლად შეიქმნას კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება როგორც გენერალური პროკურატურის, ასევე ანტიკორუფციული საბჭოს წევრების, პარლამენტარებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობებით.

კოდორის ხეობა

კოდორის ხეობაში განვითარებულმა მოვლენებმა არაერთგვაროვანი აზრი ჩამოაყალიბა საზოგადოებაში. მოსაზრები ორ ნაწილად გაიყო. ერთნი თვლიდნენ, რომ ეს იყო სამხედრო ოპერაცია, რომელიც აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას შეძლებდა, ხოლო მეორენი მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ჩათრეული იქნებოდა გაუმართლებელ ომში. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ კოდორის ხეობაში იმყოფებოდა გილაევის დაჯგუფება,

რომელიც რუსეთის მხრიდან იწვევდა მწვავე რეაქციას, რაც შემდგომში გამოიხატა დაბომბვებში. მასმედია იტყობინებოდა, რომ სოხუმი პარტიზანების მიერ აღებულია და საჭიროებდა სამხედრო ძალების შესვლას სოხუმში პოზიციების შესანარჩუნებლად, თუმცა, ამავდროულად, აფხაზური მხარე გადმოსცემდა ტელევიზიით სოხუმში ვითარების ამსახველ კადრებს, სადაც ყველა უწყება მშვიდ ვითარებაში აგრძელებდა მუშაობას, ჩვეულ რიტმში მიმდინარეობდა სოხუმის ბაზარში ვაჭრობა. საზოგადოება სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა.

მდგომარეობაში გარკვევის მიზნით და მშვიდობიან მოსახლეობასთან უფლებრივი საკითხების დადგენისთვის, კოდორის ხეობაში მივლინებულ იქნა სახალხო დამცველის რწმუნებული სამხედრო საკითხებში ნ. ეფრემიძე.

შედგა შეხვედრები "პარტიზანებთან", რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საბრძოლო მოქმედებებში. მათი განცხადებით, ისინი ნამდვილად იყვნენ სოხუმის მისადგომებთან და აფხაზურმა მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა სამხედრო თვალსაზრისით; რომ სოხუმის შემოგარენს აკონტროლებდნენ "პარტიზანული" შენაერთები და საჭირო იყო დაუყოვნებლივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. გარდა ამისა, შედგა შეხვედრა გალის რაიონიდან გადმოსულ მშვიდობიან მოსახლეობასთან, რომელიც საუბარში აღნიშნავდა, რომ გალის რაიონში სრული სიწყნარე იყო და აფხაზური შენაერთების მოძრაობა არ შეიმჩნეოდა. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ზუგდიდი-გალის მიმართულებით ჩვეულებრივად მოძრაობდა ტრანსპორტი და მოსახლეობა მშვიდად გადადიოდა გალის რაიონში. ერთ-ერთი მოქალაქის განცხადებით, აღნიშნული მოვლენების დროს იგი იმყოფებოდა ქ. სოხუმში ნათესავებთან. მას მიაჩნდა, რომ ინფორმაცია სოხუმის აღების შესახებ გაზვიადებულია, თუმცა სოხუმის შემოგარენში ნამდვილად ისმოდა იშვიათი სროლის ხმები, შეიმჩნეოდა ფარული პანიკა. მისივე ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს საზღვართან, ადლერის მიმართულებით, შეიმჩნეოდა ხალხმრავლობა, განსაკუთრებით სომეხი ეროვნების წარმომადგენლებისა.

ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გაურკვეველს ხდიდა სიტუაციას.

სამხედრო-პოლიტიკური შეფასებისგან თავს ვიკავებ და ყურადღებას ვამახვილებ შედეგებზე. მივიღეთ ათასობით იძულებით გადაადგილებული მშვიდობიანი მოსახლეობა კოდორის ხეობიდან – ქალები, მოხუცები, ბავშვები, რომლებიც, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ აღმოჩნდნენ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში, ბ-ნმა ე. კვიციანმა, შუამდგომლობისათვის ქ. თბილისის მერთან, ბ-ნ ვ. ზოდელავასთან, რათა დახმარებოდა კოდორის ხეობიდან იძულებით გადაადგილებულთათვის დროებითი თავშესაფრის მოძიებაში. ჩვენ რეკომენდაციით მივმართეთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, ბ-ნ ა. ჯორბენაძეს დროებითი თავშესაფარი ფართის მოძიებაში დახმარებისთვის, რაზედაც პასუხი დღეისათვის მიღებული არ არის.

პანკისი

მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული განსჯის საგანი გახდა პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობა, ე. წ. "უკონტროლო ზონა", რომელიც შეიქმნა ხელისუფლების უსუსურობისა თუ დაინტერესებულ ჩინოვნიკთა მიერ, რომელიც შემდგომში ერთგვარ დანაშაულებრივ ოაზისად იქცა. ნარკოტიკების წარმოება, იარაღით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, კრიმინალების თავშესაფარი და კიდევ უამრავი პრობლემა, რომელიც მიანიშნებს პანკისის ხეობის სრულ უკონტროლობაზე ხელისუფლების მხრიდან.

აქილევსის ქუსლად იქცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობის გამო. არაერთგზის კრიტიკის საგანი გამხდარა ჩვენი ქვეყანა იქ არსებული მდგომარეობით. ქ. მოსკოვში რუსეთ-საქართველოს მაღალ დონეზე შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა, თუ "რაოდენ დიდ საფრთხეს უქმნის რუსეთის უსაფრთხოებას" პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობა. ისეთი აზრი იქმნება, თითქოს პანკისის ხეობაში არსებული მდგომარეობის გამო შეიქმნა ჩეჩნეთის პრობლემა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია ვერ აგვარებს რუსეთი და, ალბათ, იდეალური გამოსავალია ჩეჩნეთის კონფლიქტის უაზროდ გაჭიმვაში რუსეთის საზოგადოებრიობის თვალში დაადანაშაულო საქართველო, რომელიც, თითქოსდა, ხელს უშლის აღნიშნული საკითხის დარეგულირებაში. მათი ვარაუდები იქამდეც კი მივიდა, რომ გამოითქვა მოსაზრება პანკისის ხეობაში ბენ ლადენის შესაძლო ყოფნისა.

აგრეთვე სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული ჩვენი ქვეყანა სტრასბურგში ესპანელი ბიზნესმენის გატაცების მიზეზით, სადაც აღნიშნული იყო ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების

თანამზრახველობა. არაერთგზის საუბრის თემა იყო აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნული პრობლემა, აღარაფერს ვამბობ გაეროს მისიის დამკვირვებელთა განხილვის რაოდენობაზე.

უამრავი მომართვა იყო, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, აგრეთვე მთელი კახეთის მოსახლეობის მხრიდან: ადამიანების გატაცება, საქონლის ქურდობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, რომელიც უკვე სკოლებში ვრცელდებოდა, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მოსახლეობის მწვავე კრიტიკა. მაგალითისთვის: სოფელ ფიჩხოვანში 2000 წელს 320 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დღეს – 115. შიშისა და განუკითხაობის მიზეზით პანკისის ხეობის მიმდებარე სოფლებს ტოვებს მოსახლეობა. შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობ, საკითხი დროულად უნდა მოგვარდეს.

დაძაბულობამ პიკს მიაღწია ოთხი ბერის გატაცების შემდგომ, როდესაც გამტაცებლები გამოსასყიდად ერთ მილიონ დოლარს ითხოვდნენ, მოსახლეობის მხრიდან მართლმადიდებელი ბერების გატაცება არაერთგვაროვნად იქნა აღქმული და მოსახლეობის ნაწილი ამას რელიგიურ ჭრილში განიხილავდა. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები თავის მსხვერპლს რელიგიური ნიშნით არ ირჩევენ. პანკისის ხეობაში არსებულმა მდგომარეობამ საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა სხვა ქვეყნების სპეციალურ სამსახურებს "სამუშაოდ".

ა. წ. 9 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის უშუალო დავალებით, ადგილზე ვითარების შესწავლისა და შესაძლო პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით, მივლინებულ იქნა ჩვენი თანამშრომელი ნ. ეფრემიძე.

იმავე დღეს შედგა შეხვედრა აქციის მონაწილეებს, უშიშროების მინისტრსა და ჩვენი აპარატის თანამშრომელს შორის. აქციის ლიდერის ნ. კახნიაურის განმარტებით, ისინი წარმოადგენენ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის ინტერესებს, რომ მოსახლეობა დაშინებულია იარაღიანი ადამიანების მოძრაობით მთელ რეგიონში; ხშირია ადამიანების გატაცება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, საქონლის ქურდობა. აქციის მონაწილენი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლების მხრიდან დამნაშავეების მფარველობაში. ნ. კახნიაურმა განაცხადა, რომ ქ. თბილისში, ავტომანქანით წითელ შუქნიშანზე გავლის შემთხვევაში, პოლიციის ესკორტი დაგედევნებაო, ხოლო ახმეტის რაიონში არავის უკვირს ნაღმმტყორცნებითა და ავტომატური იარაღით შეიარაღებული ქისტი თუ ჩეჩენი მამაკაცების გამოჩენა.

მათ დააყენეს ხელისუფლებასთან მოთხოვნა, რათა

დაუყოვნებლივ აღმდგარიყო საქართველოს იურისდიქცია, დაუყოვნებლივ, უპირობოდ გაეთავისუფლებინათ ყველა მძევალი და ბოლო მოღებოდა იარაღიანი პირების თარეშს.

9 იანვრის შემდეგ მოვლენები ელვისებური სისწრაფით განვითარდა და აშშ-სა და საქართველოს ერთობლივი ანტიტერორისტული სამხედრო ოპერაციის პერსპექტივა გაჩნდა. გარდა ამისა, საქართველო აშშ-ის მხრიდან 64 მლ. დოლარის დახმარებას მიიღებს, რის შედეგადაც საქართველოს ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ეყოლება 4 კარგად გაწვრთნილი ბატალიონი. ვიმედოვნებ, რომ პანკისის ხეობის პრობლემა უსისხლოდ და უმოკლეს ვადაში მოგვარდება, ტერიტორია დაექვემდებარება კონტროლს და შეწყდება ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკების გავრცელება და გადაიდგმება რეალური ნაბიჯები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სახალხო დამცველის აპარატის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან შეიქმნა ომის ინვალიდთა, ვეტერანთა, დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა სათათბირო. მისი მიზანია, არსებული პრობლემური საკითხების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მეომართა და მათი ოჯახის წევრების მატერიალური, მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. სათათბიროს შემადგენლობაში შევიდა 16 არასამთავრობო ორგანიზაცა.

1. "მეომართა უფლებების დაცვის კავშირი";
2. "საქართველოს მხედრიონის მეომარ-ვეტერანთა კავშირი";
3. "საქართველოს ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოება";
4. "საქართველოს ეროვნული გვარდიის ვეტერანთა საბჭო";
5. "საქართველოს ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირი";
6. "მებრძოლ სპორტსმენთა კავშირი";
7. აფხაზეთის ომის მონაწილე ვეტერანთა და ინვალიდთა კავშირი "ფსოუ";
8. "საქართველოს ეროვნული გვარდიის კავშირი";
9. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა კავშირი "ომი და მშვიდობა";

10. ვეტერან და ინვალიდ მეომართა კავშირი "ავღანეთის ვეტერანები საქართველოსთვის";

11. სრულიად საქართველოს მეომარ ვეტერან-ინვალიდთა კავშირი "ფარი და მახვილი";

12. ომის ვეტერანთა და ინვალიდთა საქველმოქმედო ფონდი "გიორგი";

13. აფხაზეთის ინვალიდ-მეომარ ტრანსპორტელთა კავშირი "აბჯარი";

14. ადამიანის უფლებების დაცვისა და დახმარების კავშირი "ნდობა";

15. "მეგობართა კავშირი";

16. სოხუმის გარნიზონის მეომართა კავშირი " ჯიხა";

17. "თბილისის ევრო-ატლანტიკური კვლევების ცენტრი".

რატომ ფერხდება არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის ამოქმედება?

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს პარლამენტი კანონშემოქმედებით მუშაობას ყოველწლიურად მაღალი მაჩვენებლებით ამთავრებს, მაგრამ ერთია კანონის მიღება და, მეორე – მათი ცხოვრებაში გატარება. კოლიზია რეალობასა და კანონებს შორის კი მთავრდება იმით, რომ საქართველოს მოქალაქეები კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით დღემდე ვერ სარგებლობენ. ერთ-ერთი ასეთი უფლება, რომელიც კანონიერ ძალაში 1997 წელს შევიდა, მოქალაქეს არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის არჩევის ნებას აძლევს.

შეიძლება ცოტა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონი საქართველოში პირველად 1991 წელს, ყოფილი უზენაესი საბჭოს მიერ იქნა მიღებული და მას ხელს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აწერდა.

იმხანად ბევრმა სახელმწიფო მოხელემაც კი ვერ გაიგო, თუ რა საჭირო იყო ასეთი კანონის მიღება მაშინ, როცა, არათუ არავინ ამბობდა უარს სამხედრო სამსახურზე, არამედ ახლადჩამოყალიბებული ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა, ფაქტობრივად, ვერ აუდიოდა სამხედრო რიგებში ჩარიცხვის მსურველებს.

თუმცა, პრეზიდენტ გამსახურდიას მოტივაცია გასაგები იყო – მას სურდა, დემოკრატიული კანონებით თანდათან გამიჯვნოდა

იმ ტოტალურ სისტემას, რომლისთვისაც მიუღებელი იყო ყოველგვარი ჰუმანური კომპრომისი რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის.

ცხადია, გამსახურდიას დამხობის შემდეგ ეს კანონი დიდი ხანი აღარავის მოუკითხავს, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც სიტყვას დაძრავდნენ არასამხედრო ალტერნატივაზე, იძულებულნი ხდებოდნენ კომისარიატში "სექტანტობის" დამადასტურებელი საბუთი წარედგინათ ან პირდაპირ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" მონაცემებით, ამ პერიოდში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ალტერნატიული სამსახურის მსურველ წვევამდელზე, სამხედრო ვალდებულების მოხდისაგან თავის არიდების მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა, ხოლო რამდენჯერმე ალტერნატიული სამსახურის მთხოვნელს თავისუფლების აღკვეთაც კი მიესაჯა.

შესწორებული კანონის მიხედვით, ალტერნატიულ შრომით სამსახურად გამოცხადდა 36-თვიანი საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახური – საავარიო-სამაშველო, ეკოლოგიური, ხარძარსაწინააღმდეგო, კომუნალური მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში. ასეთი ფორმით ვალდებულების მოხდის უფლებას კი ის წვევამდელები მოიპოვებდნენ, რომლებიც შეძლებდნენ დასაბუთებას, რომ სწორედ სინდისის, აღმსარებლობის ან რწმენის მოტივით ამბობდნენ უარს სამხედრო სამსახურის გავლაზე.

დასაბუთების პროცედურა კი შემდეგნაირად უნდა წარიმართოს – წვევამდელი ჯერ სამხედრო კომისარიატს მიმართავს შესაბამისი განცხადებით, მოძიებული მასალების მიხედვით, კომისარიატი გამოიტანს შუალედურ დასკვნას, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სახელმწიფო კომისიას გადაეგზავნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში კანონიერი უფლებით ჯერ არც ერთ წვევამდელს არ უსარგებლია. კანონის აუმოქმედებლობა კი, როგორც წესი, ერთ ძალიან ნაცნობ პრობლემას უკავშირდება. როგორც ირკვევა, ყოველწლიურად მატულობს იმ წვევამდელთა რაოდენობა, რომლებიც სინდისისა და რწმენის მოტივით უარს ამბობენ სამხედრო სამსახურის გავლაზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მირიან კიკნაძის ინფორმაციით, მათი რიცხვი მხოლოდ გასულ წელს 470

კაცს შეადგენდა.

ფინანსებს უქონლობა ერთ-ერთი მიზეზია და არა ერთადერთი. არსებობს არანაკლებ რთულად გადასალახი პრობლემა. კერძოდ, კანონში არაფერია ნათქვამი იმ პროცედურისა თუ კრიტერიუმის შესახებ, რომლითაც ადამიანმა უნდა დაასაბუთოს, რომ მას სწორედ სინდისი, აღმსარებლობა ან რწმენა უკრძალავს იარაღის ხელში აღებას და არა დეზერტირობის სურვილი.

მაგრამ ყველაზე დაუჯერებელი მთელ ამ სიტუაციაში ის არის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს მთავარი – თვით ის სახელმწიფო კომისია, რომელმაც არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში მსურველთა ჩარიცხვა-არჩარიცხვის საკითხი და "უიარაღო ჯარისკაცების" შემდგომი ბედი უნდა გადაწყვიტოს.

მიუხედავად სახალხო დამცველის 2000-2001 წლის მოთხოვნისა, არა და არ ამოქმედდა კანონი "არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის" შესახებ.

2001 წლის ოქტომბრის მოვლენები

საქართველოს უშიშროების სამსახურის შეჭრამ ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ში, საფინანსო დოკუმენტაციის ამოღების მიზნით, სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია მთელ საზოგადოებაში. აღნიშნული ფაქტი აღქმული იქნა, როგორც თავისუფალი მედიის ხელყოფა სპეცსამსახურების მხრიდან. შედეგად, ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის თანამშრომლებსა და უშიშროების წარმომადგენლებს შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. თავისუფალი მედიის მხარდასაჭერად "რუსთავი-2"-ის ოფისთან შეიკრიბა საზოგადოების თითქმის ყველა წარმომადგენელი – არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტელიგენცია, სტუდენტური ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, რიგითი მოსახლეობა. შეკრება შემდგომ მიტინგად გადაიქცა, სადაც ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ სპეცსამსახურების თარეშის აღკვეთას და თავისუფალი მედიის დაცვას. სპეცსამსახურების "თარეშის" აღკვეთისა და პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით, "რუსთავი-2"-ის ოფისთან მივედით სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა ჯგუფი.

ხელისუფლების უმოქმედობამ მიტინგის მონაწილეთა გაღიზიანება გამოიწვია. დადგა ხელისუფლების გადაყენების საკითხი და მიტინგის მონაწილეებმა საქართველოს პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლეს.

შემდგომ განვითარებული მოვლენები ყველას კარგად მოგეხსენებათ. მინდა ხაზი გავუსვა ორ გარემოებას – პირველი, არავის აქვს უფლება, რაიმე ფორმით. შეზღუდოს თავისუფალი მედია და, მეორე – ხელი შეუშალოს გაფიცვის ფორმით ხალხის აზრის გამოხატვას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა არაერთმა სტუდენტურმა ორგანიზაციამ, მათი წევრების სპეცსამსახურების თანამშრომლების მიერ გატაცებისა თუ დაშინების მცდელობით. მაგალითად, უნივერსიტეტის ბაღში, ჩვენი თანდასწრებით, თავხედურად, ხელიდან ართმევდნენ სტუდენტებს მეგაფონებს. გარდა ამისა, სტუდენტების ჯგუფთან ერთად ჩვენც ვიყავით მიმწყვდეული უნივერსიტეტის ღობესთან, სადაც აშკარა პროვოცირებას ჰქონდა ადგილი სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სპეცსამსახურების თანამშრომელთა მხრიდან შეურაცხმყოფელი სიტყვებითა და დროშების ხელიდან გამოგლეჯით. დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ჩვენი აპარატის თანამშრომლებს, რომ დაახლოებით 100 სტუდენტი მშვიდობიანად გაეყვანათ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიიდან.

თავი V. სახალხო დამცველის აპარატის მოქალაქეთა მომართვებისა და მიღების დეპარტამენტის მიერ განხილული კონკრეტული საქმეები

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დაშვებული დარღვევებისა და დანაშაულის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მრავალი განცხადება-საჩივარი შეეხება სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დაშვებულ დარღვევებს. მათი შესწავლის შედეგად საშუალება მომეცა, გამეკეთებინა მნიშვნელოვანი დასკვნა იმ სერიოზული დარღვევებისა თუ დანაშაულობების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ამ მიმართებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, მთელი რიგი სხვა სამინიტროების, უწყებებისა და სასამართლოების საქმიანობაში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, პრივატიზების შესახებ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოთა ორგანიზაციული სამართლებრივი მართვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, მთელ რიგ შემთხვევებში, ქმნიან მათში დასაქმებული თანამშრომლების, ანუ კანონიერ მესაკუთრეთა განსახელმწიფოებრიობის პროცესისაგან ხელოვნურად ჩამოშორებისა და ამ საწარმოთა ქონების სხვა დაინტერესებულ, უცხო პირების მიერ სახელმწიფოსათვის სრულიად მიუღებულ, არახელსაყრელ და საზიანო ფასებში ხელში ჩაგდების პირობებს, რითაც სახელს უტეხენ და ეჭვის ქვეშ აყენებენ ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს და მის შედეგებს.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ უხეშად დაარღვია რა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ კანონის მოთხოვნები, ფაქტობრივად, უარი ეთქვა ამავე სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 29 დეკემბრის №3826404 დადგენილებით დამტკიცებულ, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტთან შეთანხმებული ლილოს სამრეწველო-საწარმო სამშენებლო კომბინატის "სტიმულის" აქციონირებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი პრივატიზაციის გეგმის შესრულებაზე, კერძოდ, უფასოდ 1541 ცალი, ანუ 3%-ის, შეღავათით 771 ცალი, ანუ 1,5%-ისა და პირდაპირი შესყიდვით

25.780 ც., ანუ 51% აქციათა განაწილების შესახებ.

ეყრდნობოდა რა 1995 წლის 10 მარტის ს/ს "მეწარმეს" თანამშრომელთა საერთო კრების ყალბი ოქმის მოთხოვნებს, 1995 წლის 27 მარტს *საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილის შ. კობერიძის* მიერ სააქციო საზოგადოება "მეწარმეს" გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილ 01-12/1511 წერილში მითითებული იყო უფასოდ და შეღავათებით გასაცემად გათვალისწინებულ აქციათა დასახელებული რაოდენობის გადაცემა საზოგადოების უკლებლივ არა 68 წევრზე, არამედ, შესაბამისად, 23 თანამშრომელზე. ასევე, ამავე სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 5 ივნისის №26.46675 დადგენილებით, რომელსაც *ხელს აწერს მინისტრი ა. სილაგაძე და კოლეგიის მდივანი ნ. მეტრეველი*, სააქციო საზოგადოება "მეწარმეს" 1995 წლის 27 მარტის საერთო კრების ყალბი ოქმის საფუძველზე, პრივატიზაციის ზემოაღნიშნული გეგმით გათვალისწინებული 51%-ის პირდაპირი შესყიდვის ნაცვლად, "მეწარმეს" არა ყველა, არამედ ზოგიერთ თანამშრომელს მიეცა უფლება აქციათა მხოლოდ 9,75%-ის შესყიდვის შესახებ, რითაც უხეშად დაირღვა "სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წ. 14 აპრილის №288 დადგენილებით გამოცხადებული "სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ" დებულების I ნაწილის მე-13 მუხლის მეორე აბზაცის მოთხოვნები, რომლითაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მიერ დამტკიცებული საწარმოს პრივატიზაციის გეგმა არის მისი აქციების ემისიის პროსპექტი, ხოლო ამავე დებულების მე-14 პუნქტის მიხედვით, აქციათა გაყიდვა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საწარმოს დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმის შესაბამისად.

აქვე აუცილებლად უნდა მივთითოს იმ გარემოებაზე, რომ ს/ს "მეწარმეს" 1995 წლის 10 და 27 მარტის საერთო კრებები, როგორც ეს დაადგინა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე გენერალური პროკურატურის დავალებით წარმოებულმა შემოწმებებმა, არ ჩატარებულა, ხოლო მისი შესაბამისი ოქმები გაყალბებულ იქნა.

გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წაყრუებით, საქართველოს რესპუბლიკის

არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 17 იანვრის №12 დადგენილებით, "ლილოს სამრეწველო საწარმოთა კომბინატი "სტიმული", რომლის გარდაქმნა 1994 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმით გათვალისწინებული იყო სააქციო საზოგადოება "მეწარმედ", შეყვანილ იქნა ჰოლდინგური კომპანია "მშენებელის" შემადგენლობაში, რითაც დაირღვა "ჰოლდინგური კომპანიების (ჰოლდინგების) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 20 აგვისტოს №634 დადგენილების 1.2. და 1.7. მოთხოვნები, რომლებითაც მათი შექმნა გათვალისწინებული იყო იმ კომპანიებისა და სააქციო საზოგადოებების ბაზაზე, სადაც სახელმწიფოს წილი შეადგენდა აქციათა საკონტროლო პაკეტების 50%-ზე მეტს. სამშენებლო-სამრეწველო კომბინატ "სტიმულის" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ დამტკიცებული პრივატიზაციის გეგმით კი, როგორც ითქვა, სახელმწიფო წილი საზოგადოების ქონებაში წარმოადგენდა მხოლოდ 44,5%-ს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ, მართალია, თბილისის სამგორის რაიონის გამგეობის 1995 წლის 14 თებერვლის №59 განკარგულებით ს/ს "მეწარმე" გატარებულ იქნა რეგისტრაციაში, მაგრამ ჰოლდინგური კომპანია "მშენებელის" შემადგენლობაში მისი დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ შეყვანის შემდეგ, 1995 წლის 27 ივნისს, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა თვით ეს დასახელებული კომპანია, რის შემდეგაც ს/ს "მეწარმე" დამოუკიდებელ ფუნქციონირებას წყვეტდა და იგი მოიაზრებოდა უკვე ჰოლდინგურ კომპანია "მშენებლის" შემადგენლობაში.

ამგვარი გზით, ჩამოაშორეს რა პრივატიზაციის პროცესს, სამრეწველო-სამშენებლო საწარმო კომბინატ "სტიმულის" თანამშრომლებმა ვერ შეძლეს გეგმით გათვალისწინებულ აქციათა უფასო, შედავათებით (ფასდაკლებით) და პირდაპირი შესყიდვით შეძენა, რითაც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მასთან კავშირში მყოფმა დაინტერესებულმა პირებმა შექმნეს დასახელებული საწარმოს, სააქციო საზოგადოება "მეწარმეს" სახით ნულოვან აუქციონზე, ასევე კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაყიდვის პირობები.

როგორც აღინიშნა, ამ პერიოდისათვის სამრეწველო-საწარმო კომბინატი "სტიმული" კანონსაწინააღმდეგოდ შეყვანილი იყო ჰოლდინგური კომპანია "მშენებელის" შემადგენლობაში სააქციო

საზოგადოება "მეწარმეს" სახით, რომელშიც სახელმწიფო წილი შეადგენდა 50%-ზე ნაკლებს. არ ითვლებოდა რა დამოუკიდებელ სამრეწველო ერთეულად, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების დაჩქარების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 27 ივნისის №328 ბრძანებულების თანახმად, იგი არ ექვემდებარებოდა ნულოვან აუქციონზე გაყიდვას, ვინაიდან დასახელებული დადგენილებით, სპეციალიზებული ფულადი აქციების წესით, საწყისი ფასის გარეშე, შეიძლება გაყიდულიყო მხოლოდ ის სააქციო საზოგადოებები, რომლებშიც სახელმწიფო წილი შეადგენდა 50%-ზე მეტს. გარდა ამისა, ჰოლდინგურ კომპანია "მშენებლის" შემადგენლობაში მყოფი, კანონის დარღვევით სააქციო საზოგადოება "მეწარმეს" სახით გაერთიანებული სამრეწველო საწარმოო კომბინატი "სტიმული" სასამართლოში ხელახლა არ ყოფილა რეგისტრირებული, რის გამო, არც ფორმალურად და არც ფაქტობრივად, იგი არ ითვლებოდა სააქციო საზოგადოებად და ამ მიზეზით მისი ნულოვან აუქციონზე გატანა დაუშვებელი იყო.

როცა ვეხებით პრივატიზების პროცესის კანონიერებას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სასამართლო ორგანოების საქმიანობას, მის ადგილს, როლსა და მნიშვნელობას ქონების განსახელმწიფოების პროცესში მოქმედი კანონმდებლობის სწორი გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში. ამ მხრივ, სამინისტროებისა და უწყებების მიერ დაშვებული დარღვევები და დანაშაულებრივი ფაქტები უნდა აისახებოდეს სასამართლო ინსტანციების საქმიანობაში კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით, რაც, რიგ შემთხვევაში არ ხდება და ამით ჩრდილი ადგება რეფორმირებული სასამართლო ორგანოების პრესტიჟსა და ავტორიტეტს. პრობლემა მით უფრო აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ადგილი აქვს დანაშაულებრივ ქმედებებს, რაც დაფიქსირებულ იქნა სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს ჩატარებული კვლევითი სამუშაოების დროს.

ამ შემთხვევაში შევჩერდებით ისევ სამრეწველო-სამშენებლო საწარმო კომბინატ "სტიმულის" პრივატიზების კანონიერების საკითხზე სასამართლოს, კერძოდ, ქ. თბილისის სამგორის რაიონის, თბილისის საქალაქო, საოლქო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებისა და ამ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში

გამოვლენილ დარღვევებსა და დანაშაულებზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შემოწმების პროცესში შეგროვდა მასალები, რომლებითაც ირკვევა, რომ სააქციო საზოგადოება "მეწარმეს" პრივატიზების ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (ძველი რედაქცია) 293-ე მუხლით დადგენილ 14 დღის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს არ გაუსაჩივრებია, რის გამოც იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

გასაჩივრების დადგენილი ვადების დარღვევით შექმნილი არახელსაყრელი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, დაინტერესებული პირების მიერ, *სამგორის რაიონის მოსამართლე ნ. ნებიერიძესთან* კავშირში, ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოში შეტანილ იქნა არა დედნისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბლანკზე, არამედ ქაღალდის სუფთა ფურცელზე შესრულებული საკასაციო საჩივრის ქსეროასლი, რომელზეც *ხელისმოწერას მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი ი. ქავთარაძე კატეგორიულად ვერ ადასტურებს* და გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ამ საკითხზე შესაბამის საექსპერტო დაწესებულებასთან. დასახელებული საკასაციო საჩივარი არ არის რეგისტრირებული კანცელარიაში და მასზე არ აღინიშნება სამინისტროს გასავლის ნომერი და თარიღი.

როგორც ი. ქავთარაძე ჩემს სახელზე დაწერილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ ის ხელს მოაწერდა საკასაციო საჩივარს, იგი აუცილებლად იქნებოდა შესრულებული ორიგინალის სახით სამინისტროს ბლანკზე და მასზე იქნებოდა მითითებული კანცელარიის გასავლის ნომერი და თარიღი, რაც ამ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, არ არის გაკეთებული.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონ გ. ფრუიძის ჩემს სახელზე გადმოგზავნილ, 2001 წლის 12 ნოემბრის №72-2344/6 წერილიდან ირკვევა, რომ სამინისტროში ვერ იქნა მოძიებული დასახელებული საკასაციო საჩივრის ასლი, ასევე მათთან არ შესულა სამგორის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება ს/ს "მეწარმეს" პრივატიზების ბათილად ცნობის შესახებ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვისათვის გამიზნული ზემოხსენებული საკასაციო საჩივარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო გადაგზავნილი რაიონულ სასამართლოში.

32

დასახელებული საკასაციო საჩივრის ქსეროასლზე აღინიშნება ს. ბერიაშვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ჩიღვინიძის ხელმოწერა და ტექსტი: "მეცნობა კასაციის დღე – 30 ოქტომბერი, 1998 წ.", რაც ამ უკანასკნელის განმარტებით, არ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან არ გადასცემია რა მას საკასაციო საჩივრის ქსეროასლი, ხელმოწერა და მინაწერი მასზე არ გაუკეთებია და იგი შეასრულა ქაღალდის სუფთა ფურცელზე, რაც შემდგომში სიყალბეების ჩადენით გზით გადატანილია დასახელებული დოკუმენტის ქსეროასლზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის რეგისტრირებული სამგორის რაიონის სასამართლოშიც, ხოლო მოსამართლე ნ. ნებიერიძის მიერ მის ქსეროასლზე, თარიღის მითითების გარეშე, შესრულებულია ორიგინალით მინაწერი "მდ. ჩაინიშნოს განსახილველად 1998 წლის 30 ოქტომბერს", რაც ფრიად საეჭვოს ხდის მის კავშირს დასახელებული სიყალბეების ჩადენასთან. ამასთან, საკასაციო საჩივარი (ქსეროასლი) სამოქალაქო საქმესთან ერთად გადაგზავნილია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში 1998 წლის 18 ოქტომბერს.

ხსენებული, სავარაუდოდ ყალბი, საკასაციო საჩივარი გახდა ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს მიერ, 1999 წლის 2 მარტის ს/ს "მეწარმეს" პრივატიზაციის ბათილად ცნობის თაობაზე ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ამჟამად აღნიშნული და სხვა დარღვევების გამო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის სასამართლოს 2001 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით (საქმე 2/1082) გაუქმებულია ქ. თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, ს/ს "მეწარმეს" პრივატიზების ბათილად ცნობის საკითხზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "გ" პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გენერალურ პროკურორს ჩემს მიერ გაეგზავნა რეკომენდაცია დასახელებული სიყალბეების ჩადენასთან დაკავშირებით სათანადო შემოწმების, სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და მასზე გამოძიების სრულყოფილი, ყოველმხრივი და ობიექტური ჩატარების შესახებ.

კორპორაცია "ქოლორის" მეანაბრეების ნ. გოდერიძისა და სხვების სასარჩელო განცხადება სახალხო დამცველის წინააღმდეგ

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი წარმოადგენს სტრუქტურას, რომელიც ფუნქციონირებს ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად. საქართველოს კონსტიტუციითა და "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. იგი ამოწმებს რა დამოუკიდებლად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით, წარუდგენს რეკომენდაციებს შესაბამის სასამართლო ინსტანციებს ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების თაობაზე, თუკი მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას შეეძლო, არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

კანონით მინიჭებული ამ უფლებამოსილებათა განხორციელება სახალხო დამცველისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოქმედებათა სიზუსტეს მაშინ, როცა საქმე ეხება სამოქალაქო დავაში მონაწილე მხარეთა უფლებებს. სახალხო დამცველი ვალდებულია, კანონშესაბამისად იმოქმედოს იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო გადაწყვეტილებებით არ არის დარღვეული ერთი მხარის ინტერესები, მაგრამ იგი, პირდაპირ თუ ირიბად, ეხება მეორე მხარის კანონიერ ინტერესებსაც.

2001 წლის 20 მარტს №209/03-7-ჩ რეკომენდაციით მიემართე თბილისის საოლქო სასამართლოს კორპორაცია "ქოლორის" მეანაბრის გიული ჩხაიძის კანონიერი ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით, დასახელებული კორპორაციის სხვა წევრებთან ერთად მოძიებულ ქონებაზე, მისი უფლებამოსილების აღდგენის მიზნით, განეხილა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 1994 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი, რასაც მოჰყვა აღნიშნული კორპორაციის სამართალმემკვიდრე, შპს "ანთას" მეანაბრეთა ნ. გოდერიძისა და სხვათა მიერ სასამართლოსათვის მიმართვა სასარჩელო განცხადებით, რომლითაც სახალხო დამცველისაგან ითხოვდნენ თბილისის საოლქო სასამართლოსადმი გაგზავნილი, 2001 წლის 20 მარტის

33

წერილის უარყოფას, ბოდიშის მოხდას და მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას 250.000 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 2002 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელეების სარჩელი. ამასთან განმარტა, რომ სახალხო დამცველის წერილი თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარისადმი არ შეიძლება მოაზრებულ იქნას მოსარჩელეთა პატივისა და ღირსების შემლახავ, შეუფერებელი ინფორმაციის გავრცელებად, რადგან იგი მოქმედებდა "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-12 მუხლისა და 21-ე მუხლის "ე" პუნქტის უფლებამოსილების ფარგლებში. წერილობითი რეკომენდაციით მან მხოლოდ დააფიქსირა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისადმი თავისი შეხედულება და მოსაზრება, ხოლო იმავე კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების შესრულებისას გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის, სახალხო დამცველს არ მოეთხოვება პასუხი.

გარდა ამისა, დასახელებული წერილობითი რეკომენდაციების შედეგად, მოსარჩელეებს არ წარმოშვიათ რაიმე სახის ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი.

ჭიათურის გამგებლის დ. ივანიშვილის მიერ ო. ბაქრაძის სამსახურიდან უკანონო დათხოვნისა და საბიუჯეტო ტრანსფერით გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლით გამოირკვა, რომ *ჭიათურის გამგებლის დ. ივანიშვილის* მიერ ადგილი ჰქონდა კულტურის სახლის დირექტორის ოვა ბაქრაძის დევნის, ამ უკანასკნელის თანამდებობიდან ორჯერ უკანონოდ გათავისუფლებისა და მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვის შემთხვევებს.

როგორც შემოწმებით დადასტურდა, სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტის დავალიანებამ შეადგინა 9 ათასი ლარი, საიდანაც პედაგოგთა 6 თვის სახელფასო დავალიანებამ 1999 წლის 1 ივლისისათვის მიაღწია 753,9 ათას ლარს.

შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჭიათურის ადგილობრივ ბიუჯეტში გადაცემულ იქნა მიზნობრივი ტრანსფერი 865.0 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 566,0 ლარი განკუთვნილი იყო განათლების სისტემის დაფინანსებისთვის, 90,0 ლარი მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახების დახმარებისათვის და სხვ.

მიუხედავად ამისა, "ქ. ჭიათურის საბიუჯეტო ორგანიზაციებზე ხელფასების დავალიანებების დაფარვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", მერიის №27.211 გადაწყვეტილებით, ზემოხსენებული თანხების უსაფუძვლო გადანაწილების გზით, არამიზნობრივად იქნა გახარჯული 259,6 ლარი. ტრანსფერით გათვალისწინებული 466,0 ლარის ნაცვლად, განათლების სისტემის დაფინანსებისათვის გამოყოფილ იქნა 169,6 ლარი, ხოლო მიწისძვრით დაზარალებული ოჯახებისათვის 90 ათასი ლარი სხვადასხვა საბიუჯეტო დაწესებულებათა დავალიანების დასაფარად გაიხარჯა.

დასახელებული დარღვევების შესახებ 2001 წლის 10 აგვისტოს *საქართველოს პრეზიდენტს გაეგზავნა ინფორმაცია, რომელმაც საკითხის სრულყოფილი შესწავლა იმავე წლის 27 აგვისტოს დაავალა იმერეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულს, ბატონ თ. შაშიაშვილს.*

აღნიშნული დარღვევების ფონზე, გაკვირვებას იწვევს მხარეში *პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ზ. ქაჯაიას* მიერ გამოგზავნილი პასუხი, რომლითაც ჭიათურის გამგებლის მიმართ განმცხადებელთა მიერ გამოთქმული პრეტენზიები ახსნილია მათი სუბიექტური მოსაზრებებით.

ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრის ა. რცხილაძის ბინით დაკმაყოფილების შესაძლო საშუალებების გამოძებნის თაობაზე

ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი ავთანდილ რცხილაძე 1988 წლიდან იმყოფებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის აღრიცხვაზე. ამ მიზნით მას, სხვადასხვა დროს, "ბინსოცბანკის" ქ. თბილისის კალინინის რაიონის ფილიალში შეტანილი ჰქონდა მშენებლობისათვის საჭირო თანხა 120.000 საბჭოთა მანეთის ოდენობით.

დღემდე ა. რცხილაძე არათუ არ არის დაკმაყოფილებული

საცხოვრებელი ბინით, არამედ 1992 წელს იგი სრულიად უსაფუძვლოდ გაირიცხა დასახელებული ბინათმშენებლობის წევრობიდან წმინდა პოლიტიკური მოტივებით, 1991-92 წლების მოვლენების კვალდაკვალ. ჩემი ადრინდელი რეკომენდაციების საფუძველზე, 2001 წლის დეკემბერში, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის, ბატონ თ. ჯიჯიაშვილის მიერ მას ეცნობა, რომ საცხოვრებელი ბინის ნაღდ ანგარიშზე შესასყიდად გამოეყოფოდა 6000 აშშ დოლარი.

მას შემდეგ ა. რცხილაძეს რამდენჯერმე მიეცა შესაძლებლობა, ხელმისაწვდომ ფასებში შეესყიდა საცხოვრებელი ბინა, რომელიც დააკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნებს, მაგრამ იმ მიზეზით, რომ მას ხელზე არ აღმოაჩნდა ადნიშნული თანხა, ვერ მოახერხა ბინის ყიდვა.

გავითვალისწინე რა ის გარემოება, რომ ა. რცხილაძის საბინაო ფართით დაკმაყოფილება სხვადასხვა მიზეზის გამო ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა, რის გამოც მის ინტერესებს მიადგა როგორც ფინანსური, ისე მორალური ზიანი. *ქ. თბილისის მერთან, ბატონ ვ. ზოდელავასთან* შეეყედი რეკომენდაციით, განეხილა ნებისმიერ ბანკში ამ უკანასკნელის ანგარიშზე მერიის მიერ შეპირებული თანხის ჩარიცხვის საკითხი, რაც მას საშუალებას მისცემდა, საცხოვრებელი ბინის აღმოჩენის შემთხვევაში, მოეხდინა მისი ნაღდ ანგარიშზე შესყიდვა. რეკომენდაცია გაზიარებულია.

რ. ხაჟომიას აღკვეთი ღონისძიების – პატიმრობის შესახებ ვადის გაგრძელების კანონიერების თაობაზე ადვოკატ შ. ძინძიბაძის განცხადების შესახებ

2001 წლის 18 ოქტომბერს განცხადებით მომმართა ადვოკატმა შორენა ძინძიბაძემ, მისი დაცვის ქვეშ მყოფი რომან ხაჟომიას აღკვეთი ღონისძიების – პატიმრობის ვადის უსაფუძვლოდ გაგრძელებისა და სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების გაჭიანურების შესახებ.

როგორც განმცხადებელი მიუთითებდა, რ. ხაჟომია საქართველოს სსკ 170-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "დ" პუნქტებით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში 2001 წლის 18 ივლისს, ხოლო აღკვეთი ღონისძიება – პატიმრობა – შეეფარდა 19 ივლისს.

აქედან მოყოლებული, საქმეზე ჩატარებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, რ. ხაჟომიასთან დაზარალებულ ლ. მებონიას დაპირისპირება, რა დროსაც ამ უკანასკნელმა უარყო ბრალდებულის მონაწილეობა ყაჩაღურ თავდასხმაში და მისი სამარშრუტო ტაქსში ყოფნა. ასევე განხორციელდა ხაჟომიასა და ბრალდებულ ხათუნა ბასილეიშვილის დაპირისპირება, რის შემდეგ მომდევნო სამი თვის განმავლობაში არანაირი საგამოძიებო მოქმედება საქმეზე არ ჩატარებულა და, შესაბამისად, არ ყოფილა გამოძიების მიერ მოპოვებული ბრალდების დამადასტურებელი დამატებითი მტკიცებულებები.

ასეთ პირობებში *შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელ ე. გორგაძის მიერ*, 2001 წლის 13 ოქტომბერს ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს წინაშე დაყენებულ იქნა სრულიად დაუსაბუთებელი შუამდგომლობა რ. ხაჟომიასათვის საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ, რასაც ასევე უსაფუძვლოდ დაუჭირა მხარი *საქართველოს გენერალური პროკურორატურის მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორმა დ. წითურმა.*

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული დადგენილებით სათანადოდ არ არის დასაბუთებული საპატიმრო ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა და იგი შემოიფარგლება ზოგადი მითითებით "მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობის შესახებ".

აქედან გამომდინარე მივიჩნიე, რომ *ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ჰ. ქობულაძის* 2001 წ. 18 ოქტომბრის ბრძანება, რ. ხაჟომიას საპატიმრო ვადის 20001 წლის 18 ნოემბრამდე გაგრძელების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელი იყო.

ამასთან, საჭიროდ ჩავთვალე, გამემახვილებინა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ რომან ხაჟომია არის სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტის ნინო ხაჟომიას ძმა, რის გამოც ადვოკატმა და ბრალდებულის ახლო ნათესავებმა მიიჩნიეს, რომ დაპატიმრების ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მათ მიმართ შურისძიების გამოხატულებას და იგი გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით. აღნიშნულის დამადასტურებლად განმცხადებელი მიუთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გამოძიებას ჰქონდა მცდელობა, გამოეყენებინა ვახტანგ ჯაჭვაძისა და ვაჟა მაისურაძის ჩვენებები,

რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ყაჩაღობის ფაქტთან და წარსულში ისინი ფიგურირებდნენ მოწმეებად სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, რათა შეემოწმებინა რ. ხაუომიას საპატიმრო ვადის გაგრძელების კანონიერების საკითხი.

რეკომენდაცია დაკმაყოფილებულ იქნა. სასამართლოს ბრძანებით, დადგენილი პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ რ. ხაუომია გათავისუფლებულ იქნა საპყრობილედან.

ი. სანაიას, გ. ზარქუასა და ზ. გვაზავას დაუსაბუთებელი ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ

ჯერ კიდევ 2000 წლის 21 ივნისსა და 6 ივლისს დავაყენე უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის დაუსაბუთებელი ბრალდებით, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ი. სანაიას, გ. ზარქუასა და მ. გვაზავას სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი, *რაც საქართველოს გენერალური პროკურორის (ჯ. ბაბილაშვილის) მიერ, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, არ იქნა გაზიარებული.*

რეკომენდაციებით პროკურატურის ორგანოებისადმი მიმართვა განაპირობა დასახელებული პირების უფლებების ხელყოფამ, რაც გამოწვეული იყო სათანადო მტკიცებულებათა უკმარისობის პირობებში, აღნიშნული ბრალდებით, მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემითა და პატიმრობაში აყვანით, რაც მთლიანად იქნა დადასტურებული მოვლენათა შემდგომი მსვლელობით.

რეკომენდაციით მიმართვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 2001 წლის 12 ივლისს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გ. ზარქუას პატიმრობა შეეცვალა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადაცემით; მიმდინარე წლის 11 იანვარს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით, ნ. გვაზავას, მ. ზარქუასა და ი. სანაიას წარდგენილი ბრალდება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის ნაწილში მოეხსნათ და მათ მიმართ ბრალდების ამ ეპიზოდში შეწყდა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 2001 წლის აგვისტოსა და 2002 წლის 29 იანვარს გ. ზარქუა და ი. სანაია გათავისუფლდნენ

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე.

წინასწარ პატიმრობაში აყვანის გზით, გ. ყურაშვილისა და სხვათა უფლებების შელახვის შესახებ

გუჯარ ყურაშვილი, კახაბერ ქანთარია, არჩილ ფანჯიკიძე, გიორგი გიორგაძე, ავთანდილ გიორგაძე, მამუკა გიორგაძე, იოსებ ნადირაძე, ოთარ მელიქიძე, დათო წოწორია და ზაურ ქელეხსაშვილი, 1999 წლის მაისიდან დანაშაულის მომზადების, ტერორისტული აქტის, სამშობლოს ღალატის, კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაციის, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ვაზნების სათანადო ნებართვის გარეშე შენახვის, ტარებისა და დამზადებისათვის მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და შეეფარდათ წინასწარი პატიმრობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2002 წლის 25 იანვრის განჩინების, ასევე ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2002 წლის 20 თებერვლის დადგენილების შესწავლითა და გაანალიზებით, საშუალება მომეცა გამეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, რომ ტერორისტული აქტისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაციისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დასახელებული პირების პატიმრობაში აყვანა 2 წლის, 5 თვისა და 8 დღის (ი. ნადირაძე, დ. წოწორია), 2 წლის, 5 თვისა და 11 დღის (ო. მელიქიძე), 2 წლის, 5 თვის და 14 დღის (მ. გიორგაძე, ზ. ქელეხსაშვილი), 2 წლის და 5 თვისა და 15 დღის (ა. გიორგაძე), 2 წლის 5 თვისა და 17 დღის (მ. გიორგაძე), 2 წლის, 9 თვისა და 28 დღის (გ. ყურაშვილი, კ. ქანთარია, ა. ფანჯიკიძე) განმავლობაში განხორციელდა მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, რასაც შედეგად მოჰყვა ბრალდების ამ ნაწილში *საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის* მიერ განსასჯელთა გამართლება. რაც შეეხება სამშობლოს ღალატის, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად შეთქმულების ბრალდებით მათი საპყრობილეში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოთავსებას, იგი, მტკიცებულებათა უკმარისობის გამო, არავითარი აუცილებლობით არ იყო

გამოწვეული და უნდა ჩაითვალოს მათი უფლებების უხეშ დარღვევად. სასამართლო ბრალდების ამ ეპიზოდშიც გამამართლებელი განაჩენის გამოტანისაგან თავის დაღწევას შეეცადა იმით, რომ განსასჯელებს სამშობლოს ღალატისა და კონსტიტუციური წყობილების შესაცვლელად შეთქმულებაში მონაწილეობისათვის შეუფარდა უმნიშვნელო სასჯელები და გაათავისუფლა ისინი სასამართლო დარბაზიდან. ხოლო გ. ყურაშვილი, კ. ქანთარია და ა. ფანჯიკიძე ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 2001 წლის 20 და 26 თებერვლის დადგენილების საფუძველზე, ამავე ბრალდებით, განაჩენის გამოტანიდან 3 თვისა და 12 დღის შემდეგ, გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე პირობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი არაერთხელ გადაიდო პროკურატურის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო, რაზეც მომიწია პირადად მიმემართა *გენერალური პროკურორისადმი (ნ. გაბრიჩიძე)*. ვფიქრობ, ამგვარი უგულისყურობა პატიმრის ბედისადმი სათანადოდ უნდა იქნას შეფასებული.

ძალოვანი სტრუქტურების ყოფილ თანამშრომელთა ხონის დაწესებულებაში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კონტინგენტის კანონის დარღვევით გადაყვანის შესახებ

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2001 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში მივუთითებდი, რომ "პატიმრობის შესახებ" კანონის 82-ე, 83-ე და 84-ე მუხლების მოთხოვნათა იგნორირებით ხონის იმ დაწესებულებაში, სადაც ადრე სასჯელს იხდიდნენ სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები, გადაყვანილ იქნა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კონტინგენტი.

ჩემი 2001 წლის 9 მარტის №16/02-4 რეკომენდაციაზე მეცნობა, რომ აღნიშნული ღონისძიება ატარებდა დროებით ხასიათს და დასახელებული კონტინგენტი, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში განთავსებისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, დაბრუნებულ იქნებოდნენ მათთვის კანონით გათვალისწინებულ დაწესებულებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ გავიდა წელიწადზე მეტი, იუსტიციის სამინისტროს მიერ დღემდე ამ საკითხზე არ არის

მიღებული კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

განათლების სისტემაში დასაქმებულ პედაგოგთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ

საქართველოს სახალხო დამცველთან სისტემატურად შემოდის განათლების სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პედაგოგთა საჩივრები, სამსახურიდან სხვადასხვა, მათ შორის, სიყალბეების ჩადენის გზით, მათი სამსახურიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევით უსაფუძვლო დათხოვნის შესახებ.

განცხადებათა გარკვეული ნაწილი ეხება ამა თუ იმ სასკოლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი მუდმივი ხასიათის გათვალისწინებით, განუსაზღვრელი ვადით ხელშეკრულებათა გაფორმების ნაცვლად, პედაგოგებთან ერთწლიანი ხელშეკრულების გაფორმების მანკიერ პრაქტიკას, რაზეც განათლების სამინისტრო არ ახდენს კომპეტენტურ რეაგირებას.

სახელდობრ, 2001 წლის დეკემბერში განცხადებით მომმართეს ქ. ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის პედაგოგებმა: მაია მურუსიძემ და მერი ახრახაძემ, მათი სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმების შესახებ.

განცხადებას თან ერთვის სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარის გ. მინდაძის მიერ მოწოდებული, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური საბჭოს შრომის დაცვისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგის ე. ნაკაშიძის ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ გიმნაზიაში პედაგოგიური მოღვაწეობა წარმოადგენს მუდმივი ხასიათის სამუშაოს, რის გამოც მასწავლებლებისა და მოსწავლეების ხშირი ცვლა, პედაგოგიური თვალსაზრისით, გაუმართლებელია. ამავე ცნობის თანახმად, გიმნაზიის დირექტორის მიერ თვითნებურად იქნა შეცვლილი და ერთწლიანი ხელშეკრულების ნაცვლად პედაგოგებს უფორმდებოდათ შრომითი ხელშეკრულება 10 თვის ვადით, რის შემდეგადაც მათ კანონით გათვალისწინებული 40 სამუშაო დღის ნაცვლად მიღებული აქვთ 48 სამუშაო დღის საშვებულებო ხელფასი. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პედაგოგთა სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების გამოცემა სასკოლო საქმიანობის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად ატარებდა დაუსაბუთებელ ხასიათს, ვინაიდან ამ პერიოდისათვის გიმნაზიაში სასწავლო წელი არ იყო დამთავრებული და შეჯამებული, გაუცემელი იყო ატესტატები (დიპლომები), ხოლო სკოლის დირექტორის მოადგილეები და მასწავლებლები აგრძელებდნენ

თავიანთ საქმიანობას.

გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ 1995 წლის 5 სექტემბერსა და 1999 წლის 1 სექტემბერს გამოცემულია №3 და №11 ბრძანებები, შესაბამისად, 1995 წლის 21 აგვისტოსა და 1999 წლის 20 აგვისტოს თარიღით, მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის ვადიანი ხელშეკრულებით მასწავლებლებად დანიშვნის შესახებ. იგი დადასტურებულია ამ უკანასკნელთა 1995 წლის 5 სექტემბრისა და 1999 წლის 1 სექტემბრის განცხადებებზე დირექტორის იმავე თარიღით შესრულებული რეზოლუციებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სექტემბრისათვის დასახელებული პირები აგრძელებდნენ გიმნაზიაში მუშაობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ, ალბათობის მაღალი ხარისხით, აღნიშნული სიყალბეების ჩადენა *გ. თევდორაძის* მხრიდან განპირობებული იყო მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის დასახელებულ პერიოდში სკოლაში მუშაობის შესახებ კვალის დაფარვით, რაც მას საშუალებას აძლევდა, საჭიროების შემთხვევაში, ემტკიცებინა მათი ვადიანი ხელშეკრულებით სკოლაში მუშაობის შესახებ, ხოლო განმცხადებლებს საშუალებას უსპობდა მოეთხოვათ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, შრომითი კონტრაქტის ვადის გასვლისას შრომითი ურთიერთობის შეუწყვეტლობის გამო, ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება.

გარდა ამისა, როგორც საქმის შესწავლის პროცესში შეგროვილი მასალებიდან ირკვევა, 1996 წლიდან, ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულება გიმნაზიის დირექტორს მასწავლებლებთან არ გაუფორმებია, რის გამოც საფუძვლიან ეჭვს იწვევს ასეთი ხელშეკრულების ვადის გასვლის მოტივით პედაგოგების სამსახურიდან დათხოვნა. აქვე მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, გიმნაზიას არ გააჩნია დამტკიცებული დებულება და დღემდე იგი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე სარგებლობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზიის დებულებით, რომლის თანახმად, პედაგოგები გიმნაზიაში მიიღებიან 1, 3 და 5 წლის ვადით, რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ პირობებში არ არსებობდა მასწავლებლებთან ვადიანი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი.

როგორც გამოირკვა, ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ალექსანდრე სანდუხაძე, მის მიერვე ხელმოწერილი 1995 წლის 25 აგვისტოს №1162 ბრძანებით, 87 პედაგოგთან ერთად გათავისუფლებულია სამსახურიდან, ამასთან, დასახელებული ბრძანება გაფორმებულია 21 აგვისტოს უკანა რიცხვით, ანუ კვირა,

უქმე დღის თარიღით.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საფუძვლიან ეჭვს იწვევს ა. სანდუხაძის, როგორც სამსახურიდან გათავისუფლებული პირის მიერ დასახელებული ბრძანების გამოცემის უფლებამოსილების საკითხიც.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. თევდორაძემ სრულიად უსაფუძვლოდ, იმერეთის მხარეში ჩემს წარმომადგენელს ქ. კანდელაკს უარი უთხრა მ. მურუსიძისა და მ. ახრახაძის საშვებულებო უწყისების გადაცემაზე, რითაც დაარღვია "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-18 მუხლის "ზ" პუნქტის მოთხოვნები.

ჩემს მიერ "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "დ" პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, *საქართველოს განათლების მინისტრს (ა. კარტოზიას)* გაეგზავნა რეკომენდაცია ქუთაისის ი. ოცხელის სახელობის გიმნაზიის დირექტორის გ. თევდორაძის მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და ამ უკანასკნელის დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვის შესახებ, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის წინაშე რეკომენდაციით დაყენებულია აღნიშნული შესაძლო სიყალბეების გამოსავლენად საჭირო შემოწმების ჩატარების საკითხი.

ჩოხატაურის რაიონის №1 საშუალო სკოლის დირექტორის შ. ოსეფაშვილის თანამდებობიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლების შესახებ

2000 წლის 7 ივლისს, ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამავე რაიონის №1 საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენილ იქნა შურა ოსეფაშვილი, რომელიც დასახელებული რაიონის განათლების განყოფილების ბრძანებით, 1999 წლის 1 ივნისიდან გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან ზეწოლის შედეგად დაწერილი პირადი განცხადების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, განათლების მინისტრის მიერ შ. ოსეფაშვილის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ბრძანება გამოიცა 2001 წლის 21 მაისს, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 თვისა და 14 დღის შემდეგ, რაც გურიის სასკოლო ოლქის სამმართველოს, რაიონის განათლების

განყოფილებისა და გამგებლის დაინტერესებისა და ზეწოლის შედეგად არ იქნა მოყვანილი სისრულეში.

სახალხო დამცველის საქმეში ჩარევის შემდეგ, ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების 2001 წლის 4 ივლისის ბრძანებით, შ. ოსეფაშვილი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე, რაც კვლავ არ იქნა მოყვანილი სისრულეში იმ მიზეზით, რომ იმჟამად თანამდებობიდან გათავისუფლებული აკაკი ჩხიკვიშვილი უარს ამბობდა სკოლის დატოვებაზე, ხოლო ამ უკანასკნელისა და გურიის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსის ლელა იმედაშვილის ხელმძღვანელობით სკოლაში გროვდებოდა ხელმოწერები სკოლის "ძველი" და "ახალი" დირექტორის მხარდასაჭერად.

სახალხო დამცველის მიერ გურიაში თავისი წარმომადგენლის მივლინების შედეგად, 2001 წლის 24 აგვისტოს, ანუ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის, 1 თვისა და 7 დღის შემდეგ, მოხერხდა შ. ოსეფაშვილის დარღვეული უფლებების აღდგენა და იგი შეუდგა სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულებას.

56 1573 მ. ნემსიწვერიძის მიერ დაკარგულ საცხოვრებელ ფართზე უფლებების აღდგენის შესახებ

ქ. ქუთაისში მცხოვრები მზია ნემსიწვერიძე 1993 წლიდან სისტემატურად ცდილობდა, აღედგინა თავისი დაკარგული უფლებები 9მ² ფართის საცხოვრებელ ოთახზე, რომელიც ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1991 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით გამოეყო 4-ოთახიანი ბინიდან ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

1998 წლის 16 ივნისს, 2000 წლის 14 აპრილს, 2000 წლის 7 ივნისს და 2000 წლის 22 ივნისს მ. ნემსიწვერიძემ საცხოვრებელ ოთახზე თავისი უფლებების აღდგენის თაობაზე სასარჩელო განცხადებებით მიმართა ქუთაისის საქალაქო (სამჯერ), საოლქო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებს, რის შედეგად, პირველ შემთხვევაში, მისი სასარჩელო განცხადება, საცხოვრებელ ბინაში ფართის მფლობელობის ადრე აღიარებული მოტივით, სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევებში ბინის, მათ შორის თავისი საცხოვრებელი ფართის, პრივატიზების თაობაზე ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მას უარი ეთქვა.

დარღვეული უფლებების აღდგენის შესახებ მ. ნემსიწვერიძის

განცხადების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის მიერ, 2001 წლის 29 ივნისს გაეგზავნა რეკომენდაცია ქუთაისის საოლქო სასამართლოს, რომელმაც 2002 წლის 28 ივნისს გამოტანილი განჩინებით დაამტკიცა რა მხარეთა შორის დადებული მორიგების აქტი, რაც ითვალისწინებდა ოთხოთახიანი ბინის მზია, ზაურ და ნუგზარ ნემსიწვერიძეებზე გაფორმებას მას შემდეგ, რაც ისინი აღნიშნული ბინის მფლობელ ლამარა ერემეიშვილს დაუბრუნებდნენ მის კუთვნილ ერთოთახიან ბინას და გადაუხდიდნენ 2300 აშშ დოლარს, წარმოებით შეწყვიტა სამოქალაქო საქმე, რითაც წერტილი დაესვა ამ საკითხზე წარმოებულ მრავალწლიან დავას და რისთვისაც გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2002 წლის 10 მარტს (№58(4117) ნომერში გამოქვეყნებული წერილით განმცხადებელმა მადლობა გადაუხადა სახალხო დამცველის აპარატს.

მესტიის სკოლის პედაგოგთა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელთა კუთვნილი თანხების ყაჩაღური გზით გატაცების შედეგად ანაზღაურების თაობაზე გატარებულ ღონისძიებათა შესახებ

2001 წლის აგვისტოში საქართველოს სახალხო დამცველს მომართა განათლების მუშაკთა პროფკავშირის მესტიის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ე. რატიანმა, ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზაზე გახშირებული თავდასხმების შედეგად, მესტიის რაიონის განათლებისა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაკთა ხელფასებისათვის განკუთვნილი 195 ათასი ლარის ყაჩაღური გზით გატაცების შესახებ.

განცხადებაში იმავდროულად დაყენებული იყო რაიონის პედაგოგთა 2001 წლის ივნისისა და საშვებულებო ხელფასების გაცემის, მათი გაზრდის, ატესტაციის შედეგად მინიჭებული კატეგორიებით, 1998-2000 წლების ხელფასებზე დანამატების ანაზღაურებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, რაიონის სკოლების მდგომარეობის შესწავლის საკითხი.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, 2001 წლის 10

აგვისტოს №186/03-27/ოფ, №187/03-27/ოფ რეკომენდაციებით მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქართველოს შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებს.

მიუხედავად აღთქმული დაპირებისა, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებს დღემდე არ მოჰყოლია ქმედითი შედეგი, 195 ათასი ლარის, პედაგოგთა და მეზეუმის თანამშრომელთა კუთვნილი ხელფასების ყაჩაღური გზით გატაცების თაობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დღემდე არ არის გახსნილი და გამოძიება მასზე უშედეგოდ მიმდინარეობს.

საქართველოს განათლების მინისტრმა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს №01-16-17/3372 წერილით მაცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ბატონ თ. ისაკაძის მიმართ დააყენა შუამდგომლობა, ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მესტიის რაიონის განათლების სისტემასა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი თანხების, 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფის შესახებ.

რაც შეეხება რაიონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით სკოლების შესწავლის თაობაზე რეკომენდაციით დაყენებულ საკითხს, განათლების სამინისტრომ იგი რეაგირების გარეშე დატოვა.

თავი VI. პენიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ

კვლავინდებურად რთული მდგომარეობაა პენიტენციალურ სისტემაში. პატიმართა და მსჯავრდებულთა მოთავსებისა და სასჯელის აღსრულების პირობები ვერ აკმაყოფილებენ გაეროს მინიმალურ და პატიმართა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, ირღვევა "პატიმართა შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შექმნილი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის კუთხით. საპატიმროები გადავსებულია, ხშირია შემთხვევები, როცა საკნებში ერთდროულად ცხოვრობს 40-48 პატიმარი, რომლებიც ხანდახან საწოლითაც არ არიან უზრუნველყოფილნი და რიგრიგობით უწევთ ძილი. საქართველოს კანონით "პატიმრობის შესახებ", ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართის ნორმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ უნდა იყოს 2 კვ. მ-ზე ნაკლები. რეალურად, კანონის ამ მოთხოვნის შესრულებაზე საუბარიც არ შეიძლება. ამავე დროს, არის პრივილეგირებული საკნები, სადაც მხოლოდ რამდენიმე პატიმარია მოთავსებული. კონტინგენტი არ არის უზრუნველყოფილი სუფთა თეთრეულით. მათი მიწოდება, უმეტეს შემთხვევაში, ხდება პატიმრების ოჯახებისაგან; მძიმეა საკნების სანიტარიული მდგომარეობა. №5 საპყრობილეში ანტისანიტარიაა როგორც საკნებში, ასევე ადმინისტრაციის ოთახებშიც. ელემენტარულად ვერ ხერხდება ვირთხების თარეშის აღკვეთა. თვითდინებაზეა მიშვებული პატიმართა ჰიგიენის საკითხი. აქტუალურია კვების პრობლემა. ნაწილობრივ, კვების საკითხი მოგვარებულია მხოლოდ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და №1 საპყრობილეში, სადაც ექსპერიმენტის სახით ამ სფეროში დეცენტრალიზაცია განხორციელდა. სხვა დაწესებულებებში, სადაც ასეთი ღონისძიება არ განხორციელებულა, კვების პრობლემა აქტუალურ ხასიათს ატარებს. საკვები არის უხარისხო, მომზადებულია არასაკმარისი პროდუქტით და ჰიგიენის ნორმების დარღვევით. პატიმრების საკვებით უზრუნველყოფა, მთელ რიგ შემთხვევებში, ხდება გარედან, ე. წ. "პერედაჩების" მეშვეობით.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ციხეში პატიმრებსა და პერსონალს შორის ურთიერთობის საკითხი. სასჯელაღსრულების

დაწესებულებების თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულებებში სიტუაციის მართვაში მათთან ერთად "მონაწილეობენ" კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები (ე. წ. კანონიერი ქურდები, მაყურებლები), რაც საგრძნობლად ამცირებს წესრიგის უზრუნველყოფის და პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ მოისპობა "ავტორიტეტების" როლი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ან მოხდება პატიმართა შერჩევითი განთავსება, მაგრამ ამისთვის მხოლოდ დაწესებულებათა ადმინისტრაციის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, საჭიროა, სახელმწიფომ და საზოგადოებამ გამოავლინოს ნება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

აქტუალურია ასევე დასაქმების პრობლემა. ცალკეული დაწესებულების გარდა (იგულისხმება ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულება), თითქმის ყველგან, ეს სფერო განუვითარებელია და მას არავითარი ყურადღება არ ექცევა. ადრე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაიძარცვა ან მწყობრიდან გამოვიდა. ქალთა დაწესებულებაში ფუნქციონირებს ორანჟერეა, სადაც დასაქმებულია რამდენიმე პატიმარი, ასევე ფუნქციონირებს სამკერვალო საამქრო. აღსანიშნავია, რომ ქალთა დაწესებულება სხვა მხრივაც გამოირჩევა სხვა დაწესებულებებისაგან და იქ პატიმართა მოთავსების პირობები მიახლოებულია საერთაშორისო სტანდარტებთან.

№1 საპყრობილეში პატიმართა დასაქმების საკითხი მოუწესრიგებელია. ამ დაწესებულების წარმომადგენელმა ასეთი სიტუაცია ახსნა ნაწილობრივ იმით, რომ №1 საპყრობილეში პატიმართა განსაკუთრებით რთული კონტინგენტი ხვდება, რომლისთვისაც მკაცრი პირობებია დაწესებული. ასევე ძირითად პრობლემად დასახელდა ადეკვატური დაფინანსებისა და პროგრამების უქონლობა. აღნიშნულ დაწესებულებაში საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ პატიმრების დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას. შესაძლებელია, განხორციელდეს პროექტები დაწესებულებებში მცირე და საშუალო საწარმოო ობიექტების შექმნის გზით. ამ მხრივ გვაქს პრეცენდენტი. როგორც აღინიშნა, ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით მოეწყო ორანჟერეა.

"პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს პატიმრის უფლებას საშუალო, პროფესიულ და უმაღლესი

განათლების მიღებაზე, მაგრამ რეალურად ამ უფლების რეალიზაცია არ ხდება. ქალთა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ განათლების მიღების სურვილი ჯერ არც ერთ პატიმარ ქალს არ გამოუთქვამს, თუმც, რომც იყოს ასეთი სურვილი, არ არსებობს შესაბამისი პირობები და მექანიზმი განათლების მისაღებად. არ არის სასწავლო ოთახები, კაბინეტები, შესაბამისი ბაზა საშუალო, ან მით უმეტეს, უმაღლესი განათლების მისაღებად. აღნიშნულ პრობლემაზე ისაუბრეს სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებმაც.

ცუდი მდგომარეობაა ლიტერატურით, მათ შორის, სამართლებრივი ლიტერატურით უზრუნველყოფის კუთხით. გამოითქვა მოსაზრება, რომ დაიდოს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანოებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ლიტერატურით. ამჟამად აღარ არსებობს ის ბაზა, რაც ადრე იყო სასჯელაღსრულების სისტემაში. სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებათა პატიმრების ნაწილს სურს მიიღოს განათლება, ჰქონდეს ურთიერთობები საზოგადოებასთან, რელიგიის მსახურებთან, ფსიქოლოგთან. საჭიროა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან, ჯანდაცვის ორგანოებთან, რათა პატიმრებს მიეცეთ საშუალება, დაიკმაყოფილონ სულიერი მოთხოვნილებები და მიიღონ კვალიფიციური სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. დღეს ერთადერთი სამსახური, რომელიც არეგულირებს პატიმრების ურთიერთობას საზოგადოებასთან, არის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება. ვფიქრობ, უნდა გაიზარდოს ამ სამსახურის როლი. სრულად უნდა ამოქმედდეს "პატიმრობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული მუდმივმოქმედი კომისიები, რადგან ეს კომისიები წარმოადგენენ ერთგვარ ხიდს სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და საზოგადოებას შორის.

იმ ფონზე, როცა პენიტენციალურ სისტემაში თვალსაჩინოა როგორც პატიმართა, ასევე დაწესებულებების თანამშრომელთა სამართლებრივი და ზოგადი განათლების დაბალი დონე, საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაწესებულებები სამართლებრივი ლიტერატურით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა, პატიმართა უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით, აქტიურად იმუშაონ პატიმრებთან და პერსონალთან ლექცია-სემინარების ჩატარების საშუალებით. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა

მან მეტი ყურადღება დაუთმოს პენიტენციალური სისტემის თანამშრომლების პრობლემებს, მათ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. სასურველია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოში რეფორმის მესვეურებთან ერთად შეიმუშაონ პროგრამა, რათა დააჩქარონ რეფორმირების პროცესი ქვეყნის სპეციფიკისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გათვალისწინებით.

სამედიცინო მომსახურების კუთხით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ძირითადად პრობლემები მოუგვარებულია. ამასთან, სამედიცინო პერსონალის მნიშვნელობა გაცილებით ნაკლებია საერთაშორისო გამოცდილებასთან შედარებით. ამასთანავე, არის მედიკამენტების, სხვა სამედიცინო საშუალებებისა და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი საექიმო კაბინეტებისა და საოპერაციოების ნაკლებობა.

აღსანიშნავია არასრულწლოვანთა დაწესებულებაში არსებული პრობლემა. ამჟამად არასრულწლოვანთა პატიმრობის პირობები არაფრით განსხვავდება სრულწლოვანთა დაწესებულებებში არსებული პირობებისაგან, თუმცა მათდამი დამოკიდებულება ძალიან სპეციფიკური და კვალიფიციური უნდა იყოს. არასრულწლოვანთა დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით კანონმდებლობაში არის ხარვეზი, რომელიც პატიმრობის პირობების სათანადო დიფერენციაციას არ ახდენს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართ.

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2001 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში მივუთითებდი, რომ "პატიმრობის შესახებ" კანონის 82-ე, 83-ე და 84-ე მუხლების მოთხოვნათა იგნორირებით ხონის იმ დაწესებულებაში, სადაც ადრე სასჯელს იხდიდნენ სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები, გადაყვანილ იქნა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა კონტინგენტი.

ამ დაწესებულებაში არსებული პირობების გამო, ძალზე გართულებულია ზამთრის გადატანა, არ არის გათბობა, ხშირად არ არის ელექტროენერგია, არ არის მისასვლელი სამანქანო გზა.

იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ შემოწმებულ იქნა აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულება. გამოირკვა, რომ იგი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, სახურავიდან ჩამოდის წყალი, შენობის ფანჯრები შეუმინავია, დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი რაოდენობის საწოლები,

ლეიბები და გადასაფარებლები. პატიმრებს არა აქვთ სპეციალური ფორმა და ტანსაცმელი, საჭირო რაოდენობით არ მიეწოდებათ საკვები, პროდუქტები და ა. შ. ასევე შემოწმებულ იქნა ქუთაისის №2 საპყრობილის შენობის მდგომარეობა. გამოირკვა, რომ იგი აშენდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სასაქონლო ფარდულის დანიშნულებით, ხოლო 1865 წელს, ციხედ გადაკეთების შემდეგ, მას მიუშენეს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ამჟამად საპყრობილე მთლიანად ამორტიზებულია, კედლები ეროზირებულია და აქვს ნაპრალები.

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს №160/03 და 18 ოქტომბერს №403/03/160 რეკომენდაციით მივმართე საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პატიმართა უსაფრთხოების მიზნით, ქუთაისის №2 საპყრობილის ფუნქციონირების შეჩერებისა და იქ მოთავსებული სპეცკონტინგენტის სხვა საპყრობილეებში გადაყვანის შესახებ.

იუსტიციის მინისტრისაგან დასახელებულ რეკომენდაციაზე პასუხი არ მიმიღია. სამაგიეროდ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 24 აგვისტოს №23/თ-5481 წერილიდან ირკვევა, რომ ქუთაისის საპყრობილის სარემონტო სამუშაოების ჩატარება გათვალისწინებულია სათანადო დაფინანსების შემდეგ, ხოლო პატიმრების სხვა საპყრობილეში გადანაწილების გზით მისი განტვირთვის პროცესი უკვე დაიწყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ვფიქრობ, არაეფექტიანია, ვინაიდან დასახელებული საპყრობილე იმდენადაა ამორტიზებული, რომ იქ პატიმართა უსაფრთხო მოთავსება შეუძლებელია, რისი დამადასტურებელია სულ ახლახან 26-ე საკანში ჭერის ჩამონგრევა, რასაც, შესაძლოა, ემსხვერპლა 15 პატიმრის სიცოცხლე, რომ არ განხორციელებულიყო სახალხო დამცველის რეკომენდაცია მათი დასახელებული საკნიდან სარემონტო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით წინასწარი გაყვანა.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, სასჯელაღსრულების დაწესებულების გეგუთის დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე მოთავსებულია ლითოფონის ქარხნის დაუმთავრებელი შენობა, რომლის მშენებლობა, ქარხნისათვის რეკონსტრუქციისა და განვითარების თვალსაზრისით, საჭიროებას არ წარმოადგენს. დასახელებული სამუშაოები, უსახსრობის გამო, რამდენიმე წელია შეჩერებულია და იგი ამ მიზეზით თანდათან მოდის უვარგის მდგომარეობაში.

ხსენებული ობიექტი განთავსებულია რამდენიმე ჰექტარ ტერიტორიაზე, ესაზღვრება მდინარე რიონს და მისადგომად ქუთაისი-გეგუთის (ვარციხეჰესის დასახლება) გზით საკმაოდ

მოსახერხებელია.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტროში შევედი რეკომენდაციით, ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე დაყენებულ იქნას სათანადო საპროექტო-სახარჯაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გზით მისი საპყრობილედ გადაკეთების საკითხი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კ. კობერიძე 2001 წლის 14 დეკემბრის №476 წერილით მატყობინებს, რომ მიმდინარეობს ლითოფონის ქარხნის დაუმთავრებელი შენობის საპყრობილედ გადაკეთების საკითხის შესწავლა.

პრობლემის გარკვეული ნაწილი ეხება საერთაშორისო სტანდარტებს სასჯელაღსრულების დაწესებულების პერსონალის შესახებ.

ამ დაწესებულების თანამშრომლების კვალიფიკაცია ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ამ სისტემაში ბევრია შემთხვევითი პირი, რაც აძნელებს პატირებთან ურთიერთობას და კეთილსასურველი ატმოსფეროს შექმნას. ძირითადად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დასაქმებულნი არიან იურიდიული განათლების მქონე პირები (დაახლოებით 70%), რომელთაც არა აქვთ სათანადო სამედიცინო, ფსიქოლოგიური ცოდნა, რასაც გაეროს მინიმალური სტანდარტები სავალდებულოდ მიიჩნევს. ახლებურად არის გასააზრებელი კადრების შერჩევისა და გადამზადების პროგრამები.

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უგულებელყოფილია მინიმალური სტანდარტული წესების რეკომენდაცია – მოხდეს თანამშრომლების ხშირი როტაცია. ამ თვალსაზრისით სრული ქაოსია საკანონმდებლო რეგულირების კუთხითაც. კონსტიტუციურ უფლებათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარის მონაწილეების აზრით, პოლიციის ორგანოები, პროკურატურა არ თანამშრომლობენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან და სხვა პრობლემების მოგვარების მიზნით, აქაც თავს იჩენს სახელმწიფოს ნების არარსებობის საკითხი. სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლებს არა აქვს მუშაობის ნორმალური პირობები, არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. №5 საპყრობილის წარმომადგენელმა, სპეციალური განყოფილების ინსპექტორმა აღნიშნა, რომ მათ არ აქვთ ქსეროქსის აპარატი, საკანცელარიო ნივთები. ხშირად თავად თანამშრომლებს უხდებათ საჭირო ნივთების შეძენა. ასეთი მდგომარეობა იწვევს აღნიშნული

სასჯელაღსრულების დაწესებულების მუშაობის შეფერხებას, საპროცესო დოკუმენტების ადრესატთან მოხვედრის გაჭიანურებას, რაც საბოლოოდ პატიმრების უფლებების დარღვევის ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა არანორმირებული სამუშაო დღის პრობლემა. სასჯელაღსრულების სისტემაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებს ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში უწევთ მორიგეობა, რაც ამცირებს მუშაობის ეფექტიანობის ხარისხს. სერიოზული პრობლემებია ამანათების მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით. მათი შემოწმება ხდება ხელით, რადგან არ არის საამისო ტექნიკური საშუალებები.

ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პატიმართა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა ურთიერთობის საკითხი. ძირითადად ეს ურთიერთობები ნორმალურია, მაგრამ ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ პატიმარი უფლებრივად უფრო დაცულია, ვიდრე ციხის პერსონალი. სუბორდინაცია, რაც დამახასიათებელი უნდა იყოს მათი სისტემისათვის, თანდათან ქრება.

უნდა აღინიშნოს სასჯელაღსრულების სისტემაში სოციალური სამსახურისა და ადამიანის უფლებათა სამსახურის მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა ორი შემაჯერებელი პრობლემა, რაც ამ დაწესებულებაში რეფორმის სრულყოფილად და სწრაფად წარმართვას ხელს უშლის. კერძოდ, დასახელდა რამდენიმე ფაქტორი: კორუფცია სასჯელაღსრულების სისტემაში, საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე, ციხეში არსებული ურთიერთობების სპეციფიკურობა და, მეორე, ეკონომიკური მდგომარეობა, მისგან გამომდინარე პრობლემათა მთელი ჯაჭვით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების როლს პენიტენციალური სისტემის რეფორმირების პროცესში. ბევრი პრობლემის გადაჭრა რეფორმირების პროცესის საწყის ეტაპზე შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით, როგორც ფინანსური (მიზნობრივი პროექტები), ასევე სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედების კუთხით.

რეფორმირების პროცესი ითვალისწინებს სრულიად ახალი ტიპის პენიტენციალური სისტემის შექმნას, რომელიც უცხოა ჩვენი სამართლებრივი სივრცისათვის. სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა გახდეს ღია ტიპის დაწესებულება, სადაც არაფერი იქნება დამალული. ამ კუთხით დიდია ადამიანის

უფლებათა დამცველი სახელმწიფოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის მნიშვნელობა. რეფორმირების პროცესი არ უნდა შეფერხდეს, საჭიროა, აქტიურად განიხილებოდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებების პრობლემები სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, სემინარები და ლექციები მასშტაბურად და რეგულარულად უნდა ტარდებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბალი ანაზღაურებისა და ელემენტარული პირობების არარსებობის ვითარებაში, ძნელია რეფორმირების პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს.

პენიტენციალური რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვანი და გარდაუვალი პროცესია, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობა შეუძლებელია, თუ რეფორმირების პროცესი, პატიმრების უფლებების უზრუნველყოფასთან ერთად, არ შეეხება მის პერსონალს.

პატიმრების უფლების დაცვა გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების შესაბამისად, შეუძლებელია სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების გარეშეც. საჭიროა სხვადასხვა სახის რესურსის (დამატებითი საბიუჯეტო დაფინანსება, საქველმოქმედო მხარდაჭერა, უცხოური დახმარების მიღება) მოზიდვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს ხელშეწყობით შემუშავებული პენიტენციალური რეფორმის პროექტის დაუყოვნებლივი რეალიზაციის დაწყების მნიშვნელობა.

აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველს მიაჩნია გატარდეს შემდეგი ხასიათის ღონისძიებები:

– იუსტიციის სამინისტრომ გააააქტიუროს თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პენიტენციალურ სისტემაში დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებისათვის ერთობლივი პროექტების შექმნის კუთხით;

– შემუშავებულ იქნას სპეციალური პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებების პერსონალის სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური განათლების ამაღლების მიზნით;

– ყურადღება გამახვილდეს სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფაზე როგორც მედიკამენტებით, ისე სამედიცინო აპარატურით;

– სათანადო დონეზე კვებით უზრუნველყოფის მიზნით, წახალისებულ იქნას დეცენტრალიზაციის პრაქტიკა მთელ პენიტენციალურ სისტემაში;

– მიღებულ იქნას ზომები, რაცა თითოეული ბრალდებული და მსჯავრდებული უზრუნველყოფილ იქნას საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი თეთრეულით;

– ამანათების მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებული სიძნელეების თავიდან ასაცილებლად, წახალისებულ იქნას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სავაჭრო წერტილების მოწყობა და ფუნქციონირება.

გ. დიდებაშვილის უფლებების დარღვევა, რაც გამოწვეული იყო ავადმყოფობის გამო პატიმრობიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის შედეგად მისი სიკვდილით

2001 წლის 3 ივლისსა და 27 აგვისტოს მცხეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებმა: ლ. გზირიშვილმა და მ. პატარაშვილმა, უარი უთხრეს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე პატიმარ გ. დიდებაშვილის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ.

სასამართლოს მიერ გათავისუფლებაზე უარის თქმიდან 10 დღის შემდეგ მსჯავრდებული გ. დიდებაშვილი შინაგანი ორგანოების ამილოიდოზიურ მდგომარეობაში განვითარებული ფილტვ-გულის უკმარისობის დიაგნოზით გარდაიცვალა დასახელებულ დაწესებულებაში.

ნიშანდობლივია, რომ პირველ შემთხვევაში მოსამართლემ არ გაითვალისწინა რა სამედიცინო კომისიის 13-დან 12 წევრის თანხმობა, ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე უარი უთხრა მსჯავრდებულს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მოტივით, ხოლო მეორე შემთხვევაში გათავისუფლებაზე უარის თქმა დაასაბუთა იმით, რომ კომისიის 13-დან 5 წევრი, სახელდობრ: ნუგზარ ელიზბარაშვილი, ზურაბ ტაბიძე, მიხეილ შავდია, არჩილ საყვარელიძე და ზურაბ ზურაბაშვილი არ დაეთანხმნენ სამედიცინო კომისიის დასკვნას. ამასთან, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დასახელებული პირები ხელს აწერდნენ ორი თვით ადრე დიდებაშვილის გათავისუფლების თაობაზე შედგენილი ანალოგიური შინაარსის მოთხოვნას.

ამდენად, სახეზე გვაქვს დასახელებულ მოსამართლეთა და სამედიცინო კომისიის წევრთა მხრიდან პატიმრის უფლებების

დაცვისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ და უსულგულო დამოკიდებულების გამოვლინებასთან, რასაც შედეგად მოჰყვა მსჯავრდებულის სიკვდილი და რომელიც, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შეიძლება თავიდან ყოფილიყო აცილებული.

თ. ასანიძის უკანონო პატიმრობის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის პირველი ნახევრის ანგარიშში ჩემს მიერ მითითებული იყო სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებულ თ. ასანიძის უფლებათა დარღვევის შესახებ, ამ საკითხზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პალატის პრეზიდენტის კატეგორიული პოზიცია საქმის განხილვის პრიორიტეტული ხასიათის შესახებ, რაც ეცნობა საქართველოს მთავრობას, დღემდე ამ უკანასკნელის უფლებები არა თუ არ არის აღდგენილი, არამედ გრძელდება მისი უხეშად დარღვევის შემთხვევები და იგი კვლავ გამომწყვდეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში.

გულისტკივილით აღვნიშნავ, რომ ჩემს დაჟინებულ მოწოდებას თ. ასანიძის უფლებათა აღსადგენად, არ მოჰყოლია საზოგადოების მძაფრი და ადეკვატური რეაქცია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ურთიერთშეუსაბამო მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის შესახებ

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთელი რიგი მუხლები შეიცავენ არასრულყოფილ და ურთიერთშეუსაბამო მოთხოვნებს, რომლებიც წარმოშობენ საკანონმდებლო ვაკუუმს, რის გამოც სამართალდამცველი ორგანოების მიერ, არცთუ იშვიათად, მიიღება არასწორი და კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებები.

სახელდობრ, პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა პროკურატურის ორგანოები, საქართველოს სსკ 28-ე, 395-ე, 396-ე, 397-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე გამოტანილ დადგენილებასთან ერთად აუქმებენ სასამართლო

გადაწყვეტილებებს, ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ. ზოგ შემთხვევებში, პროკურორების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 268-ე მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გაუქმებისას, რეაგირების გარეშე რჩება სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები მსჯავრდებულის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან საპყრობილეში ან კიდევ, ერთი საპყრობილედან მეორეში გადაყვანის შესახებ, რითაც ირღვევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე და 161-ე მუხლების მოთხოვნები.

ქ. თბილისის პროკურორმა (თ. მახარაძე), 2002 წლის 20 თებერვალს დაამტკიცა რა მ. ე. რამიშვილის მიმართ №0201856 სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება, იმავდროულად გააუქმა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 12 ივლისის ბრძანება, ამ უკანასკნელის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემის შესახებ, რითაც დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლის მოთხოვნები იმის თაობაზე, რომ აღკვეთი ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება იწარმოება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით.

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (გ. მეფარიშვილი) გააუქმა რა 2001 წლის 24 მარტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე გამოტანილი დადგენილება, ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ აღნიშნული მოქმედებით დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლის მოთხოვნები, მსჯავრდებულ თ. ხაჩიშვილის ბათუმის საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანის შესახებ.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების წინაშე ვაყენებ საკითხს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილ იქნას ცვლილებები, რომლებიც გაითვალისწინებს აღკვეთი ღონისძიების შეცვლისა და მსჯავრდებულთა საპყრობილეში გადაყვანის თაობაზე შესაბამისი სასამართლო ინსტანციის ბრძანების გაუქმებამდე, დაუშვებლად იქნას მიჩნეული გამომძიებლისა და პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების გაუქმება და აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანა.

45

თ. შაფათავას უკანონო პატიმრობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის შესახებ

2001 წლის I ნახევრის ანგარიშში აღვნიშნავდი კონტრაბანდის ბრალდებით მსჯავრდებულ და შემდგომში სასამართლოს მიერ გამართლებულ თამაზ შაფათავს მიმართ, გენერალური პროკურატურის 1999 წლის 29 დეკემბერს, საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების უსაფუძვლოდ აღძვრის შესახებ.

2000 და 2001 წლების განმავლობაში, საქართველოს გენერალური პროკურატურის წინაშე სისტემატურად, რეკომენდაციებით ვაყენებდი საკითხს დასახელებული წარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან იგი გამოწვეული იყო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებლისა და მის ხელმძღვანელთა, გენერალური პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან, უკანონო პატიმრობის შედეგად მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე თ. შაფათავას მიერ სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანის შედეგად მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებით. თ. შაფათავა, იყო რა გერმანული ფირმა "ბმვ"-ს მთავარი ინვესტორი და დისტრიბუტორი, სასამართლოში, მისი უკანონო დაპატიმრების შედეგად, არათუ ჩამოაშორეს სამეწარმეო საქმიანობას, არამედ სამართალდამცველი ორგანოების უკანონო ქმედებების შედეგად შპს-ს მიადგა 348.569 ლარის ოდენობის ზარალი.

2001 წლის 28 აგვისტოს №7651/03/627-გ რეკომენდაციით, გავამახვილე რა *გენერალური პროკურორის (ნ. გაბრიჩიძე)* ყურადღება საქმის წარმოების აღძვრის დადგენილების უსაფუძვლობაზე, სასამართლოს მიერ მისი გაუქმების შემთხვევაში უფლება დავიტოვე, შეფასება მიმეცა იმ თანამდებობის პირთა მოქმედებისათვის, რომელთა მიერ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება თ. შაფათავას დაუსაბუთებელი დაპატიმრებისა და საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების უსაფუძვლოდ აღძვრის შესახებ.

2001 წლის 21 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ (საქმე

№247) განჩინებით უარი თქვა საქართველოს გენერალური პროკურატურის წარდგინებაზე, თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ თ. შაფათავას მიმართ გამამართლებელი განაჩენის, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების თაობაზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 23 იანვარს №45/03/627-შ რეკომენდაციით, საქართველოს გენერალური პროკურატურის წინაშე დავაყენე საქართველოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტისა და გენერალური პროკურორის ყველა იმ თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ აღძვრის, პატიმრობაში უკანონოდ აყვანის, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების აღძვრისა და სასამართლოში გაჭიანურებით მისი უსაფუძვლო წარმართვის გზით დაარღვიეს თ. შაფათავასა და სხვათა უფლებები.

ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები (პროკურატურის ორგანოები)

საქართველოს სახალხო დამცველთან შემოსული განცხადებების შემოწმების შედეგები საფუძველს მაძლევს გავაკეთო დასკვნა იმის თაობაზე, რომ პროკურატურის ორგანოებს, ხშირ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა იგნორირებით, გამოაქვთ დადგენილება ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მაშინაც კი, როცა საქმის გადასინჯვის თაობაზე საჩივარი შეიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 552-ე მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს ან კიდევ დასახელებული მოტივით საქმის წარმოების აღძვრის შესახებ პირდაპირაა მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, საქართველოს გენერალურ პროკურორთან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებთან შეტანილი საჩივრების საფუძველზე, შესაბამისი პროკურორები გამოითხოვენ სისხლის სამართლის საქმეს ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ ვერ დადგინდა

საქმის გადასინჯვის საფუძველი, წყვეტენ (პროკურორი, გამომძიებელი) წარმოებას მოტივირებული დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს გენერალური ან ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი.

როგორც ვხედავთ, კანონი არ შეიცავს ნორმას, მის მიერ არ არის გათვალისწინებული ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე დადგენილების გამოტანა, რაც, როგორც წესი, პროკურატურის ორგანოების მიერ ირღვევა.

2000 წლის 24 სექტემბერს *საქართველოს გენერალურმა პროკურორმა (ჯ. ბაბილაშვილმა)* გამოიტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაუთვალისწინებელი დადგენილება თამაზ გიორგის ძე კურტანიძის მიმართ ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად არასწორად მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 596-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს არა საქმის წარმოების აღძვრაზე უარის თქმას, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ ვითარებაში გადაწყვეტილებების ანალოგიის გამოყენებით მიღება, მოქმედი კანონმდებლობით, დაუშვებელია.

ასეთი ხასიათის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, *გენერალური პროკურორის (გ. მეფარიშვილის)* მიერ, მიღებულ იქნა 2001 წლის 14 სექტემბერს, აგრეთვე უჩა ნუგზარის ძე ავალიანისა და 2001 წლის 5 ივლისს, თეიმურაზ ნოდარის ძე ქურდიანის მიმართ, შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 8 მაისისა და 4 დეკემბრის განჩინებებზე უარის თქმის გზით.

მაშინ, როცა გენერალური პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევებით მიიღება ზემოხსენებული გადაწყვეტილებები, მათ მიერვე ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოებით აღძრულ სხვა საქმეებზე საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება ჭიანურდება ამავე კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მოტივით. კერძოდ, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ იმ მიზეზით, რომ რამაზ ჩადუნელის საჩივართან დაკავშირებით (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისას მას აღენიშნებოდა არსებითი ხასიათის კოჭლობა), ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2001 წლის 21 მარტის დასკვნა მიღებულ იქნა

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით, საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორს უარი უთხრა ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა და უზენაესი სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე წარდგენილი დასკვნის დამტკიცებაზე.

ცემისა და წამების შესახებ

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების ყველაზე უფრო გავრცელებულ და მოუთმენელ შემთხვევებს კვლავინდებურად ადგილი აქვს შინაგან საქმეთა (პოლიციის) რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ორგანოების საქმიანობაში. ისინი დაკავშირებულია ძირითადად კანონით დადგენილი წესების დარღვევით მტკიცებულებათა შეგროვების მცდელობებთან, სამსახურებრივი მოვალეობების ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებით პირების დაკავების, ჩხრეკის, ძალადობის, ცემის, წამების, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების გზით, ჩვენების, ქრთამის გამოძალვის, აგრეთვე იარაღის, საბრძოლო მასალის, ნარკოტიკების შეძენის, შენახვის, დამზადების, ტარებისა და სხვა კანონით დაუშვებელ ქმედებათა პროვოცირებასთან.

ყოველივე ეს არათუ უშუალოდ ეხება თითოეული ადამიანის ინტერესებს, მის თავისუფლების გარანტიებს, არამედ ყოვლად უარყოფით იმიჯს უქმნის დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მდგარ ჩვენს სახელმწიფოს, დაბლა სცემს მის ავტორიტეტსა და პრესტიჟს მსოფლიო თანამეგობრობის, საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების თვალში.

გურამ ვარლამის ძე ფირცხალაიშვილის ცემისა და მის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების პროვოცირების შესახებ

2001 წლის 10 ივლისს სახალხო დამცველს განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, ნუცუბიძის პლატო, მე-3 მ/რ-ის მე-2 კვარტლის, მე-5 კორპუსის, ბინა 33-ში მცხოვრებმა ლიანა ვარლამის ძე ფირცხალაიშვილმა, მისი შვილის, ფსიქიკურად დაავადებული გურამ ვარლამის ძე ფირცხალაიშვილის, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლების მიერ ცემისა

და მისი ბინიდან გადაჭრილი თოფის ამოღების პროვოცირების შესახებ.

დასახელებული განცხადების შემოწმების პროცესში, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორიდან ამოღებულ იქნა მორიგე-ინსპექტორის დ. ელიბაშვილის მიერ შედგენილი 2001 წლის 27 ივნისის ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ იზოლატორში შეყვანისას გ. ფირცხალაიშვილს ცხვირზე აღენიშნებოდა სილურჯე, სიწითლე და შესიება.

მ. წ. 10 ივლისს ჩემი მოთხოვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის მიერ გ. ფირცხალაიშვილს ჩაუტარდა სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა, რომლითაც ამ უკანასკნელს სხეულის ორივე წვივის წინა ზედაპირზე დაუდასტურდა ნაჭდევის კვალით პიგმენტური უბნები, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი და ბლაგვი საგნის მოქმედებით და განეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებას.

გ. ფირცხალაიშვილის ბინის ჩხრეკა და ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლების მიერ განხორციელდა მოსამართლის ბრძანების გარეშე. ამასთან, როგორც გამოირკვა, ასეთი ჩხრეკის ჩატარება გადაუდებელი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული, ვინაიდან იარაღის შენახვის თაობაზე, თითქოსდა ოპერატიული შეტყობინების მიღების დროს, ბრალდებულის ბინაში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც, თუ ასეთი შეტყობინება მართლაც ექნებოდა მიღებული, მაშინვე უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი პროცესუალური მოქმედებები და დაუყოვნებლივ ეცნობებინა ამის შესახებ პროკურორისათვის. ამასთან, როგორც ბრალდებულის დედა, ლიანა ფირცხალაიშვილი განცხადებაში მიუთითებს, პოლიციის მუშაკებმა ბინაში შესვლისას შეიტანეს რაღაც გრაგნილი, რომელშიც შეიძლებოდა ყოფილიყო "იქ დასატოვებლად გამიზნული ცეცხლსასროლი იარაღი". რაც შეეხება მოწმეებს, რომლებმაც დაადასტურეს "იარაღის ამოღება", მათი ობიექტურობა და სანდოობა იწვევს საფუძვლიან ეჭვს, ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე ისინი დღემდე სათანადოდ არ არიან შემოწმებულნი.

გარდა ამისა, გამოძიების მიერ ვერ იქნა შეკრებილი და სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ გურამ ფირცხალაიშვილის მიერ სანადირო თოფის გადაჭრის გზით მისი გადაკეთების ფაქტს, თუმცა მას, სრულიად უსაფუძვლოდ, აქვს წაყენებული ბრალდება დანაშაულის ამ ნაწილში.

ქუთაისის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ შ. რ. სოფრომაძის ცემის, პირადი ნივთების წართმევისა და ავტომატური იარაღის გამოყენების მუქარის თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე არასათანადო რეაგირების შესახებ

2001 წლის 29 მაისს, იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულს განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისში, განათლების ქ. №14-ში მცხოვრებმა შალვა სოფრომაძემ, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების: თოლორაიასა და ჩხობაძის მიერ მისი ბინის უკანონო ჩხრეკის, პირადი ნივთებისა და ფულის წართმევის, აგრეთვე ცემის შედეგად სხეულის დაზიანების მიყენების შესახებ.

2001 წლის 20 მაისის სამედიცინო ბარათის ამონაწერიდან ირკვევა, რომ შ. სოფრომაძეს მიღებული აქვს თავის ტვინის შერყევა, გულ-მკერდის დაჟეჟილობა და კანქვეშა ჰემატომები ორივე წვივის არეში.

აღნიშნული გარემოების შემოწმების თაობაზე, 2001 წლის 20 ივნისს მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს. ქ. ქუთაისის პროკურორმა (შ. ფიჩხაძემ) 2001 წლის 8 ოქტომბრის წერილით მაცნობა, რომ შეკრებილ მასალებზე 2001 წლის 14 ივნისს გამოტანილი იყო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის საფუძვლად მიჩნეულია შ. სოფრომაძის ახსნა-განმარტებები იმის თაობაზე, რომ დაზიანებები მან მიიღო იატაკზე დაცემის შედეგად. ამასთან, დასახელებული პროკურატურა სრული დუმილით უვლის გვერდს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ შ. სოფრომაძეს არ უთქვამს უარი მის მიერ პოლიციის თანამშრომლების მიერ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი მასრების შენახვის, ასევე ამ ძალმომრეობის დროს მაჯის საათის, 90 ლარის და სხვა ნივთების წართმევის ნაწილში. ასევე არ უარუყვია ადრე მიცემული ჩვენებები ცემის ნაწილში მის სამ შვილიშვილს, რძალსა და მეზობელს ვენერა გერაძეს. პროკურატურამ ისე გამოიტანა დადგენილება პოლიციის

თანამშრომელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, რომ არ შეამოწმა ზემოდასახელებულ პირთა ჩვენებების სისწორე და სოფრომაძის ბინიდან ხსენებული ნივთების უკანონო ჩხრეკის შედეგად დაკარგვის ფაქტები. ასევე, დასახელებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში, არ მისცა კრიტიკული შეფასება იმ გარემოებას, თუ რატომ შეიკავა თავი სოფრომაძემ პოლიციის თანამშრომელთა მიერ მისი ცემის ნაწილში ადრე მიღებული ჩვენების უარყოფის მიზეზების დასახელებაზე. გარდა ამისა, მათ მიერ არ მისცემია შეფასება, თუ რამდენად სარწმუნოა, მიეღო ამ უკანასკნელს დაცემის შედეგად თავის ტვინის შერყევა, მრავლობითი დაზიანებები, დაუეჟილობები გულ-მკერდის არეში და კანქვეშა ჰემატომები ორივე წვიების მიდამოებში.

ეჭვმიტანილისა და მისი ინტერესების დამცველის ცემის შესახებ

იმერეთის მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებულს 2001 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა ადვოკატმა ლედი ტუკვაძემ, თერჯოლის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლების მიერ მისი და ეჭვმიტანილ თ. თოდაძის ცემისა და წამების შესახებ.

2001 წლის 20 ივლისის №715 შემოწმების აქტის თანახმად, თემურ გივის ძე თოდაძეს სხეულზე აღენიშნება მრავლობითი სახის დაზიანებები, გამოწვეული რაიმე ბლაგვი საგნის ზემოქმედებით, ხოლო ლედი ტუკვაძეს მიყენებული აქვს სისხლნაჟღენთების სახით მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

გადაიგზავნა რა შემოწმების მასალები, 2001 წლის 7 აგვისტოს სახალხო დამცველის მიერ გენერალურ პროკურატურას №680/03/694-ტ რეკომენდაციით ეთხოვა აღნიშნული შემთხვევის თაობაზე დროული და კვალიფიციური შემოწმების ჩატარება, ასევე დაისვა *თერჯოლის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის (თ. ბარბაქაძის)* პასუხისმგებლობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმების პროცესში, სრულიად უსაფუძვლოდ, გაზიარებულ იქნა ლ. ტუკვაძის ჩვენება, თითქოსდა სხეულის დაზიანებები მან მიიღო პოლიციელ ჩუბინიძის მიერ შინაგან საქმეთა განყოფილებიდან გამოძევების დროს. ამასთან, არ იქნა გამახვილებული ყურადღება, თუ რა ფორმებში

განხორციელდა ადვოკატის შენობიდან იძულების წესით გამოყვანა, ან რა მიზეზით ეთქვა უარი მას კანონით მინიჭებული დაცვის ფუნქციის განხორციელებაზე; პროკურატურის მიერ არ მისცემია სრულყოფილი შეფასება აგრეთვე აღნიშნული შემთხვევის გამომწვევი მიზეზების გასარკვევად, თუ რატომ არ იქნა დაშვებული დაკავებულთან სახალხო დამცველის რწმუნებული. თუმცა, აღნიშნული დარღვევებისთვის შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2001 წლის 27 აგვისტოს №484 ბრძანებით, თერჯოლის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსს თემურ ბარბაქაძეს გამოეცხადა საყვედური. გარდა ამისა, ნიშანდობლივია ისიც, რომ არავითარი რეაგირება არ გატარებულა, ამ შემთხვევაში, თვით დაკავებულ თ. თოდაძის ცემის ფაქტზე.

აღნიშნული დარღვევებს მკაცრი შეფასება მიეცა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მიმდინარე წლის 7 მარტს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე.

პოლიციელთა მიერ გ. უბილავასა და სხვათა ცემის შესახებ

2002 წლის 7 იანვარს, დაახლოებით 16 საათზე, *ზუგდიდის რაიონის დ. ჯვარის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა: კახა გობეჩიამ, ხვიჩა და იური აქუბარდიებმა*, რომლებიც მთვრალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ქალაქის ცენტრში, საზოგადოების თვალწინ სცემეს გიორგი უბილავას, ხოლო აღშფოთებული საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილების გამოთქმისას მათ მოახდინეს გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან.

მხარეში სახალხო დამცველის რწმუნებული უშუალოდ შეხვდა დაზარალებულ გ. უბილავას და დააფიქსირა, რომ მას დაზიანებული აქვს თვალ-ბუდე, მარცხენა ყური, ორივე წვივი. სამედიცინო ცნობის თანახმად, გ. უბილავას აღენიშნება თავის ტვინის შერყევა.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ზემოაღნიშნულ პოლიციელთა მიმართ.

არასრულწლოვანთა ცემის შესახებ

შს ზუგდიდის სამმართველოში 2001 წლის 21 ივნისს,

დაახლოებით 11.00 საათზე, გაუპატიურების მცდელობის ეჭვით, მიყვანილ იქნენ არასრულწლოვანები – ქ. ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლის XI კლასელები: ირაკლი ზარქუა და ზაალ ზარანდია.

სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა: გია ყალიჩავამ და ზურაბ კედიამ, ი. ზარქუას სცემეს და მიაყენეს მას სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მისგან აღიარებითი ჩვენების მიცემის მოთხოვნით.

ი. ზარქუას მიყენებული დაზიანების შედეგად მიღებული აქვს თავის ტვინის შერყევა, დაუზიანდა ყურის დაფის აპკი, რის გამოც დაუქვეითდა სმენა.

არასრულწლოვანს შეხვდა სამეგრელო-ზემო სვანეთში სახალხო დამცველის რწმუნებული, რა დროსაც მის მიერ დაფიქსირებულ იქნა სხეულზე არსებული დაზიანებები (დაბეჟილობა წვივისა და ზურგის მიდამოში). დაზარალებულის განმარტებით, პოლიციის მუშაკები მას ურტყამდნენ პარკეტს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დაყენებულ იქნა შუამდგომლობა ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურატურის წინაშე დამნაშავე პოლიციელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შუამდგომლობას თან ერთვოდა საკმარისი მტკიცებულებები პოლიციელთა მიმართ ბრალის წასაყენებლად (ექსპერტიზის დასკვნა, სამედიცინო ცნობა და ფოტომასალები დაზიანებათა შესახებ, ახსნა-განმარტებები), *დღემდე ისინი არ არიან მიცემულნი სისხლის სამართლის პასუხისგებაში, უფრო მეტიც, ისინი დღემდე ისევ განაგრძობენ მუშაობას პოლიციაში.*

ონის რაიონის შინაგან საქმეთა და რაიონული პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის პროვოცირებისა და ქრთამის გამოძალვის მცდელობის გამო, პატიმარ ზ. ბერიშვილის მიერ თვითდაზიანების მიყენების შესახებ

იმერეთის მხარეში საქართველოს სახალხო დამცველის

რწმუნებულს მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს წერილობითი სახით მისცა ახსნა-განმარტება ქუთაისის №2 საპყრობილეში მოთავსებულმა ზურაბ ბერიშვილმა, ონის რ-ნის შინაგან საქმეთა განყოფილებისა და რაიონული პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ნარკოტიკული ნივთიერების შენახვის პროვოცირებისა და ქრთამის გამოძალვის მცდელობასთან დაკავშირებით, თვითდაზიანების მიყენების შესახებ.

როგორც ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, 2001 წლის 3 ივლისს, პატიმრის მწოლიარე ბებიის – ნინა ბიძიშვილის სახლში, მაშინ, როცა იქ იმყოფებოდა მეზობელი ზვიად ბიძიშვილი, მივიდნენ *ონის რაიონის პოლიციის თანამშრომლები: დ. შველიძე, შ. ჩიკვილაძე და კ. გამყრელიძე*, რომლებიც დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში დაეძებდნენ მისთვის გაურკვეველ საგნებსა თუ ნივთიერებებს.

ორი დღის შემდეგ დასახელებულმა პირებმა კიდევ ერთი პოლიციის თანამშრომლის მონაწილეობით ბინიდან ამოიღეს მათ მიერ მიტანილი ნარკოტიკული ნივთიერება და შაშხანის ვაზნები და იგი დაადასტურეს პატიმრის მეშვეობით მოყვანილი მოწმის თანდასწრებით შედგენილი ოქმით.

პოლიციაში ეჭვმიტანილის წარდგენის შემდეგ, *შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა ზაზა ჭარელმა და რაიონის პროკურორმა თენგიზ ლიპარტელიანმა* ზ. ბერიშვილს შესთავაზეს, თავისუფლების სანაცვლოდ გადაეცა მათთვის ონში მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის გაყიდვის შემდეგ ამოღებული ფული, მაგრამ როცა შეიტყვეს, რომ თანხის ოდენობა შეადგენდა მხოლოდ 1000 ლარს, იცოტავეს და ბრალდების წაყენების შემდეგ, 2001 წლის 6 ივლისს გადაიყვანეს იგი ქუთაისის №5 საპყრობილეში.

მიმდინარე წლის 9 იანვარს საპყრობილეში იგი მოინახულა *რაჭა-ლეჩხუმის მხარის პროკურორის თანაშემწე ნიკა დავითულიანმა*, რომელმაც შესთავაზა ქრთამის გადაცემის სანაცვლოდ საპყრობილიდან გათავისუფლება, რაც გახდა მისი განერვიულებისა და დაწესებულების სანიტარიულ ნაწილში, ექიმ ი. გიგიაძის თანდასწრებით, ჟანგიანი ლურსმნით მარცხენა გვერდის კუნთის არეში თვითდაზიანების მიყენების საფუძველი.

აღნიშნული შეტყობინების შემოწმების მიზნით, 2001 წლის 16 ოქტომბერს მივმართე საქართველოს გენერალურ პროკურორს, რაზედაც იმავე წლის 19 ნოემბერს მეცნობა, რომ ბრალდებულმა უარყო მის მიერ ადრე დასახელებული პირების მიმართ მიცემული მამხილებელი ჩვენება, ამასთან, პროკურატურამ არავითარი

რეაგირება არ მოახდინა, დაპატიმრებამდე 2 დღით ადრე ზ. ბერიშვილის ბებიის სახლში ონის რაიონის პოლიციის თანამშრომლების მისვლისა და ამ უკანასკნელთა მიერ დასახელებული ნარკოტიკებისა და ვაზნების შენახვის პროვოცირების მიზნით მათი შესაძლო დატოვების ფაქტზე.

მიუხედავად რეკომენდაციაში მითითებული მოთხოვნისა, დღემდე არ ჩამორთმეულია სათანადო ახსნა-განმარტებები ამ ფაქტის შემსწრე ბრალდებულის ბებიას – ნინა ბიძიშვილსა და მის მეზობელს ზვიად ბიძიშვილს.

გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მათ მიერ დადასტურებულ იქნა რა ქუთაისის საპყრობილეში რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საოლქო პროკურორის თანაშემწის ნ. დავითულიანის მიერ პატიმარ ბერიშვილის მონახულების ფაქტი, სათანადო შეფასება არ მიეცა, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ამ შემთხვევაში, როგორც ეს გენერალური პროკურატურის წერილშია მითითებული, ბრალდებულის ე.წ. "გარეგნული შემოწმების" ჩატარება.

ამ შემთხვევაში გაკვირვებას იწვევს საპყრობილეში ამ მიზეზით ბრალდებულის მონახულება, მაშინ, როცა მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიყენებული თვითდაზიანებები ან კიდევ, თუ რა კავშირშია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან პატიმრის გარეგნული შემოწმების ჩატარება.

თ. ხახუტაშვილის დამამძიმებელი გარემოების გარეშე განზრახ მკვლელობის თაობაზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის არაობიექტური გამოძიებისა და გაჭიანურების შესახებ

სახალხო დამცველის აპარატს 2001 წ. 16 აგვისტოს განცხადებით მომართა ქ. ხახუტაშვილმა, ფ. ასაბაშვილის მიერ დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭიანურებისა და მისი ტენდენციურად წარმართვის თაობაზე.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2001 წლის 26 მაისს, მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს, თ. ხახუტაშვილსა და ფ. ასაბაშვილს შორის წარმოშობილი კონფლიქტის შედეგად, ამ უკანასკნელმა

თავში წალდის ჩარტყმის მცდელობისას დაუზიანა თ. ხახუტაშვილს ხელის მტევანი.

დაზარალებული მხარის განცხადების საფუძველზე, ყვარლის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ვინაიდან საქმის გამოძიება წარიმართა საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, მათ მიეცა აცილება და საქმე დაექვემდებარა გურჯაანის რაიონის პროკურატურის საგამოძიებო სამსახურს. წინასწარი გამოძიების პროცესში ამ სამსახურის მიერ დაშვებული უხეში დარღვევების გამო, თელავის რაიონის სასამართლოს დადგენილებით, მიუხედავად დაზარალებულის მიერ უნდობლობის გამოცხადებისა, სისხლის სამართლის საქმე კვლავ დაუბრუნდა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად ყვარლის რაიონის პროკურატურას.

სასამართლო გადაწყვეტილებით, წინასწარი გამოძიების პროცესში ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დოკუმენტებში სიყალბის ჩადენის გზით საგამოძიებო ვადების გადაკეთების შემთხვევებს, ხოლო განმცხადებლის განმარტებით, სისხლის სამართლის საქმიდან ამოღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, გაყალბდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა, შეიცვალა წალდი, რომელიც წარმოადგენდა დანაშაულის ჩადენის იარაღს და ა. შ.

აღნიშნული გარემოებებისა და საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატში მომზადდა რეკომენდაცია საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე, სისხლის სამართლის საქმის ყვარლის რაიონის პროკურატურიდან გამოთხოვისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა საგამოძიებო სამსახურისათვის გადაცემის შესახებ, რაც სათანადო დასაბუთების გარეშე არ იქნა გაზიარებული.

შემდგომში, როგორც განმცხადებლისგან გახდა ცნობილი, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე ყვარლის რაიონის პროკურატურა გამოძიებას კვლავ ტენდენციურად და არასწორად აწარმოებდა, გამომძიებლის მხრიდან დაზარალებულების მიმართ ადგილი ჰქონდა მუქარისა და დაშინების შემთხვევებს, რის გამოც 2001 წ. 1 ნოემბერს გენერალურ პროკურორს რეკომენდაციით ვთხოვე, მიეღო საქმე წარმოებაში.

2001 წლის 20 ნოემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებულ იქნა პასუხი სახალხო დამცველის რეკომენდაციის დაკმაყოფილების, დასახელებული სისხლის სამართლის საქმის ყვარლის რაიონის პროკურატურისათვის

აცილებისა და შემდგომი გამოძიებისათვის კახეთის საოლქო პროკურატურისათვის დაქვემდებარების შესახებ.

გამოძიების არაობიექტურად წარმართვის თაობაზე მ. დობორჯგინიძის განცხადების შესახებ

2001 წლის 20 მარტის №206/03-6/222-დ, 2001 წლის 22 ივნისის №493/04-8/222-დ, 2001 წლის 16 აგვისტოს №751/04-1/222, 2001 წლის 12 სექტემბრის №866/03/222-დ, 2001 წლის 19 ოქტომბრის №1060/03/222-დ და 2001 წლის 26 დეკემბრის №1381/03-222-დ რეკომენდაციებით, საქართველოს გენერალურ პროკურორს ვთხოვდი განეხილა ქ. ოზურგეთში, ჯორჯიაშვილის I შესახ. №22-ში მცხოვრები მანანა დობორჯგინიძის საჩივარი, მისი მკვლელობის მცდელობის, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანების, კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაცნობაზე უარის თქმის მიზეზების გამოკვლევისა და საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარების შესახებ. ერთდროულად, საქართველოს გენერალურ პროკურორს ვთხოვე, განეხილა მ. დობორჯგინიძის მიღების საკითხი, რა დროსაც ეს უკანასკნელი წარუდგენდა მას კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო დამატებით მასალას, რომლის მიღებაზე გამოძიება მას უარს ეუბნებოდა, ამასთან, დაუსაბუთებდა ექსპერტიზის ჩატარების პროცესში მისი სამედიცინო გამოკვლევის აუცილებლობის მოტივებს.

დღემდე გენერალურ პროკურატურას არსებითად არ განუხილავს ეს რეკომენდაციები, სახელდობრ, ჩემთვის სხვადასხვა დროს გამოგზავნილ პასუხებში არ არის განმარტებული, თუ რამდენად დასაშვებადაა მიჩნეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მ. დობორჯგინიძისათვის შესაბამისი დადგენილებისა და მისთვის ექსპერტის დასკვნის გაცნობის გარეშე, რა მიზეზით არ გადაეცა დაზარალებულს გასაცნობად დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ ან კიდევ, როდის გაეგზავნა მას დასახელებული დადგენილება და რეალურად მის მიერ იქნა თუ არა იგი მიღებული.

როგორც *გენერალური პროკურატურის გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსის რამაზ ჟღენტის* 2001 წლის 4 ოქტომბრის №15-2/6-2001 წერილიდან ირკვევა, სისხლის

სამართლის საქმე ნ. გუჯაბიძის ბრალდების მიმართ (ნ. გუჯაბიძემ მიაყენა სხეულის დაზიანება მ. დობორჯგინიძეს) დასრულდა 2001 წლის 19 ივნისს. ამასთან, წერილში არაფერია ნათქვამი, აღნიშნული გარემოების თაობაზე ეცნობა თუ არა დაზარალებულს, ხოლო მისი 2001 წლის 5 დეკემბრის №15/2-6-2001 წერილის მიხედვით, მ. დობორჯგინიძეს აღნიშნული დადგენილება არ გაგზავნია, რითაც დასტურდება, რომ ამ უკანასკნელს წაერთვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გამომძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება.

გენერალური პროკურატურის 2002 წლის 28 იანვრის №15/2-6-2002 წერილში მითითებულია დასახელებული საქმის შეწყვეტის თაობაზე დადგენილების ასლის მ. დობორჯგინიძისათვის გადაგზავნის შესახებ, ამასთან, არაფერია ნათქვამი, თუ როდის მოხდა აღნიშნული დადგენილების დაზარალებულისათვის გადაგზავნა და რა ღონისძიებები გატარდა გამომძიებლის მიმართ, რომელმაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ამ მიმართებით დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული დაზარალებულის უფლებები.

სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებების დამადასტურებელი მასალების გადაცემაზე მზადყოფნისა და ამ მიზნით გენერალურ პროკურორთან შეხვედრის მოთხოვნის თაობაზე მ. დობორჯგინიძის სისტემატური განცხადებების ფონზე, ძნელია, გაიზიარო გენერალური პროკურატურის მოსაზრებები გამოძიებასთან თანამშრომლობაზე ამ უკანასკნელის მიერ უარის თქმის ნაწილში.

სახალხო დამცველი კატეგორიულად მოითხოვს გენერალური პროკურატურისაგან, განიხილოს დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე მ. დობორჯგინიძის განცხადებების საფუძვლიანობა და მიიღოს საქმეზე კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველის რეკომენდაციებზე სასამართლო ორგანოების არასათანადო რეაგირების შესახებ

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლო ორგანოები, მათი თანამდებობის პირები, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის "ბ" და "გ" პუნქტებისა და 23-

ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ხშირ შემთხვევაში, მათი დამოუკიდებლობის, საქმიანობაში ჩაურევლობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვის მოტივით, უარს ამბობენ ან თავს არიდებენ, გადასცენ სახალხო დამცველს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა, მისცენ ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე. ამასთან, მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ დასახელებული მოთხოვნები შეეხება ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შესულია კანონიერ ძალაში და როდესაც "სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საკითხი ეხება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო სისტემატურად უარს ამბობს, განიხილოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები შესაბამისი სასამართლო ინსტანციის ძალაში შესული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების თაობაზე იმ შემთხვევაში, როცა შემოწმების შედეგად მიჩნეულია სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე, რითაც უხეშად არღვევს "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "ე" პუნქტის მოთხოვნებს.

2001 წლის 26 თებერვალს, 19 მარტს, 22 მაისსა და 3 დეკემბერს, დასახელებული კანონის 21-ე მუხლის "ე" პუნქტის უფლებამოსილების ფარგლებში, უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა ჩემი №129/02-1/51-მ, №200/02-1/85-ჯ, №363/02-1/298-ქ და №1244/03/866-მ რეკომენდაციები, ინვალიდ მეომართა, ომის ვეტერანთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდის "მრეველის" თავმჯდომარე ზ. მამულაშვილის, მოქ. დ. ჯაშის, მოქ. კ. ქოქოსაძისა და მოქ. თ. მამიჯანაშვილის სამოქალაქო დავის საქმეებზე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ და ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმების შესახებ.

სახელდობრ, რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ 2000 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, შპს "საქართველოს რკინიგზას" ფონდ "მრეველის" სასარგებლოდ დაეკისრა 172.928 ლარის გადახდა.

სასამართლოს მიერ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო ქონების იმდროინდელი

მესაკუთრის, საქმის განხილვაში სავალდებულო ჩაუბმელობის მოტივით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 24 იანვარს №33/133 განჩინებით ბათილად ცნო ამ საკითხზე ყველა ადრინდელი სასამართლო გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნა გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს.

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, რომლითაც ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან, თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო არ შეიძლებოდა ჩაბმული ყოფილიყო საქმეში, ვინაიდან იგი სასამართლო განხილვის დროს არ წარმოადგენდა მხარეს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ის დაინტერესებული პირები, რომლებიც შეუდგებიან სასამართლო განხილვას. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო პროცესი დაწყებულ იქნა ომის ვეტერანთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ფონდის "მრევლის" თავმჯდომარის სასარჩელო განცხადებით შპს "საქართველოს რკინიგზის" მიმართ, რა დროსაც ამ უკანასკნელის წარმომადგენელს არ დაუყენებია საკითხი სასამართლო სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების მესაკუთრის, მიწვევის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 24 იანვრის განჩინებით, არასაცხოვრებელი ფართის, ანუ სარდაფის, სამზარეულოს, აბაზანისა და ტუალეტის ა. ყულიჯანაშვილზე მიკუთვნება განხორციელდა სრულიად უსაფუძვლოდ, ვინაიდან ამ პერიოდისათვის არსებობდა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 1 ნოემბრის ძალაში შესული გადაწყვეტილება დასახელებული ფართის დ. ჯაშისათვის მიკუთვნების შესახებ, რის თაობაზეც თვით ა. ყულიჯანაშვილს პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 12 ივლისისა და

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2000 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, კანონიერად იქნა მიჩნეული კ. ქოქოსაძის გათავისუფლება შტატების შემცირების გამო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მთავარი მრჩევლის თანამდებობიდან.

უზენაესი სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებით, მხედველობაში არ იქნა მიღებული "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის "დ" პუნქტის მოთხოვნები, რომლითაც შტატების შემცირების გამო კ. ქოქოსაძეს, როგორც ომის ინვალიდს, ჰქონდა ორპროცენტიანი ჯავშნის ფარგლებში სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილებულ იქნა შპს "ლიკანის" სასარჩელო განცხადება, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ და ბორჯომის №229 საწარმოო-საგზაო უბნის მუშა-ამფეთქებელ თ. მამიჯანაშვილს, მნგრეველის 3 თვის საშუალო ხელფასის, შრომის უნარის პროცენტული დანაკარგისა და დასახიჩრების შერეული ბრალის გათვალისწინებით, განესაზღვრა ყოველთვიური სარჩო 34,92 ლარის ოდენობით.

დასახელებულ სასამართლოთა გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, ვინაიდან ამ დროისათვის ქვეყანაში მოქმედებდა "შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ," საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება, რომლის თანახმად, "თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობს აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრება ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან." ხოლო "მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით, შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე იმჟამად განსაზღვრული იყო 20 ლარის ოდენობით. ამიტომ, მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობის, შრომის უნარის 85%-ით დაკარგვისა და შერეული ბრალით დასახიჩრების გამოწვევის გათვალისწინებით, თ. მამიჯანაშვილის, როგორც დაზარალებულის, სარჩო უნდა განსაზღვრულიყო 85 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, 2000 წლის 21 თებერვლისა და 18 მაისის გადაწყვეტილებებით, ბორჯომის რაიონის სასამართლოსა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში შეეძლო საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვის ან გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ის გარემოება, რომ შპს "ლიკანისათვის" ცნობილი არ იყო მათ ორგანიზაციაში ამფეთქებლის საშტატო ერთეულის არარსებობის შესახებ, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. პირიქით, მათ უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ და განეცხადებინათ რაიონული და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში საქმის განხილვის დროს, რაც მათ მიერ არ გაკეთებულა. სასამართლომ კი საქმეზე ისე მიიღო მოსარჩელის განცხადება და გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხზე, რითაც იგნორირებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის მოთხოვნები.

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ დასახელებულ საქმეთა განხილვისას მიღებული გადაწყვეტილებებით დარღვეულ იქნა რა ზემოხსენებულ პირთა უფლებები, მოვითხოვე მათი კანონიერების შემოწმება, რაზედაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილების უფროსის ლ. გოგელიას მიერ 2001 წლის 20 მარტის №3ბ/133, 2001 წლის 30 ოქტომბრის №.3ბ/51, 2001 წლის 8 ივნისის №3ბ/683 და 2001 წლის 27 დეკემბრის №01-ბ/353 წერილებით გვეთქვა უარი იმ მოტივით, რომ დასახელებულ საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის გამო, მათი კანონიერების შემოწმება ზედამხედველობის წესით, მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული წერილებით სახალხო დამცველი არ მოითხოვდა ზედამხედველობის წესით სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას, არამედ მივიჩნიე რა, რომ სასამართლო წარმოების პროცესში, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამო დაირღვა ზ. მამულაშვილის, დ. ჯაშის, კ. ქოქოსაძისა და თ. მამიჯანაშვილის უფლებები, რამაც არსებითად იმოქმედა სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაზე,

ვიძლეოდი რეკომენდაციებს "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "ე" პუნქტის საფუძველზე, შემოწმებულიყო ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერება.

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონი განეკუთვნება ნორმატიული აქტების კატეგორიას, ხოლო ამავე კანონის მე-5 მუხლით, საქართველოს კანონით არ შეიძლება გადაწყდეს საკითხები, რომელთა მოწესრიგება ორგანული კანონითაა გათვალისწინებული.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, ის განეკუთვნება განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმას, მის სისტემატიზებულ კატეგორიას, ხოლო "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის მე-19 მუხლით, რომლითაც დადგენილია ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის იერარქია, საქართველოს კანონი, მათ შორის კოდექსები, ორგანულ კანონთან მიმართებაში განიხილება როგორც ქვემდგომი, დაბალი რანგის მქონე ნორმატიული აქტები.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან ჩემი 2001 წლის 26 თებერვლის, 19 მარტის, 22 მაისისა და 3 დეკემბრის რეკომენდაციებით ვითხოვდი "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის უფლებამოსილების ფარგლებში, ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებათა კანონიერების და არა ზედამხედველობის წესით მათ შემოწმებას, როგორც ამას მიუთითებს ქალბატონი ლ. გოგელია, საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმეორებით ვთხოვე განეხილა სახალხო დამცველის მორიგი რეკომენდაცია და ამ საკითხზე მოეწოდებინა მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სათანადო ინფორმაცია ამავე კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთთვიან ვადაში.

მიუხედავად ამისა, დღემდე უზენაეს სასამართლოს რეკომენდაციაზე პასუხი არ გაუცია.

მოსამართლეთა და სასამართლო შემადგენლობების მიერ სხვადასხვა სახის სიყალბეების ჩადენის გზით მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებული უფლებების შელახვის შესახებ

სახალხო დამცველის აპარატში შეგროვილი მასალებიდან ირკვევა, რომ მოსამართლეებისა და სასამართლოს შემადგენლობის მიერ ადგილი აქვს სხვადასხვა სახის სიყალბის ჩადენის გზით მოქალაქეებისათვის კანონით მინიჭებული უფლებების შელახვის შემთხვევებს.

მიმდინარე წლის მაისში განცხადებით მომმართა ქ. თბილისის 179-ე საშუალო სკოლის ყოფილმა მასწავლებელმა დ. ცხვედაძემ, ყალბი მტკიცებულებებისა და მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედებების გამო, ახლადაღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების აღძვრისა და გამოძიების ჩატარების შესახებ. დ. ცხვედაძის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლით გამოირკვა შემდეგი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს შემთხვევას სასამართლო სხდომაზე განსასჯელის, დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის გამოუცხადებლობის გამო, ამ უკანასკნელთა თანხმობის გარეშე, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 2000 წლის 13 მარტის სასამართლო სხდომის ოქმში მითითებულია იმის შესახებ, რომ განსასჯელი დოდო ცხვედაძე, მიუხედავად იმისა, რომ მას ეცნობა კერძო ბრალდების საქმის განხილვის დღე, არ გამოცხადდა სხდომაზე, ასევე არ გამოცხადდა დაზარალებულის უფლებამონაცვლე მანანა ანზორის ასული ბარბაქაძე და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნა მისი განცხადება შერიგების შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 632-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვის დროს შერიგების შესახებ დაზარალებულისა და იმ პირის ზეპირი განცხადებები, რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი, შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. აქედან გამომდინარე, ვინაიდან განსასჯელი დოდო ცხვედაძე დასახელებული ოქმის მიხედვით არ გამოცხადდა სხდომაზე, იგი ობიექტურად ვერ გააკეთებდა ზეპირ განცხადებას დაზარალებულთან შერიგების შესახებ, ხოლო

მანამდე კი მას საქმის მასალების მიხედვით ასეთი განცხადება არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით არ ჰქონია გაკეთებული. რაც შეეხება საქმეში არსებულ, *მოსამართლის თანაშემწე მ. ონაშვილის* დაუთარიღებელ ცნობას იმის თაობაზე, რომ 13 მარტს (წელი არ არის მითითებული) ტელეფონით (ნომერი არ არის მითითებული) დ. ცხვედაძეს გააცნო მანანა ბარბაქაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა (განცხადების თარიღი არ არის აღნიშნული) და საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, ფრიად საეჭვოა, ვინაიდან მასში არ არის მითითებული დ. ცხვედაძის არანაირი რეაგირების შესახებ. ამასთან, თვით საქმის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას განსასჯელის მიერ თანხმობის მიცემამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმეში არსებული ლაშა გოჩას ძე ბარბაქაძის უფლებამონაცვლის მ. ბარბაქაძის 2000 წლის 6 მარტის განცხადებით, იგი თანახმა იქნება შერიგებაზე და საქმის შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში, თუ დოდო ცხვედაძე ბოდიშს მოუხდის მას, რაც ამ უკანასკნელის მიერ არ შესრულებულა.

როგორც ცხვედაძე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოცხადდა სასამართლოში, ამ დღეს სასამართლო სხდომა საერთოდ არ ჩატარებულა, რის გამოც მას შერიგების შესახებ არავითარი განცხადების გაკეთება არ შეეძლო. ამასთან, ასეთი განზრახვა მას არც მაშინ ჰქონდა და არც ამჟამად, უდანაშაულობის გამო, არ გააჩნია. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია ქ. თბილისში, დიდი დიღმის მე-3 მ/რ, მე-5 კორპუსი, ბინა 239-ში მცხოვრებ მანანა გივის ასულ მაღრაძისა და პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივნის გიორგი ამაშუკელის, საქართველოს სახალხო დამცველთან შემოტანილი, 2000 წლის 22 მაისის განცხადებებით. სახელდობრ, განცხადებებში აღნიშნულია, რომ 13 მარტს მაღრაძე რწმუნებულ გია ამაშუკელთან ერთად თან ახლდა სასამართლოში დ. ცხვედაძეს, დახმარებას უწევდა მას და იმ დღეს სასამართლო სხდომა საერთოდ არ ჩატარებულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლომ, რომელიც იხილავდა სამუშაოზე აღდგენის, იძულებითი განაცდურის გადახდევინებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ დ. ცხვედაძის სასარჩელო განცხადებას, ყურადღების გარეშე დატოვა, არ გამოიკვლია და არ იმსჯელა 179-ე სკოლის საერთო კრებაზე დ. ცხვედაძის გამოუცხადებლობის

მიზეზებზე. მან 2000 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ცხვედაძე გაფრთხილებული იყო კრებაზე მიწვევის შესახებ და ამ საკითხზე სკოლის დაფაზე გამოკრული იყო შესაბამისი ხასიათის ინფორმაცია. ამავე დროს, სასამართლომ მხედველობიდან გაუშვა ის გარემოება, რომ ცხვედაძე საერთო კრების ჩატარების დღეს, ანუ 1999 წლის 29 დეკემბერს, იმყოფებოდა ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლოში და ამ უბრალო მიზეზის გამო ვერ დაესწრებოდა კრებას, რასაც ადასტურებს დასახელებული სასამართლოს მიერ ამ დღეს გამოტანილი გადაწყვეტილება განსასჯელის შუამდგომლობით ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (იხ. ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 1999 წლის 29 დეკემბრის განჩინება ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ).

ასევე საეჭვოა სკოლის საერთო კრების ჩატარების თაობაზე დ. ცხვედაძის გაფრთხილების შესახებ 1999 წლის 23 დეკემბრის აქტის სინამდვილე, ვინაიდან, დასახელებულ დღეს *ქ. თბილისის ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლოს მოსამართლის რ. ვარაზაშვილის* მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება დ. ცხვედაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და ამ უკანასკნელის საქართველოს სსკ 112-ე მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

გარდა ამისა, როგორც დ. ცხვედაძე მიუთითებს, სასამართლოს, მიუხედავად მის მიერ დაყენებული შუამდგომლობებისა, არ შეუსწავლია კლასის ჟურნალები, რომლებიც დაადასტურებენ 1999 წლის 23 დეკემბრიდან სკოლაში მის მიერ გაკვეთილების ჩაუტარებლობას, ვინაიდან ამის საშუალებას სკოლის დირექცია არ აძლევდა.

წარმოდგენილ მასალებში მოიპოვება *ქ. თბილისის ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლოს მოსამართლის კ. ქამხაძის* სახელზე დაწერილი, 179-ე საშუალო სკოლის მე-9ᵃ კლასის მოსწავლის სოფო მუმლაძის დაუთარიღებელი და მე-9ᴵᴵᴵ კლასის მოსწავლის გოჩა ზენაიშვილის მშობლის, ქეთევან წილოსნის განცხადებები დ. ცხვედაძის მიერ ლაშა ბარბაქაძისათვის სხეულის დაზიანების თაობაზე ადრე მიცემული ჩვენებების უარყოფისა და ასეთის რაღაც გაუგებრობით ახსნის შესახებ, რაც სასამართლოს არ გამოუკვლევია და ამჟამად წარმოადგენს შემოწმების საგანს.

შერიგების გამო, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლოს 2000 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი სამოქალაქო დავის საქმეზე ამავე სასამართლოს 2000

წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებისა, უარი ეთქვა დოდო ცხვედაძის სარჩელზე მისი სამუშაოზე აღდგენის, იძულებით განაცდურის გადახდევინებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

იგი ასევე გახდა საფუძველი ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის გადაწყვეტილებისა, არ დაეკმაყოფილებინა დ. ცხვედაძის სააპელაციო საჩივარი და ძალაში დაეტოვებინა ამ საკითხზე ქ. თბილისის ისანი-სამგორის რ-ნის სასამართლოს 2000 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება.

დასახელებული ფაქტობრივი გარემოებები, ალბათობის მაღალი ხარისხით, ქმნის საფუძველს ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ყალბად იქნას მიჩნეული 179-ე საშუალო სკოლის საერთო კრების 1999 წლის 29 დეკემბერს დანიშვნისა და მასში მონაწილეობის მისაღებად დ. ცხვედაძის მოწვევის 1999 წლის 23 დეკემბრის აქტი, შერიგების გამო მ. ბარბაქაძის განცხადების გამოქვეყნების და საქმის შეწყვეტის, აგრეთვე ამ უკანასკნელისა და დ. ცხვედაძის სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე, 2000 წლის 13 მარტის სასამართლოს სხდომის ოქმი განსასჯელთან შერიგებისა და საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით, მ. ბარბაქაძისა და დ. ცხვედაძის სატელეფონო საუბრის შესახებ *მოსამართლის თანაშემწის მ. ონაშვილის* მიერ შედგენილი დაუთარიღებელი ცნობა და ამ დანაშაულებების ჩადენაში *ისანი-სამგორის რაიონის სასამართლოს მოსამართლის რ. ვარაზაშვილის, სასამართლოს მდივნის მ. მიქელაძის, მოსამართლის თანაშემწის მ. ონაშვილის, აგრეთვე 179-ე სკოლის თანამშრომლების: ნ. ცინცაძის, მ. ივანიშვილისა და ლ. კიკილაშვილის მონაწილეობა.*

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 21-ე მუხლის "გ" პუნქტის საფუძველზე, 2001 წლის 31 მაისს საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაეგზავნა ჩემი №390/01-1/359-ც რეკომენდაცია დასახელებული პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის 2001 წ. 27 სექტემბრის №12-37-2001 წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის გათვალისწინებით და მისი წერილის საფუძველზე, მოსამართლე რ. ვარაზაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად, "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, ყველა მონაკვლევ მასალასთან ერთად, რეაგირებისათვის

გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

დასახელებული სასამართლოს მიერ 2001 წ. 13 დეკემბერს ჩემს სახელზე გადმოგზავნილი №07/964-კ წერილიდან ირკვევა, რომ მოსამართლე როინ ვარაზაშვილის მიმართ, მიუხედავად ზემოხსენებული სიყალბეებისა და დარღვევებისა, შეწყდა დისციპლინური დევნა, რასაც ჩემი 2002 წ. 9 იანვრის წერილით არ დავეთანხმე და მოვითხოვე სათანადოდ არგუმენტირებული ინფორმაციის გადმოგზავნა, რაზეც დღემდე პასუხი არ მიმიღია.

სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში წარმოშობილი პრობლემები

საკუთრების უფლების დარღვევის მრავალი შემთხვევა არსებობს, საილუსტრაციოდ გამოვყოფდი ზოგიერთ მათგანს. კერძოდ, ის, რომ მოქ. ლალი მარჯანიძემ კანონიერი გზით მიიღო რა სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა დიდ დიღომში, არ მიეცა მისით სარგებლობის საშუალება, რადგან ამ ბინაში აღმოჩნდა უნებართვოდ შეჭრილი ხაშურის მკვიდრი, მოქ. ნ. ნოზაძე-კაპანაძე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, რაზედაც საბურთალოს რაიონის სასამართლომ 1999 წლის 26 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება მისი გამოსახლების თაობაზე. მოქალაქე ნ. ნოზაძე-კაპანაძემ გამოიყენა სააპელაციო და საკაციო გასაჩივრების კანონით მინიჭებული უფლება, მაგრამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული. *ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მ. ნოზაძემ* 1999 წლის 21 ივნისს კანონდარღვევით გამოწერა სააღსრულებო ფურცელი. საქმე იმაშია, რომ "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად, რაიონულ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება გამოეწერა სააღსრულებო ფურცელი, სანამ სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება ან დადგენილება არ იქნებოდა შესული კანონიერ ძალაში. არადა, სასამართლო გადაწყვეტილება მოქალაქე ნ. ნოზაძე-კაპანაძის გამოსახლების შესახებ კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ, 2001 წლის 16 თებერვალს. ასევე უხარისხოდ წარმართა აღმასრულებელმა თვით კანონდარღვევით გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის განხორციელება, რადგან აღმასრულებლის 1999 წლის 12 ივლისის ოქმით ირკვევა, რომ გამოსახლებას არ ესწრებოდა ნ. ნოზაძე-კაპანაძე და არც ყოფილა

გაფრთხილებული ამის შესახებ. უბრალოდ, აღიწერა მისი კუთვნილი ქონება და შესანახად ჩაბარდა მოქალაქე ლ. მარჯანიძეს, მაგრამ აღმასრულებელმა "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 84-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, არ აღასრულა სასამართლო მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში სააღსრულებო დეპარტამენტი თვლის, რომ სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებულია, ხოლო ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარე, ბატონი მ. ნოზაძე კი ჩემს რეკომენდაციაზე, რომ კანონიერად გამოწერილიყო სააღსრულებო ფურცელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, დღემდე არ ახდენს სათანადო რეაგირებას. არადა, გადის სამი წელი და ვერა და ვერ იქნა კანონიერება აღდგენილი.

სასამართლო განხილვის გაჭიანურების შესახებ

საკუთრების უფლების დარღვევას ეხება მოქალაქე კ. გიორგობიანის განცხადების შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტიც. 1995 წლის 7 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოს ფირმა "სიონსა" და *სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საკურორტო-სამედიცინო სამმართველოს (სამმართველოს უფროსი ზ. ღლონტი)* შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ფირმა "სიონი" იღებდა ვალდებულებას, 1997 წლის 1 იანვრამდე მიეწოდებინა ურთიერთშეთანხმებული პროდუქცია, ხოლო სამმართველო რეალიზაციის შემდეგ გადაიხდიდა მის ღირებულებას. მიიღო რა პროდუქცია სამმართველომ, იგი კომერციული მიზნით გაიტანა ქ. მოსკოვში და მოახდინა მისი რეალიზაცია, მაგრამ ფირმა "სიონს" თანხა არ გადაუხადა, რაც იქცა სასამართლო მსჯელობის საგნად. 1998 წლის 11 დეკემბრის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამმართველოს დაეკისრა როგორც ძირითადი თანხის, ასევე წარმოშობილი ჯარიმის გადახდა, რომელმაც ჯამში შეადგინა 38,6 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში. მთაწმინდის რაიონის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე არ არის შესული კანონიერ ძალაში და ექვსი წლის განმავლობაში იგი იხილება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოში.

ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი სააქციო საზოგადოება "№13 ტრესტშიც". საქმე იმაშია, რომ *საქართველოს პარლამენტის*

აპარატს (აპარატის უფროსი ხ. გოგორიშვილი), პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე გაწეული სამშენებლო სამუშაოებისათვის ტრესტის სასარგებლოდ გააჩნია დავალიანება 942,3 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში და 981,6 ათასი ლარი, წარმოშობილი დავალიანების დაფარვის მიზნით, სახელმწიფო მინისტრის 2000 წლის 29 სექტემბრის №76 ბრძანებით შექმნილი კომისიის დასკვნით, ასევე ცალსახად დადასტურებულია დავალიანების არსებობა, მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის ფინანსურად უზრუნველყოფილი ტრესტი დამკვეთი ორგანიზაციების მხრიდან, რითაც დაირღვა ტრესტის მრავალათასიანი კოლექტივის შრომითი უფლებები. სასამართლო ორგანოები კი 1997 წლიდან დღემდე აჭიანურებენ საქმის გადაწყვეტას და ძნელი სათქმელია, როდის აღსდგება სამართლიანობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო დამცველთან არცთუ იშვიათად შემოდის საჩივრები სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს მიერ განცხადება-საჩივრებისა და შუამდგომლობების განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების გაჭიანურების შესახებ.

იმის გამო, რომ 2000 წლის 1 ივლისიდან მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლი (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით) არ ცნობს სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენას, რისთვისაც ოთარ მურმანის ძე ვაშაკიძეს, ადრე მოქმედი სსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მსჯავრი დაედო 6 წლითა და ექვსი თვის ვადით, ამ უკანასკნელმა 2001 წლის 9 მარტს მისი დანაშაულის კანონშესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატას. მას შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დასაბუთებული თხოვნით მსჯავრდებულმა 2001 წლის 22 ივნისს განმეორებით გაგზავნა განცხადება, უზენაესი სასამართლო არ იღებს ამ საკითხზე გადაწყვეტილებას, რითაც უხეშად არღვევს ო. მ. ვაშაკიძის კანონით მინიჭებულ უფლებებს.

2001 წლის 8 სექტემბერს თბილისის საოლქო სასმართლომ სრულიად უსაფუძვლოდ არ დაუშვა სასამართლო პროცესზე დაზარალებული მხარის წარმომადგენელი ქ. ხახუტაშვილი და მისი მონაწილეობის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება, ასაბაშვილის მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობის საქმეზე, თელავის რაიონული სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის

დადგენილების ძალაში დატოვების შესახებ.

სხდომაზე ქ. ხახუტაშვილის დაშვებაზე უარის თქმა სასამართლომ დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა დაზარალებულის რწმუნების დამადასტურებელი საბუთი.

სახალხო დამცველის მიერ ქ. ხახუტაშვილის განცხადების საფუძველზე ჩატარებული შემოწმებით გამოიკვეთა, რომ სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვებოდა კანონიერი წარმომადგენლობის რწმუნება, რის გამოც, როგორც საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ჩემს სახელზე გადმოგზავნილი 2001 წლის 25 სექტემბრის №344/თ-01 წერილიდან ირკვევა, *მოსამართლის თანაშემწის გოგოხიას მიმართ დანიშნულ იქნა სამსახურებრივი მოკვლევა.*

კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევითა და სხეულის დაზიანებებით საპყრობილეებში პატიმართა მოთავსების შესახებ

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, კვლავინდებურად ადგილი აქვს სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით და სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით შინაგან საქმეთა ორგანოების წინასწარი დაკავების საკნებიდან და დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან ქ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის საპყრობილეებში პატიმართა დაგვიანებით გადაყვანის შემთხვევებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბათუმის საპყრობილეში პატიმართა მოთავსების კანონიერების შესწავლით გამოირკვა, რომ ხშირ შემთხვევებში ადგილი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოებიდან იქ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დარღვევით პატიმართა გადაყვანის შემთხვევებს.

სახელდობრ, 2000 წლის 1 სექტემბერს, 7 და 26 დეკემბერს, 2001 წლის 2 და 8 თებერვალს, 25 და 26 აპრილს, 21 მაისსა და 19 ივნისს დასახელებულ საპყრობილეში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მოთავსებულია 11

პატიმარი, მათ შორის *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2, ბათუმის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოდან – 2, ხულოს შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან 1 და ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებიდან 6 პატიმარი.*

2000 წლის 6 და 16 ოქტომბერს, 16 ნოემბერს, 2001 წლის 9 მარტს, 23 აპრილს, 13 ივლისსა და 17 ივლისს დასახელებულ საპყრობილეში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევით მოთავსებულია 12 პატიმარი, მათ შორის, *ოზურგეთის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან – 8, ჩოხატაურის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან – 3 და გურიის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოდან 1 პატიმარი.*

აღსანიშნავია, რომ კანონის დარღვევით ცალკეულ პატიმართა დაგვიანებით საპყრობილეში გადაყვანა გამოითვლება არა დღეების, არამედ თვეზე მეტი ვადით. მაგალითად, პატიმარი დავით ისრაფელის ძე ბაჯელიძე და ვიტალი ტარიელის ძე არევაძე, ხელვაჩაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მიერ საპყრობილეში მოთავსებულნი არიან 1 თვისა და 4 დღის დაგვიანებით, პატიმარი რამაზ რეზოს ძე დიასამიძე 1 თვისა და 2 დღის დაგვიანებით. ჩოხატაურის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან პატიმარი ომარ აგაბოს ძე თვალბეიშვილი საპყრობილეში მოთავსებულია 76 დღის, თენგიზ ალისულთანის ძე გორგაძე 53 დღის, ხოლო თეიმურაზ ელდარის ძე გორგოძე 32 დღის დაგვიანებით და ა. შ.

სახალხო დამცველის რეკომენდაციების თანახმად, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგიაზე.

პროკურორის მიერ კოლეგიისადმი წარდგენილი ცნობიდან ირკვევა, რომ საპყრობილეებში სხეულის დაზიანებით მოთავსებულ პირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო დაკავებამდე, აგრეთვე კიბეებიდან გადმოვარდნით, პოლიციასთან წინააღმდეგობის გაწევის დროს, მათი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული უყურადღებობით, სართულებიდან გადმოხტომის შედეგად და ა. შ. ცნობაში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიციელთა მხრიდან პატიმრების ცემისა და წამების დადასტურება შეუძლებელი ხდება ამ უკანასკნელთა მიერ ჩვენების შემდგომში შეცვლის გამო.

ის გარემოება, რომ პროკურატურის ორგანოების მიერ, უმეტეს

შემთხვევებში, ვერ დასტურდება პოლიციელთა მიერ დაკავებულთა და ბრალდებულთა ცემისა და წამების ფაქტები, გამოწვეულია იმით, რომ მათი მხრიდან არ წარმოებს დაკავებულთა მოთავსების ადგილების სისტემატური და ობიექტური შემოწმება. პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებსა თუ წინასწარი მოთავსების იზოლატორებში სხეულის დაზიანების მიყენების მომენტში არ ხდება პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება და მათგან ჩვენების ჩამორთმევა. როგორც წესი, პროკურორები წინასწარი დაკავების ადმინისტრაციისაგან, დაზარალებულთა ნაცემ ან ნაწამებ მდგომარეობაში მოთავსების დროს, არ ითხოვენ შესაბამისი ოქმების შედგენასა და პროკურორებისათვის მის დაუყოვნებლივ გადაცემას, რის გამოც შემდგომში იქმნება შესაძლებლობა, პოლიციელთა მხრიდან ზეწოლისა და მუქარის სისრულეში მოყვანის შიშით, დაზარალებულებმა მიუთითონ სხეულის დაზიანების სხვადასხვა გამოგონილ მიზეზებზე, რომელთა შემოწმება მისი დაგვიანებით ჩატარებისა და დაზიანების ხანდაზმულობის გამო, უმეტეს შემთხვევაში, არ ხერხდება.

არცთუ იშვიათია, როცა ჩემს შეტყობინებებზე ვიღებ პასუხს, რომ სასამართლოში საქმის საბრალდებულო დასკვნით გადაგზავნასთან დაკავშირებით, პროკურატურის ორგანოებს არ გააჩნიათ სათანადო შემოწმების ჩატარების უფლებამოსილება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ მიერ დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა სხეულის დაზიანების გამომწვევი მიზეზების არადროული რეაგირების შემთხვევებზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სხეულის დაზიანებებითა და ვადების დარღვევით პატიმართა საპყრობილეში მოთავსების ნამდვილი მიზეზების დადგენის თაობაზე სათანადო შემოწმების ჩაუტარებლობის შემთხვევაში, ამა თუ იმ პატიმრის ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე დაუშვებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში იგი მიღებულად ითვლება კანონის დადგენილი წესების დარღვევით.

ყოველი ისეთი შემთხვევის გამო, როცა დადასტურებული იქნება სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით ან კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით პატიმართა საპყრობილეში მოთავსება, ამასთან, მათ გამომწვევ მიზეზებზე მანამდე არ იქნება ჩატარებული წინასწარი შემოწმება, უნდა იქნას განხილული შესაბამისი შინაგან საქმეთა რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელთა და

პროკურორთა პასუხისმგებლობის საკითხი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სრულიად მიუღებლად მიმაჩნია საპყრობილეში პატიმართა დაგვიანებით მოთავსების თაობაზე შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოების განმარტებები, რომლებითაც ეს დარღვევები ახსნილია მწირი მატერიალურ-ფინანსური და სატრანსპორტო საშუალებათა მომარაგებით. კანონის დარღვევა, რა მიზეზებითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, გაუმართლებელი და დაუშვებელია.

რაც მთავარია, იმას, რომ დაკავებული ადამიანი არ ცემო და არ აწამო, არანაირი დაფინანსება, ტრანსპორტი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ ესაჭიროება.

ეროვნული წარმომავლობის ნიშნით ეროვნული ზარაფხანის მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსის თანამდებობიდან ზ. დევიძის გათავისუფლების შესახებ

2001 წლის ივლისში განცხადებით მომმართა ქ. თბილისში, მეუნარგიას ქ. №21-ში მცხოვრებმა, ვილენ კოკოევმა, მისი შვილის ზ. დევიძის ოსური წარმომავლობის გამო სამსახურიდან დათხოვნისა და ეროვნული ზარაფხანის მომარაგება-გასაღების განყოფილების გამოთავისუფლებულ ადგილზე *ფინანსთა მინისტრის ბიძაშვილის ნოდარ (დათო) ნოდაიდელის* დანიშვნის შესახებ. როგორც განმცხადებლები მიუთითებენ, ამ საკითხზე ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესის დროს, *ეროვნული ზარაფხანის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ* მიაყენა რა შეურაცხყოფა და მორალური ტკივილი, საჯაროდ, გარშემო მყოფ პირთა თანდასწრებით განაცხადა, რომ ქარხანაში "კოკოევს, თარაევს, ოსებს, სომხებსა და აფხაზებს არ ამუშავებდა". აღნიშნული გარემოება წერილობით დაადასტურეს ქ. თბილისში, ლიბანის ქ. №10-ში მცხოვრებმა გოჩა გელაშვილმა და ადვოკატმა გ. ძიგუამ.

განმცხადებელთა მოსაზრებით, დ. ლორთქიფანიძის ასეთი თავშეუკავებლობა და თანამშრომელთა პიროვნული შეურაცხყოფა განპირობებულია ამ უკანასკნელის ზემდგომი თანამდებობის პირთან, *ფინანსთა მინისტრ ზურაბ ნოდაიდელთან ნათესაური კავშირით, რომლის ბიძაშვილი ეკა ამაღლობელი ცოლად ჰყავს*

ეროვნული ზარაფხანის დირექტორს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 2001 წლის 25 ივლისს №633/03/642 რეკომენდაციით მივმართე ფინანსთა მინისტრს, რომელმაც ჩემთვის გადმოგზავნილ 2001 წლის 7 სექტემბრის №01-01-12/123/440 წერილში უპასუხოდ დატოვა მისი ნათესაური კავშირი ეროვნული ზარაფხანის დირექტორთან. ერთდროულად, აღნიშნული წერილიდან გამოირკვა, რომ ზარაფხანის მომარაგება-გასაღების განყოფილების უფროსის მოადგილის გამოთავისუფლებულ ადგილზე ნამდვილად დაინიშნა ნოდარ ნოღაიდელი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ვანის რაიონის გადამამუშავებელ წარმოებაში მუშაობდა დავით ლორთქიფანიძესთან ერთად.

ფაქტობრივად, მითითებულ ფაქტზე ფინანსთა მინისტრს არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია.

არასრულწლოვანი პირებით ვაჭრობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში ქვეყნის სამართალდამცველი ორგანოების მიერ დაფიქსირებულ იქნა არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვისა და ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მათი საზღვარგარეთ გაყვანის შემთხვევები.

სახელდობრ, კანადის მოქალაქე ოლგა გორელიკს ბრალი დაედო მასში, რომ მან ორგანიზაცია გაუწია არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვას და სხვა უკანონო გარიგებების განხორციელებას, არაერთგზის ორი და მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად, სხვისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საზღვარგარეთ უკანონოდ გაყვანის გზით, ყალბი დოკუმენტისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამზადებისა და არაერთგზის გამოყენებით.

დასახელებულმა პირმა გარიგების გზით საზღვარგარეთ, კერძოდ, მალტაში მცხოვრებ პატრიკ და მარია ანასტასებზე გააშვილა კასპის რაიონის სოფელ თელიანში მცხოვრები ირმა ბერიაშვილის სამი წლის ვაჟი გიორგი კაციაშვილი, ხოლო ორი ახალშობილი: მარიამ სადიკოვა და კუკური მკრტიჩიანი უკანონოდ, შემდგომში გამოძიებით დაუდგენელ კანადელ მოქალაქეებზე გასაშვილებლად გადამალული ჰყავდა ნაქირავებ ძიძა, ზაირა ძებისაშვილთან. ხსენებული არასრულწლოვანების საზღვარგარეთ გაყვანა ო. გორელიკმა ვერ შეძლო, ვინაიდან აღნიშნული გარემოება ცნობილი გახდა პოლიციის მუშაკებისათვის.

ჩადენილი დანაშაულისათვის გორელიკს წარედგინა ბრალდება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 24-ე მუხლის მე-2, 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 172-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 172-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა", "ბ", "გ", "დ" და "ე" პუნქტებით, 362-ე მუხლის I ნაწილითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" პუნქტებით.

ო. გორელიკთან ერთად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი იქნენ ოლგა სადიკოვა, ირმა ბერიაშვილი, თეიმურაზ მაზმიშვილი, რომან კუჩუბერია, ხოლო საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად 2001 წლის 22 მაისს წარიმართა სასამართლოში.

დასახელებული ბრალდების საქმე განიხილა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ და 2001 წლის 11 დეკემბრის განაჩენით, ოლგა გორელიკს სასჯელის ზომა განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით. გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა სხვა განსასჯელებზეც.

სტრონციუმის გაუვნებელყოფის ღონისძიებათა გაუტარებლობის შედეგად, სხეულის მძიმე დაზიანებათა მიღების შესახებ

1984-1985 წლებში, ხუდონჰესის მშენებლობის რადიოკავშირით უზრუნველსაყოფად მიტანილ ოთხ ბეტონის კონტეინერში მოთავსებული რადიაქტიური ნივთიერება "სტრონციუმ-90", ნაცვლად მისი დადგენილი წესით გაუვნებელყოფისა, დაუცველად იქნა დატოვებული წალენჯიხის რაიონის მთებში.

აღმოჩენილი რადიაციული ელემენტი არის რადიოიზოტოპური წყარო –90, რომელიც შეიცავს სტრონციუმ-90. იგი არის მეტალოკერამიკასთან ერთად ჩამოსხმული და აქვს ცილინდრის ფორმა ზომით 9X11 სმ., გამოიმუშავებს საათში 15 კვტ ენერგიას. სტრონციუმის ბეტა-გამოსხივება სითბოს გამოყოფით გარდაიქმნება გამა-რენტგენულ გამოსხივებად, ხოლო სითბო, თავისთავად, გარდაიქმნება ელექტროენერგიად.

სტრონციუმ-90 ერთ საათში ასხივებს 24 ათას რენტგენს, როცა საქართველოში რადიაციის ბუნებრივი ფონი არ აღემატება 8-12 მიკრორენტგენს საათში. მიუხედავად იმისა, რომ *უშიშროებისა და გარემოს დაცვის სამსახურებმა* იცოდნენ წალენჯიხის რაიონში

ამ ნივთიერებათა არსებობის შესახებ, *არანაირი ზომები არ მიიღეს მათ გასაუვნებელყოფად.*

2001 წლის 3 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის მცხოვრებნი: ე. ძაძამია, ტ. მარღია და მიქავა შეეცადნენ ამ ნივთიერების გადმოზიდვას, რა დროსაც მიიღეს სხეულის მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები და დღემდე ისინი თბილისში, ჰემატოლოგიის ინსტიტუტში არიან მოთავსებულები სამკურნალოდ.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, 2002 წლის 4 იანვარს, წალენჯიხის რაიონის პროკურატურის მიერ, ერთი თვის შემდეგ მათი გამოვლენიდან, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ 230-ე მუხლის II ნაწილით. ამასთან, დღემდე არ არის გადაწყვეტილი იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა უმოქმედობამაც გამოიწვია მძიმე შედეგები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნაკლებსარწმუნოა გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის განმარტება, რომ დასახელებული რადიაქტიული ნივთიერება აღარ იძლევა გამა-რენტგენულ გამოსხივებას 200 მ-ის დაშორებით და უარყოფითად არ მოქმედებს რადიაციულ ფონზე.

საკითხის პროფესიულ დონეზე გადასაჭრელად, ვფიქრობ, საჭირო იქნება კომპეტენტური სპეციალისტების, მათ შორის, უცხოელთა მოწვევა გამოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად.

ჰუმანიტარულ ასოციაცია „კათარზისის“ საქმე

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას პირადი დავალებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. სიგუას 1991 წლის 21 იანვრის №21-გ განკარგულების საფუძველზე, ჰუმანიტარულ ასოციაცია "კათარზისს" სათნოების სახლის განსათავსებლად ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა დავით აღმაშენებლის გამზირზე №121-ში მდებარე შენობა. ამ შენობის მთლიანად გადაცემა ასოციაცია "კათარზისისათვის" კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. გუგუშვილის 1991 წლის 30 სექტემბრის №743/6 წერილით ქ. თბილისის მერიისადმი.

1993 წლის 13 აგვისტოს თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა მიიღო №15.03.118 დადგენილება, რომლის მე-5 პუნქტში აღნიშნულია: "ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა

კაბინეტს, გააუქმოს თავისი 1991 წლის 21 იანვრის №21-გ განკარგულება ქ. თბილისის დიდუბის რაისაბჭოს აღმასკომის ბალანსზე მყოფი შენობის – დავით აღმაშენებლის გამზ. №121-ის სრულიად საქართველოს ჰუმანიტარულ ასოციაცია "კათარზისზე" გადაცემის შესახებ". ამ პუნქტს მოსდევს მე-6 პუნქტი, რომელშიც მითითებულია: "გადაეცეს ასოციაცია "კათარზისს" ფლობისა და სარგებლობის უფლებით ყოფილი საქართველოს კომპარტიის დიდუბის რაიკომის შენობა დ. აღმაშენებლის გამზ. №121 რესპუბლიკური სათნოების სახლის განსათავსებლად".

როგორც ვხედავთ, ეს ორი პუნქტი რადიკალურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თუკი მე-5 პუნქტით *მუნიციპალიტეტის პრემიერი გ. ცაგარელი* სთხოვს მინისტრთა კაბინეტს, გააუქმოს ასევე მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის განკარგულება, მე-6 პუნქტით მუნიციპალიტეტი არ ელოდება რა მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებას, თვითნებურად ცვლის უმაღლესი აღმასრულებლი ხელისუფლების განკარგულებას, როდესაც "კათარზისისათვის" მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით საკუთრებაში გადაცემულ შენობას მუნიციპალიტეტი უკანონოდ ისაკუთრებს.

1995 წლის 20 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა გამოსცა №487 ბრძანებულება, რომლის I პუნქტში აღნიშნულია: "გადაეცეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში: – თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ადმინისტრაციული და სხვა შენობა-ნაგებობები მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად (გარდა იმ შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც განლაგებულია უშუალოდ საწარმოების ტერიტორიაზე); ყველა შენობა-ნაგებობა და არასაცხოვრებელი ფართობი, რომლებიც წინა წლებში ადგილობრივი მმართველობის ბალანსიდან გადაეცა სხვა ორგანიზაციებს".

ამ ბრძანებულების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა 1996 წლის 30 იანვარს მიიღო №02.92.150 დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისის უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის საქალაქო კომისიის 1996 წლის 23 იანვრის №1 ოქმი, რომლის მიხედვითაც მიღებულ იქნა დიდუბის რაიონის გამგეობის წინადადება და დ. აღმაშენებლის გამზ. №121-ში მდებარე შენობა აყვანილ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და გადაეცა ბალანსზე მერიის მთავარ სამეურნეო სამმართველოს დიდუბის რაიონის გამგეობის აპარატის განსათავსებლად.

ამ დადგენილების მიღებით მუნიციპალიტეტმა დაარღვია საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 13 დეკემბრის №19

62

ბრძანებულება, რომლითაც შეტანილ იქნა სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის №487 ბრძანებულების პირველ პუნქტში შემდეგი დამატება: "ყოველივე ეს არ ვრცელდება კულტურის, განათლების, საგამომცემლო საქმის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის იმ დაწესებულებებზე, რომლებიც არ შედიან მუნიციპალიტეტის უშუალო დაქვემდებარებაში".

საყოველთაოდ ცნობილია და ასოციაცია "კათარზისის" წესდებით დამტკიცებულია, რომ ჰუმანიტარული ასოციაცია "კათარზისის" სათნოების სახლი ახორციელებს კულტურულ, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალურ ფუნქციებს. კერძოდ: დ. აღმაშენებლის №121-ში განლაგებულ სათნოების სახლში ფუნქციონირებს: უფასო აფთიაქი, სამედიცინო შემოწმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები, ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური სადღეღამისო ნდობის ორი ტელეფონით, საქართველოს ანტიშიდსის საზოგადოება, ინვალიდთა თეატრი, მომღერალთა გუნდი "ხანდაზმული", ვოკალური წრე, ბიბლიოთეკა, საგამოფენო დარბაზი. სათნოების სახლში გამოსაცემად მზადდება გაზეთები, ბუკლეტები, ბროშურები, პროსპექტები, პლაკატები, ანტიშიდსის საპროპაგანდო სხვადასხვა ლიტერატურა. სათნოების სახლში სისტემატურად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები ხანდაზმულთა და ინვალიდთა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში შესაბამისი პრიზებითა და ფულადი პრემიებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სათნოების სახლში ფუნქციონირებს სასადილო, საპარიკმახერო, აბანო, ინვალიდთა და სოციალურად დაუცველ სხვა ადამიანთა დასაქმების სამსახური, მეორადი ტანსაცმლის მიღება-განაწილების პუნქტი, მარტოხელა ხანდაზმულთა თავშესაფარი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ყველა ეს სამსახური უფასოდ ემსახურება ინვალიდებს და სოციალურად დაუცველ ფენებს.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, ასოციაცია "კათარზისთან" არსებული სათნოების სახლი სავსებით აკმაყოფილებს საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 13 დეკემბრის №19 ბრძანებულების მოთხოვნებს, ვინაიდან სათნოების სახლი ერთდროულად არის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, საგამომცემლო საქმისა და სპორტის ის დაწესებულება, რომელიც აგერ უკვე თერთმეტი წელია, უანგაროდ ემსახურება ყველაზე გაჭირვებულ და დაუცველ ადამიანებს.

როგორც ზემოთ ითქვა, მერიის პუნიციპალიტეტის 1996 წლის 30 იანვრის №02.92.150 დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს

პრეზიდენტის 1995 წლის 13 დეკემბრის №19 ბრძანებულებას, ამიტომ "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 24-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე, მერიის დადგენილება მიღების დღიდან ითვლება ბათილად. ჩემი აზრით, შესასრულებელია მხოლოდ ის ფორმალობა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ ძალადაკარგულად გამოაცხადოს 1996 წლის 30 იანვრის დადგენილება და სათნოების სახლი დატოვოს ასოციაცია "კათარზისის", როგორც ერთადერთი კანონიერი მესაკუთრის ბალანსზე.

ამის თაობაზე უკვე მივმართე ქალაქის მერს, ბატონ ვ. ზოდელავას სათანადო რეკომენდაციით.

ზ. ზეინკლიშვილის საქმე

2001 წლის 18 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატს მომართა მოქ. ზ. ზეინკლიშვილმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი საქონლის ქურდობის ფაქტზე ხშირად აკითხავდა *ადიგენის რაიონის პოლიციას*, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ პოლიციელები ხელს აფარებდნენ დამნაშავეებს. ერთ-ერთი ასეთი მიმართვის დროს ზეინკლიშვილმა განუცხადა პოლიციელებს, რომ იგი იძულებული იქნებოდა მიემართა ზემდგომი ორგანოებისათვის, რაზედაც *პოლიციელებმა: თუმანიშვილმა და აკოფაშვილმა* ზეინკლიშვილი შეიყვანეს სამორიგეო ოთახში და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შედეგადაც მან მიიღო ტვინის შერყევა.

ამ ფაქტზე ზეინკლიშვილმა საჩივარი შეიტანა *სამცხე-ჯავახეთის შს სამმართველოში (უფროსი სხვიტორიძე, მოადგილე მაისურაძე)*, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მან საჩივარი შეიტანა *ადიგენის რაიონის პროკურატურაში (პროკურორი ო. გოგოლაძე, გამომძიებელი მურმანიშვილი)*, მაგრამ როგორც ზეინკლიშვილი აცხადებს, მურმანიშვილმა მას აცნობა, რომ იგი საქმეს არ აღძრავდა. ამის შემდეგ ზეინკლიშვილმა მიმართა *სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორს ი. ბრეგაძეს*, რომელმაც საქმე დააბრუნა ადიგენის პროკურატურაში გამოსაძიებლად, თანაც დაჰპირდა მას, რომ საქმე გადაეცემოდა სასამართლოს.

განმცხადებელი სახალხო დამცველისაგან ითხოვდა დახმარებას, რათა დროულად და ობიექტურად გამოძიებულიყო მისი ცემის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

სახალხო დამცველის ხელმოწერით 2001 წლის 1 ნოემბერს განცხადება რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურორს, საიდანაც 2001 წლის 5 დეკემბერს მივიღე

პასუხი, რომ 2001 წლის 10 ოქტომბერს ადიგენის რაიონის პროკურატურაში ზ. ზეინკლიშვილის ცემის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ იქნა საქმის შეწყვეტის დადგენილება, ხოლო 2001 წლის 14 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურამ გააუქმა შეწყვეტის დადგენილება და განაახლა გამოძიება. რაც შეეხება *პოლიციელებს: თ. აკოფაშვილსა და ი. თუმანიშვილს, ისინი დათხოვნილ იქნენ პოლიციის ორგანოებიდან.*

თავი VII. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

სტრატეგიის დეპარტამენტი

აღნიშნული დეპარტამენტი რეორგანიზაციის შედეგად სახალხო დამცველის აპარატში შექმნილი ახალი სამსახურია, რომელსაც, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აპარატის საქმიანობისთვის.

დეპარტამენტი ამზადებს საპარლამენტო ანგარიშებს, სპეციალურ მოხსენებებს, შენიშვნებს კანონმდებლობაზე, აკეთებს აპარატის პროექტებისა და საერთაშორისო პროგრამების სამართლებრივ ექსპერტიზას, მანვე უნდა შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ საკითხებზე.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში მომზადდა:

· საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით აპარატის რეორგანიზაციის სრული პაკეტი (მ. შ. აპარატის

და დეპარტამენტების დებულებები, აპარატის შინაგანაწესი, საქმის წარმოების ფორმები და სხვ.);

· გასული წლის I ნახევრისა და წინამდებარე საპარლამენტო ანგარიში;

· განხილულ იქნა 84 კანონპროექტი;

· მომზადდა "საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა გაძევების წესის შესახებ" კანონის პროექტის ახალი რედაქცია, რომელიც უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება განსახილველად.

ამასთან აღვნიშნავ, რომ მთელ ამ სამუშაოს სულ 5 კაცი ასრულებს. როგორც ხედავთ, დიდი სამუშაოა ჩატარებული, მაგრამ გასაკეთებელი – უფრო მეტი.

აქ, რა თქმა უნდა, ისევ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტის ფორმირების გათვალისწინებული ნორმების დარღვევებს მივადგებით. კერძოდ, ჩვენი მოთხოვნა 60 საშტატო ერთეულის გამოყოფაზე, რეალურად 44 ერთეულამდე იქნა დაყვანილი. ამგვარი მდგომარეობა ართულებს კვალიფიციური კადრების მოზიდვას.

ამ მდგომარეობიდანაც გამოსავალი ისევ საერთაშორისო

ექსპერტების რეკომენდაციების დახმარებით მოხდა. მათ შემოგვთავაზეს, დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მის სტრუქტურაში შექმნილიყო სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულების მქონე ცენტრები, სადაც დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად მოწვეული სპეციალისტები (ექსპერტები) იმუშავებდნენ.

დღეისათვის დეპარტამენტის ბაზაზე ფუნქციონირებს:

· ბავშვთა უფლებების ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, ბავშვებისა და მოზარდების საზოგადოებრივ საქმიანობაში, დებატებში, საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა (UNICEF-ის ტექნიკური მხარდაჭერით);

· ქალთა უფლებების დაცვის ცენტრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებაში მათი სტატუსის ამაღლებას;

· რელიგიის ცენტრი, რომლის მთავარი ამოცანაა, განახორციელოს "ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ" ევროპის კონვენციის მე-9 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციისა და სახალხო დამცველის შესახებ კანონის შესაბამისად, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები;

· საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები;

· სამხედრო პირთა უფლებების დაცვის ცენტრი, რომლის ძირითადი მიზანია სამხედროთა უფლებების პოპულარიზაცია, შიდა საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება და სამხედროთა უფლებების დაცვის სფეროში სათანადო სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებული მუშაობა.

ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველოსთან" თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაქმნელად, რომლის ძირითადი მიზანია ქალთა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის ახალი პრაქტიკის დანერგვა, ქსელური, კოორდინირებული და ინტეგრირებული მუშაობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთიანი საინფორმაციო ბანკისა და მაკოორდინირებელი ცენტრის შესაქმნელად.

დაგეგმილია ასევე ანტიტრეფიკინგული და მუდმივმოქმედი საკანონმდებლო ცენტრების შექმნა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრატეგიის დეპარტამენტის ბავშვის უფლებათა ცენტრის მიერ გაწეული სამუშაო

სახალხო დამცველის აპარატში ბავშვის უფლებების ცენტრის შექმნის ერთი წლის გადასახედიდან თავს მოვალედ ვთვლი, გულისწყრომით აღვნიშნო, რომ ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი ჯეშმარიტი ინტერესების რეალიზება კელავ მიუწვდომელ ოცნებად რჩება. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ანალიზი ცხადყოფს, რომ შექმნილ ვითარებაში აუცილებელია საკითხებისადმი ახლებური მიდგომა და თამამი, არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ სანამ ხელისუფლება არ გადაეჩვევა უსახსრობის მომიზეზებას და ჯეროვნად არ გააცნობიერებს მომავალი თაობისათვის გაღებული თითოეული თეთრის მნიშვნელობას, ამ მიმართებით ყოველგვარი მსჯელობა თუ წამოწყება მხოლოდ უსასრულოდ გადადებულ პროექტად დარჩება.

საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფოს დროებითი ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები არ ათავისუფლებს მას ბავშვთა უფლებების დაცვის მოვალეობისაგან. თითოეული ჩვენთაგანის ადამიანური მოვალეობაა, უზრუნველვყოთ ბავშვების გაძლიერებული დაცვა და შევებრძოლოთ მათი უფლებების დარღვევის წარმომშვებ მიზეზებს. პრობლემის გადაწყვეტის ახლებული მიდგომის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის მეშვეობით 2001 წლის ოქტომბერში პარიზში გამართულ ბავშვთა ომბუდსმენების ქსელის წლიურ შეხვედრაზე დამკვირვებლის სტატუსით დასწრებამ.

აღნიშნული ქსელი წარმოადგენს მსოფლიოს 32 ქვეყნის ბავშვთა ომბუდსმენების დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაერთიანებას, რომელშიც 2001 წლის 16 ნოემბერს ჩვენი ქვეყანა ერთხმად იქნა გაწევრიანებული.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაბიჯით საქართველოს მომავალი თაობისათვის მართლაც საშვილიშვილო საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის დეფიციტი საგრძნობლად

ართულებს ქვეყანაში არსებული საერთო სურათის რეალურ აღქმას, გადასაწყვეტი პრობლემების, მიმართულებების ობიექტურ გადანაწილებას.

ამ მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების ცენტრში შეიქმნა სახელისუფლო და არასამთავრობო ორგანიზაციათა, რეგიონული წარმომადგენლობებისაგან მიღებული მონაცემების საინფორმაციო ბანკი და ხდება ინფორმაციის რეგულარული განახლება. თავი მოეყარა ყველა იმ გამოკვლევას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოძიებულ მასალებს, კვლევებს. შეგროვილი მასალის ანალიზმა საფუძველი დაუდო სამომავლო ღონისძიებათა სტრატეგიას.

მჭიდრო თანამშრომლობის პრინციპებზე დამკვიდრდა საქმიანი ურთიერთობები ბავშვთა და მოზარდთა საკითხებზე მომუშავე სახელისუფლო სტრუქტურებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიასთან.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სისტემატურად იმართება სამუშაო შეხვედრები ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, რათა ერთობლივი ძალისხმევით რეალურად და ეფექტურად იქნას დაცული ბავშვთა და მოზარდთა უფლებები. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, შემუშავდა დებულება, რომლითაც განისაზღვრა მისი სტრუქტურა, ორგანიზაციისა და მუშაობის წესი.

ცენტრში ფუნქციონირებს ე.წ. "ნდობის ტელეფონი", რომელიც იძლევა პრობლემების აღნუსხვის, მიზეზების შესწავლის, სათანადო რეაგირებისა და, რაც ყველაზე მთავარია, მოქალაქეთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და იურიდიული კონსულტაციების შესაძლებლობას.

ბავშვთა და მოზარდთა მიერ უფლებებისა და მოვალეობების სწავლისა და გათავისების, აზრის გამოთქმის უნარისა და მათი შეხედულებებისადმი პატივისცემით მოპყრობის თვალსაზრისით, ცენტრის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით, ქ. თბილისის მთაწმინდა–კრწანისის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არჩევითობის პრინციპით ჩამოყალიბდა მოსწავლეთა საბჭოები. ამ წამოწყებას ექსპერიმენტის სახე აქვს, მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ის გაამართლებს და დამკვიდრდება ქვეყნის არასრულ და საშუალო განათლების სისტემაში. ამ მიზნის

განხორციელებისათვის მომზადდა ახალგაზრდა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც ერთობლივად იმუშავებს საბჭოს წევრებთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 2 მარტის №80 ბრძანებულებით დამტკიცდა "არასრულწლოვანთა დაცვის, განვითარებისა და საზოგადოებასთან ადაპტაციის" სახელმწიფო პროგრამა, ამ კატეგორიის მიერ ჩადენილი დანაშაულობათა ხვედრითი წილი რეგისტრირებულ დანაშაულებებში შეადგენს თითქმის 5%-ს. განსაკუთრებით საგანგაშოა ჯგუფურ დანაშაულთა ზრდის ტენდენცია. 2001 წლის განმავლობაში გამოვლენილია 5 141 სამართალდამრღვევი მოზარდი, მათი უმრავლესობა რამდენჯერმე იყო მოთავსებული არასრულწლოვანთა მიმღებ-გამანაწილებელში, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მოქმედი არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ფორმალურად მუშაობენ.

ჩვენს მიერ სამტრედიის სპეც. სკოლის მონახულების შედეგად აღმოჩნდა, რომ იქ მდგომარეობა სავალალო იყო. სკოლის შენობა-ნაგებობს ესაჭიროებოდა კაპიტალური შეკეთება, ინვენტარი, სასკოლო ნივთები, აუცილებელი აპარატურა, სკოლა განიცდიდა მედიკამენტების ნაკლებობას.

სამტრედიაში მყოფ ბავშვთა უმრავლესობას ჰქონდა ენურეზი, რაც მათ ცუდ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მიუთითებს. არ ტარდებოდა სხვა დაავადებების კომპლექსური შემოწმება. უკიდურესად დაბალი იყო იქ მყოფ ბავშვთა როგორც ფიზიკური, ასევე ინტელექტუალური განვითარების დონე, სათანადო ყურადღების გარეშე იყო დატოვებული აღმზრდელობითი პროცესი.

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის უფლებამოსილების ფარგლებში, რეკომენდაციის სახით მივმართე საქართველოს განათლების მინისტრს, რათა მოეხდინა ქმედითი რეაგირება სპეც. სკოლაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პასუხად განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ბატონი ვ. სანაძე 2001 წლის №01-16-03/1753 წერილით გვარწმუნებდა, რომ არასრულწლოვანთა საქმეების სამთავრობო კომისია განათლების სამინისტროსთან ერთად ყველა ღონეს იხმარდა სამტრედიის სპეც. სასწავლებლის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენისათვის, მაგრამ, როგორც გაირკვა, სამინისტროს დახმარება შემოიფარგლა სახურავის, ფასადისა და სამსართულიანი შენობის ერთი სართულის შეკეთებით.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა აფერხებს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებას.

სწრაფი რეაგირების ჯგუფი

წინა ანგარიშში განხილული იყო აპარატში განხორციელებული რეორგანიზაცია ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რეორგანიზაციის დროს გათვალისწინებულ იქნა გენდერული ფაქტორი, კერძოდ, ოთხი დეპარტამენტის უფროსიდან ორი ქალი და ორი მამაკაცია), განუხორციელებელი რჩებოდა ერთი და, შეიძლება ითქვას, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიცაა სწრაფი რეაგირების ჯგუფი.

სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშში განხილული იყო აპარატის ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რეორგანიზაციის ჩატარებისას მისი გენდერული ფაქტორი, როგორიცაა "სწრაფი რეაგირების ჯგუფის" მუშაობა, განუხორციელებელი რჩებოდა.

"სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, იგი დამოუკიდებლად ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, პირადად ხვდება და ესაუბრება დაკავებულებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ და მსჯავრდებულებს; ამოწმებს აღნიშნულ დაწესებულებაში მათი ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით, სახალხო დამცველის მოქმედების დამოუკიდებლობა მაქსიმუმამდეა აყვანილი, დამოკიდებულება სხვა უწყებებზე კი მინიმალურია, რაც ნამდვილად არ შეიძლება ითქვას ფინანსთა სამინისტროს პოზიციაზე სახალხო დამცველის აპარატთან მიმართებაში, მხედველობაში მაქვს დასახელებული უწყების მხრიდან სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების სისტემატური დარღვევა. სწორედ ამის გამო აქამდე ვერ მოხერხდა არა მარტო სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნა, არამედ უამრავი სხვა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის შესრულება (ამაზე უფრო დაწვრილებით სხვა თავში, კერძოდ "საერთაშორისო ურთიერთობებში" იქნება ლაპარაკი).

რაც შეეხება "სწრაფი რეაგირების ჯგუფის" პროექტს, იგი ხორციელდება 2001 წლის დეკემბრიდან 2002 წლის ივნისამდე.

აღნიშნული პროექტი დააფინანსა ევროს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR), როგორც ნაწილი წამების საწინააღმდეგო პროგრამისა, რის გამოც გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის მადლობით მინდა მოვიხსენიო ქ-ნი პასკალ რუსი – ადამიანურ განზომილებათა ოფისის ხელმძღვანელი .და ქ-ნი ევგენია ავეტისოვა – მთავარი ასისტენტი სამართლებრივ დარგში. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) აქტიური მხარდაჭერა პროექტის საქმიანობის მიმართ, რომელიც საშუალებას იძლევა, მის მიერ დაფინანსებული საგაზეთო გვერდები და ინტერნეტის ვებ-გვერდი გამოყენებულ იქნას ჯგუფის მიერ მოპოვებული მასალების გამოსაქვეყნებლად.

პროექტის ოფიციალური წარდგენა განხორციელდა გასული წლის 17 დეკემბერს სახალხო დამცველის ოფისში გამართულ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ევროს მისიის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლები.

აღნიშნული პროექტის თემატიკა განპირობებულია იმ რეალობით, რომ შეტყობინებების მიხედვით, საქართველოში ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებები ირღვევა მისი დაკავების მომენტში და წინასწარი დაკავების პერიოდში. შეტყობინებების მიხედვით, წინასწარი დაკავების კანონიერი ვადები ირღვევა, არ ხდება დაკავებულის შესახებ სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება. ამდენად, აპარატის პილოტ-პროექტი მიზნად ისახავს მონიტორინგის ჩატარებას ორი ტიპის დაწესებულებაში: პირველი – პოლიციის წინასწარი დაკავების ადგილებში (ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის შინაგან საქმეთა სამმართველო), მეორე – სამხედრო კომენდატურასა და ჰაუპტვახტში (თბილისის გარნიზონი). გარდა ამისა, ჯგუფი რეაგირებას ახდენს სატელეფონო შეტყობინებებზე ან/და წერილობით განცხადებებზე, რომელიც ეხება ამ უწყებათა მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობისა და მათთან სადღედამისო დაკავშირების შესახებ გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით პრეს-რელიზების სახით გაზეთებში: "ახალი თაობა", "დილის გაზეთი", "Свободная Грузия", "The Georgian Messenger".

მოსალოდნელია, რომ პროექტი მონიტორინგისა და სახალხო დამცველის კანონიერი ბერკეტების გამოყენებით, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემცირებას.

ვინაიდან ეს ანგარიში მოიცავს მხოლოდ 6 თვის შედეგებს,

რომელიც 2001 წლის 31 დეკემბერს დასრულდება, შესაბამისად, პროექტის მუშაობის მხოლოდ ორკვირიან პერიოდს შევეხები, აღვნიშნავ ყველაზე რეზონანსულ შემთხვევებს.

გასული წლის 21 დეკემბერს ჯგუფში შემოვიდა მოქ. ტერეზა საფაროვას სატელეფონო შეტყობინება, რომელიც *დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის დიდმის განყოფილების მუშაკთა, ამავე რაიონის პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის* მხრიდან უკანონო მოქმედებისგან თავის დასაცავად შველას ითხოვდა. სანამ უშუალოდ 21 დეკემბრის ფაქტს შევეხები, იძულებული ვარ, ცოტა უფრო შორიდან დავიწყო, რათა უკეთ გასაგები გახდეს ამ მოქალაქის მდგომარეობის თითქმის კურიოზამდე მისული ტრაგედია. კერძოდ, აღნიშნულ ფაქტამდე ერთი წლით ადრე, 2001 წლის ოქტომბერში, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით, სადაო ბინის პრივატიზაციის შესახებ 2000 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, რის გამოც *სააღსრულებო დეპარტამენტის თანამშრომელ პ. კაკულიას არ გააჩნდა უფლებამოსილება სასამართლოს გაუქმებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შეჭრილიყო საფაროვების ოჯახში.*

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, *პ. კაკულიას მიმართ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში აღიძრა №020/874 სისხლის სამართლის საქმე. იმავდროულად, საფაროვა იმავე რაიონის პროკურატურის სტაჟიორის ლ. თევზაძის დადგენილებით, ცნობილ იქნა დაზარალებულად. გაკვირვებას იწვევს, რომ 2001 წლის 4 ნოემბერს, იმავე ლ. თევზაძის მიერ, პ. კაკულიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა წარმოებით, ასევე გაუქმდა დადგენილება ტ. საფაროვას დაზარალებულად ცნობის შესახებ. ამავე დროს, ამ უკანასკნელის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 360-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 365-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გათვალისწინებული ცილისწამების, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის, თვითნებობის, აღსრულების მიმართ მუქარისა და სამართალწარმოებისათვის განხორციელებული ხელისშეშლისათვის, რაც ბრალდებულის მიერ მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდ, ვინაიდან მას არც ერთი ხსენებული დანაშაულთაგანი არ ჩაუდენია და საქმეში არ მოიპოვება მისი დამადასტურებელი მტკიცებულებანი.*

უფრო მეტიც, საფაროვა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს პ. კაკულიას, ვინაიდან ამ

უკანასკნელმა სადავო ბინის გარშემო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში არ გაითვალიწინა რა I ჯგუფის ინვალიდის, 74 წლის უსინათლო მამისა და მისი, შიზოფრენიით დაავადებული დის ბინაში ყოფნა, სააღსრულებო დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიაყენა მათ ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ისინი ქალაქის №1 საავადმყოფოში მოხვდნენ.

აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ, როგორც აღინიშნა, თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 4 ოქტომბრის №3ბ/168-2001 განჩინებით გაუქმდა ქ. თბილისში, დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, მე-19 კორპუსში არსებული ბინა №29, პრივატიზაციის შესახებ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის №2/1448-2000 განჩინება და 2000 წლის 23 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე რაიონის სასამართლოს, რის გამოც დღეისათვის ტ. საფაროვას მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით წაყენებული ბრალდების ძალაში დატოვების საფუძველი სამართლიან ეჭვს იწვევს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სრულიად გაუგებარია *დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის გამომძიებელის ხვედელიძის გადაწყვეტილება, 2001 წლის 10 დეკემბერს მიემართა დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოსათვის ტ. საფაროვას, როგორც ბრალდებულის გამომძიებელთან იძულებით მიყვანის შესახებ,* მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ უკანასკნელის განმარტებით, მას კანონის მოთხოვნათა საფუძველზე გამომძიებლის მიერ არ გაგზავნია და, შესაბამისად, არც მიუღია უწყება საგამოძიებო ორგანოში გამოცხადების შესახებ. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ტ. საფაროვას გამომძიებელთან იძულებითი წესით წარდგენის პროცედურა პოლიციის დიღმის განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, რაც გამოიხატა ამ უკანასკნელის სამუშაო ადგილის, საკლასო ოთახის დარბევითა და სხვაგვარი კანონით დაუშვებელი მეთოდებით.

სახალხო დამცველის მიერ გაკეთდა სათანადო რეკომენდაცია *საქართველოს გენერალური პროკურორის, ბ-ნ ნუგზარ გაბრიჩიძის* სახელზე. ამ საკითხზე გენერალური პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ რეკომენდაციაში მითითებულმა ფაქტობრივმა გარემოებებმა ჰპოვეს სათანადო დადასტურება, რის გამოც გამოძიებას მიეცა შესაბამისი ხასიათის მითითებები.

ჯგუფმა ასევე შეისწავლა არასრულწლოვანი მოქ. ვახტანგ მამულიანის საქმე, რომელიც, არასრულწლოვან გიორგი მარსაგიშვილის აღიარებით ჩვენების საფუძველზე, დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა მაღაზია "კოდაკის" გაქურდვის გამო. როგორც მარსაგიშვილის, ისე მამულიანის მიმართ, გამოყენებულ იქნა არაადამიანური, სასტიკი მეთოდები. კერძოდ, მას სასტიკად სცემდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ. გარდა ამისა, მამულიანის პოლიციაში წარდგენა არ იყო გაფორმებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რითაც ხელოვნურად შეიქმნა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან საფუძველი, უარეყოთ მისი დაკავების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის უფლებამოსილების ფარგლებში გაკეთდა *რეკომენდაცია გენერალური პროკურორის სახელზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად ყველა იმ პირთა მიმართ, ვინც ივარაუდებიან აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში (ბუტიკაშვილი, ქოიავა და ადამია).*

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული პირები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან.

2001 31 დეკემბერს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მე-2 განყოფილების მიერ დაკავებულ იქნა მოქალაქეთა ძარცვისათვის ექვსჯერ ნასამართლევი მამუკა კუპრაძე, რომელიც, მიუხედავად ადრე ჩადენილი მძიმე დანაშაულებისა და ოჯახის წევრთა დაჟინებული თხოვნისა, 2002 წლის 3 იანვარს გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოსამართლე ემზარ ბიძინაშვილის მიერ პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან იქნა გათავისუფლებული. ამას საკმაოდ მძიმე შედეგები მოჰყვა. მოქ. კუპრაძე პირდაპირ სასამართლოდან მივიდა მისი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ამ უკანასკნელს და დედამისს მიაყენა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, ხოლო თვითონ, პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, გადაყლაპა ლურსმანი, რის გამოც მოთავსებულ იქნა ქალაქის №2 საავადმყოფოში, სადაც მედპერსონალს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ჩაამტვრია მინები. შემდგომში, საავადმყოფოდან გასვლის შემდეგ, მოახდინა მოქალაქეზე ყაჩაღური თავდასხმა ავტომანქანის გატაცების მიზნით, რის შემდეგაც იგი დაკავებულ იქნა გლდანი-ნაძალადევის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-4 განყოფილების მიერ.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ჩემს მიერ *უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დაყენებულ იქნა*

ე. ბიძინაშვილის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

მიმაჩნია, რომ პროექტის მუშაობის ასეთი ხანმოკლე პერიოდის ანალიზიც კი ადასტურებს მის ეფექტიანობას.

ამას დავუმატებ სულ ახალ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 74-ე სესიაზე, რომელიც მიმდინარეობდა 18 მარტიდან 5 აპრილამდე, განხილულ იქნა საქართველოს მეორე პერიოდული მოხსენება, სადაც დადებით ასპექტებში დასახელებულია სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნა.

ამავე დროს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ პრობლემებს, რომელიც სამართალდამცველთა წინაშე დგას. ესენია: პირველ რიგში, მათი დაბალი სამართლებრივი ცოდნის დონე ადამიანის უფლებათა სფეროში, მძიმე სამუშაო პირობები (უშუქობა, სამორიგეო ტრანსპორტის, საწვავის, რადიოკავშირის, ზამთრის სპეცტანსაცმლის უკმარისობა, დაუფინანსებლობა, როგორც ოფისის ხარჯვით ნაწილში, ისე ხელფასების სიმცირე და მათი სისტემატური დაგვიანება). ცალკე თემაა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი პოლიციელების წლობით "გაყინული" და გაუცემელი ხელფასები.

პროექტი მიმდინარეა და დასრულების შედეგებზე შემდეგ ანგარიშში იქნება საუბარი.

თავი VIII. ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან

საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტს წინამორბედი და ანალოგი არ ჰყოლია, რის გამოც, ბუნებრივია, რომ იგი მისი დაარსების დღიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. საქართველოში აკრედიტებულმა უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა და მზადყოფნა თანამშრომლობისათვის, რამაც შემდგომ სათანადო ნაყოფი გამოიღო.

პირველ რიგში გამოვყოფდი გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), რომლის "სახალხო დამცველის აპარატის განვითარების ხელშეწყობის" 4-წლიანი პროექტი დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საინვესტიციო საბჭოზე და რომლის განხორციელებაც 1999 წლის 1 იანვრიდან დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. პროექტის მიზანია აპარატის ქმედუნარიანობის გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების თვალსაზრისით და ომბუდსმენის ინსტიტუტის პოპულარიზაცია და საზოგადოების განათლება.

სახალხო დამცველის აპარატის დახმარების პროექტის თანამშრომელი სააგენტოებია: შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი (RWI), დანიის ადამიანთა უფლებათა ცენტრი (DCHR), ჰოლანდიის მთავრობა და გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი (UNHCR). მასში მონაწილეობს აგრეთვე საქართველოს მთავრობა, რომლის მხრიდან პროექტთან მიმართებაში ნაკისრი ვალდებულებები (კერძოდ, 100 ათასი აშშ დოლარი) დღემდე შეუსრულებლობა, სერიოზულად უშლის ხელს სხვა თანადამფინანსებელი ფონდებიდან თანხების მოზიდვას და, შესაბამისად, პროექტის სრულყოფილ მუშაობას.

2001 წლის იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო ჰოლანდიის მთავრობის მიერ დაფინანსებულმა საზოგადოების განათლების პროგრამამ, რომელიც ძირითადი პროექტის დარჩენილი კომპონენტების განხორციელების პარალელურად მიმდინარეობდა.

ძირითადი პროექტის დარჩენილ კომპონენტებს ახორციელებდა შვედეთის განვითარების სააგენტო (SIDA) რაულ ვალენბერგის (RWI) ინსტიტუტის მეშვეობით.

საუბარი სწორედ აქედან მინდა დავიწყო, რადგან მათი

აპარატთან მუშაობა სწორედ 2001 წლის 31 დეკემბერს დასრულდა.

მათი მხარდაჭერით და ფინანსური დახმარებით განხორციელდა:

– სახალხო სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა სწავლება ადამიანის უფლებათა სფეროში შვედეთსა და გერმანიაში, ვიადრინასა და ლუნდის უნივერსიტეტებში;

– დაარსდა ადამიანის უფლებათა ბიბლიოთეკა (საინფორმაციო-სადოკუმენტაციო ცენტრი), რომლის წიგნადი ფონდისა და პერიოდიკის მნიშვნელოვანი შევსება მოხდა გასული წლის ზაფხულში (აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათ მიერ გათვალიწინებულ იქნა ენობრივი ბარიერის პრობლემა და წიგნადი ფონდისა და პერიოდიკის შევსება მოხდა ძირითადად ქართული და რუსულენოვანი ლიტერატურით). ახლა ბიბლიოთეკა უკვე მოიცავს, როგორც ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს (მ. შ. უნივერსალურ და რეგიონულ ინსტრუმენტებს), მოხსენებებს, ფუნდამენტურ ნაშრომებს ამ სფეროში, ლექსიკონებს, ასევე მოქმედ კანონმდებლობას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია აპარატისათვის. ბიბლიოთეკა ღია და ხელმისაწვდომია ამ სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის. ამასთან, ბიბლიოთეკა ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო-საძიებო სისტემაში;

– უზრუნველყო სახალხო დამცველის ოფისი საოფისე ტექნიკითა და აღჭურვილობით;

– ინფორმაციის პრაქტიკული მართვისა და ფაილების შენახვის დაგეგმვის, აპარატის მართვის, საქმიანობის, საჩივრების რეგისტრაციისა და საქმის წარმოების ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა აპარატის კომპიუტერული ქსელის სათანადო პროგრამული უზრუნველყოფა;

– ითარგმნა, მომზადდა და გამოიცა ქართულ ენაზე "ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებულის" ორტომეული;

– მასწავლებელთა სწავლება პოლიციის ოფიცერთათვის და სამხედროთათვის განკუთვნილ ინსტიტუტებსა და კოლეჯებში;

– რეგიონული სემინარები პოლიციელთათვის;

– სემინარები პროკურორებისათვის.

აღნიშნული სწავლება ხორციელდებოდა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათი პროექტთან მუშაობა უკვე დასრულებულია, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ შვედეთის საერთაშორისო სააგენტოს (SIDA)

და რაულ ვალენბერგის ინსტიტუტს (RWI), განსაკუთრებით კი, ბ-ნ მაიკლ იოჰანსენს და ქ-ნ შარლოტა ლარსენს, რომელთაც დიდი შრომა გასწიეს აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. თუმცა აქვე დავამატებ, რომ მათთან გვაქვს მუდმივი კავშირი და ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივა.

ზემოაღნიშნული საქმიანობის პარალელურად წარმატებით აგრძელებს მუშაობს ჰოლანდიის პროექტი, კერძოდ:

– გრძელდება ინგლისური ენის შემსწავლელი გაკვეთილები აპარატის თანამშრომელთათვის;

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბატონ რამაზ ხუროძის ხელისშეწყობით და მხარდაჭერით აპარატის თანამშრომლები ინფორმატიკის საფუძვლებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრაზე გადიან კომპიუტერული სწავლების სრულ კურს;

– მიმდინარეობს აპარატის ტექნიკური ბაზის განახლება და მოდიფიკაცია;

– გასული წლის ივნისიდან საქართველოს სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის I არხზე დაიწყო და დღემდე გრძელდება პროექტის ფარგლებში მომზადებული ტელეგადაცემათა ციკლი: "თქვენი უფლებები". თითოეული გადაცემა 20-წუთიანია და მიზნად ისახავს მოსახლეობისათვის მათი ძირითადი უფლებების განმარტებას, პრაქტიკულ ახსნას იმისა, თუ რა და როგორი ფორმით უნდა მიმართონ მათ სახალხო დამცველს. სულ ეთერში გავიდა 12 ტელეგადაცემა. ამის შემდეგ მიმდინარეობს მათი ტირაჟირება და საქართველოს რეგიონების 11 ადგილობრივ საკაბელო ტელეკომპანიებთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე მათი გავრცელება ადგილობრივი საკაბელო არხების მეშვეობით; გარდა ამისა, I არხი განმეორებით უშვებს ამ გადაცემებს ეთერში;

– საქართველოს სახელმწიფო რადიომაუწყებლობის მიერ სულ რადიოეთერში გავიდა 9 გადაცემა. მათი მეშვეობით სახალხო დამცველს საშუალება ეძლევა, პირდაპირი კავშირი დაამყაროს მოსახლეობასთან, მათ კი ყველა გადაცემის მსვლელობისას მოქმედი "ცხელი ხაზის" საშუალებით, ღია რადიოეთერში საინტერესო საკითხებზე მიმართონ სახალხო დამცველს, გამართონ მასთან დიალოგი;

– შეიქმნა და ფუნქციონირებს საგაზეთო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამზადებს მასალებს შვიდი ცენტრალური გაზეთის საგაზეთო გვერდებისათვის (მ.შ. ერთი რუსული და ერთი ინგლისურენოვანი). ასევე, მემორანდუმის საფუძველზე, თვეში

ერთხელ მზადდება სპეციალური გვერდები იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო გაზეთებშიც;

– დაიწყო სახალხო დამცველის კვარტალური ჟურნალის "თქვენი უფლებების" გამოცემა. გამოვიდა ჟურნალის ორი ნომერი და მზადდება გამოსაცემად მესამე ნომერი;

– ფუნქციონირებს სახალხო დამცველის ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის მისამართია: ***http://pdo.gateway.ge.***

– პირველად სახალხო დამცველის აპარატში ჩატარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღის – 10 დეკემბრისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის ფარგლებშიც მოეწყო:

– ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა (მონაწილეობა მიიღო 200 ბავშვმა);

– მრგვალი მაგიდა ჟურნალისტებისათვის;

– ამ დღისადმი მიძღვნილი 2 სემინარი და კონფერენცია;

– სახალხო დამცველის ჟურნალის "თქვენი უფლებების" პირველი და მეორე ნომრის პრეზენტაცია;

– ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებულის ორტომეულის პრეზენტაცია;

– 65 რაიონული საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა საბიბლიოთეკო ქსელი, ამ საქმეში აქტიურ დახმარებას გვიწევდა როგორც ექსპერტებით, ისე კონსულტაციებით, *ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ბატონი ლევან ბერძენიშვილი.* მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო ზემოაღნიშნული კრებულის მომზადებასა და რედაქტირებაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გაეროს განვითარების პროგრამის მიერ, პირადად სახალხო დამცველისთვის გაწეული დახმარება და ხელშეწყობა, რამაც განაპირობა მისი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო დონის ღონისძიებაში. ამან, თავის მხრივ, განამტკიცა ომბუდსმენის საერთაშორისო კონტაქტები, განსაკუთრებით გამოვყოფდი ქ. დურბანში რასიზმის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო ფორუმს, გაეროს უმაღლეს კომისართან შეხვედრას, ომბუდსმენთა შეხვედრას ქ. იოჰანესბურგში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ომბუდსმენთა შეხვედრას.

ამასთან, არ შეიძლება უდიდესი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო მისი აღმატებულება, *ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰარი მოლენარი,* რომლის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით დაიგეგმა უამრავი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების

განხორციელება, რომელთა შედეგებზე უკვე შემდგომ ანგარიშში იქნება საუბარი.

აღნიშნული პროექტი სამთავრობოა, ამიტომ ყოველი წლის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ ეწყობა სამმხრივი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და საქართველოს სახალხო დამცველი. მ/წლის იანვარში მოეწყო აღნიშნული შეხვედრა, რომელსაც პირველად ესწრებოდა პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, *ბ-ნი ლანს კლარკი.* შეხვედრაზე დადებითად შეფასდა განვლილი პერიოდის შედეგები, დაიგეგმა ახალი მიმართულებები, რაც საშუალებას იძლევა, გააქტიურდეს მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაიზარდოს ტელე და რადიოგადაცემების ინტენსივობა. მეტი ყურადღება დაეთმოს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირთა სამართლებრივი დონის ამაღლებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, საქართველოს ყველა რეგიონში შეიქმნას სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლობები, მეტი ყურადღება დაეთმოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აუცილებელი ლიტერატურის, დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის საკითხებს. თუმცაღა, ასეთი მნიშვნელოვანი კომპონენტების შესრულება და, საერთოდ პროექტის მუშაობა, სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგება, თუ საქართველომ არ შეასრულა პროექტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები. აქვე მოვიყვან *გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ქალბატონ მერი რობინსონის* წერილს, რომლითაც მან მიმართა საქართველოს პრეზიდენტს: "განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფისა და დაცვის საქმეში. მოგიწოდებთ, აღმოუჩინოთ სათანადო მხარდაჭერა სახალხო დამცველის აპარატს, რათა ამ უკანასკნელმა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში იმოქმედოს, როგორც ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისა და დაცვის ეფექტურმა მექანიზმმა".

ნამდვილად გულსატკენია, რომ ამ, არცთუ ძვირი დემოკრატიული ინსტიტუტის შენახვას, სახელმწიფო ვერა და ვერ ახერხებს.

და ბოლოს, ვსარგებლობ შემთხვევით და გაეროს განვითარების პროგრამასთან მუშაობის თემა მინდა დავასრულო უდიდესი მადლობით პროგრამის მაშინდელი ხელმძღვანელის, *ბ-ნი მარკო ბორზოტის* მიმართ, იმ უდიდესი ღვაწლისა და

საქმიანობისათვის, რომელიც მან გასწია აპარატთან მიმართებაში. მან ყველაფერი გააკეთა, რათა აპარატი ფეხზე დამდგარიყო, გამხდარიყო არა მარტო ქმედუნარიანი, არამედ მიახლოებოდა საერთაშორისო სტანდარტებს.

აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ კარგი ტრადიცია გრძელდება და პროგრამის ახალი ხელმძღვანელი, ბატონი ლანს კლარკი წარმატებით აგრძელებს დაწყებულ საქმეს და, ამასთან, აქტიურად უჭერს მხარს აპარატის მხრიდან ყველა ახალ წამოწყებას, რისთვისაც მას მადლობას ვუხდი. ჩვენი თანამშრომლობა თავიდანვე ურთიერთგაგებით დაიწყო და, ვფიქრობ, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

უამრავი გეგმა და ახალი მიმართულებებია დასახული, რომელთა წარმატებით განხორციელებაზეც, იმედი მაქვს, რომ უკვე მომავალ საპარლამენტო ანგარიშში იქნება საუბარი.

ეუთო – სახალხო დამცველი სისტემატურად თანამშრომლობს ეუთოს მისიასთან. კერძოდ, ეუთოს დემოკრატიულ ინსტიტუტებისა და ვარშავის ადამიანის უფლებათა ბიუროსთან (OSCE/ODIHR). სწორედ მათი დახმარებით განხორციელდა პროექტი "სწრაფი რეაგირების ჯგუფი" (ამაზე დაწვრილებით "სწრაფი რეაგირების ჯგუფის" თავშია საუბარი);

ევროსაბჭო – ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა გენერალურ დირექტორთან, რომელთანაც 2002 წელს დაგეგმილია მთელი რიგი ღონისძიებების ერთობლივი ჩატარება;

გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ლტოლვილთა კომისარიატი (UNHCR) – გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის ლტოლვილთა კომისარიატთან (UNHCR), რომელმაც დააფინანსა აპარატის სტრატეგიის დეპარტამენტის ბაზაზე შექმნილი საკანონმდებლო ჯგუფის მუშაობა კანონპროექტზე: "საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა გაძევების წესის შესახებ". აღნიშნულ ჯგუფში მუშაობდნენ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ამავე *კომისარიატის იურიდიული განყოფილების უფროსის, ქალბატონ ვალენტინა ცონევას* აქტიური მხარდაჭერა აპარატისათვის არა მარტო ამ კანონპროექტთან მიმართებაში, არამედ სათანადო ლიტერატურის მოწოდებასა და საკონსულტაციო მუშაობაში.

საერთაშორისო ამნისტიასთან თანამშრომლობა სახალხო დამცველის საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მათთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა მსჯავრდადებულთა შეწყალების საკითხზე. ამ ორგანიზაციიდან

სახალხო დამცველი ხშირად იღებს კორესპონდენციებს, სადაც საერთაშორისო ამნისტია სთხოვს მას, ყურადღება გაამახვილოს ადამიანის უფლებათა ამა თუ იმ დარღვევისა თუ უკანონო დაპატიმრების თაობაზე.

ასევე აქტიური კონტაქტები გვაქვს საქართველოში აკრედიტებულ უცხო სახელმწიფოების საელჩოებთან და დიპლომატიურ კორპუსთან: კერძოდ, ნიდერლანდების საელჩოსთან (ამაზე ზემოთ უკვე მქონდა საუბარი), გერმანიისა და ამერიკის საელჩოებთან საქართველოში.

განსაკუთრებული მადლობით მინდა მოვიხსენიო *საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩო და ელჩი, ქნი დებორა ბარნს ჯოუნსი,* რომლის მხარდაჭერით და ფინანსური დახმარებით 2002 წელს მუშაობა დაიწყო ორმა პროექტმა – დახმარება სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლობებისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ჯავახეთის რეგიონებში. მათთან ერთად დაგეგმილია სხვა ღონისძიებების ჩატარებაც.

ამასთან ერთად, სახალხო დამცველი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას საქართველოში მოქმედ ყველა იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ადამიანის უფლებათა სფეროში საქმიანობს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ენიჭება თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა, პირველ რიგში, გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიზაციის მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოების არსებობას. მის ინსტიტუციონალურ საფუძველს ქმნიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მიუთითებენ, ერთი მხრივ, საზოგადოების და, მეორე მხრივ, მოქალაქის მზადყოფნაზე, რომ არ იყოს სახელმწიფოზე დამოკიდებული მისთვის სასიცოცხლო პრობლემების დანახვისა და გადაჭრის გზები.

მოქალაქეთა სასიცოცხლო პრობლემებს შორის ერთ-ერთი ძირითადი იყო და რჩება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, ამ უფლებათა შემლახავი კი სახელმწიფო ინსტიტუტებია. ამიტომაც ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი ქვეყნის ცხოვრებაში განსაკუთრებულია.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით პოსტსაბჭოურ სივრცეში ნაკლებია საზოგადოების აქტივობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს მარტივი ხელშეწყობა და ფაცილიტაცია კი არა, უფრო სტიმულირება

სჭირდებათ. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული სპეციალიზაცია ახასიათებთ და ეს მათი ერთგვარი პლუსია. ამასთან, სახალხო დამცველის კანონით მინიჭებული მანდატი და მისი აპარატის საქმიანობის ფართო არეალი, გამოცდილება და პრაქტიკა, გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან არა მარტო სასურველი და საჭირო, არამედ აუცილებელიცაა. ეს და სხვა ბევრი ფაქტორი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი აქტიური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან არა მარტო სასურველი და საჭირო, არამედ აუცილებელიცაა.

ასეთი თანამშრომლობა დაწყებულია და საკმაოდ მრავალფეროვანია. ის მოიცავს როგორც პროექტებში თანამშრომლობას, მაგ: ერთობლივი შემოწმებები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, განსაკუთრებით წინასწარი დაკავების საკნებში, ლიტერატურის ერთობლივად გამოცემას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მუშაობას საკანონმდებლო წინადადებებზე და სხვ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის მჭიდრო თანამშრომლობისა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ზოგიერთი მათგანის მხრიდან მაინც არსებობს ეჭვი ასეთი თანამშრომლობის მიზანშეწონილობის თაობაზე (ხომ არ იქნება ომბუდსმენი მათი მუშაობის მაკოორდინირებელი?), ან/და ხომ არ თვლის სახალხო დამცველის აპარატი თავს არასამთავრობო ორგანიზაციებზე ზემდგომ სტრუქტურად და სხვ. მიგვაჩნია, რომ ამას უფრო ფსიქოლოგიური და არა კონცეპტუალური ფაქტორები განაპირობებენ. ამიტომაც, დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, მუშაობის ეს სფერო უფრო აქტიური გახდება.

თავი IX. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის წინაშე მდგარი პრობლემები

დღეს, როდესაც ქვეყანაში ადამიანებისათვის გადაუჭრელ პრობლემათა სპექტრი საკმაოდ დიდია, ძნელია, დაარწმუნო ისინი სამართლის ჭეშმარიტებაში ანდა გააგებინო ის, რომ სახალხო დამცველიც მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ჩარჩოებში მოქმედებს და მას არ შესწევს უნარი, შეცვალოს სახელმწიფო ადმინისტრაცია და სასამართლო სისტემა. მას მხოლოდ შეუძლია და ვალდებულიცაა, გავლენა იქონიოს ადმინისტრაციის საქმიანობის გააქტიურებაზე, იბრძოლოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის, რაც პირადად ომბუდსმენისა და მთელი საზოგადოების აქტიური ძალისხმევითა და ურთიერთთანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.

ამიტომ ამ თავში მინდა შევეხო იმ პრობლემებს და შემაფერხებელ ფაქტორებს, რაც ხელს უშლის სახალხო დამცველის აპარატს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებაში. პრობლემები ძირითადად ორი კატეგორიისაა: საკანონმდებლო და ფინანსური. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ თუ სახალხო დამცველი რეალურად მოკლებული იქნება სამართლებრივ ბერკეტებს, განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალება, მაშინ ჩვენი საქმიანობა წინასწარ მარცხისთვის იქნება განწირული, რაც ამ ინსტიტუტის არსებობას ყოველგვარ აზრს უკარგავს. ამიტომ, სასწრაფოდ საჭიროა შეტანილ იქნას მოქმედ კანონმდებლობაში შემდეგი ცვლილებები:

1) უკვე მერამდენე ანგარიშში დგება საკითხი, რათა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში შეტანილ იქნას დამატებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ (მიუხედავად დარღვეული უფლებების გასაჩივრების ვადების გასვლისა), სახალხო დამცველის რეკომენდაციის განხილვის სავალდებულო ხასიათს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა არსებითი დარღვევის, სასამართლო შეცდომის, ახლადაღმოჩენილ და ახლადგამოვლენილ გარემოებათა დადგენის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმების შესახებ;

2) საქართველოს კანონების პროექტების, აგრეთვე

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის პროცესში მონაწილეობის მიღება, რადგან სახალხო დამცველის წინადადებების გაზიარება (რასაკვირველია, სათანადო იურიდიული დასაბუთების შემთხვევაში) მათი განხილვის სტადიაში საზოგადოებისთვის ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვიდრე მიღების შემდგომ მათში ცვლილებების შეტანა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება, რათა ბიუროსათვის განსახილველად წარდგენილ კანონპროექტს თან ერთვოდეს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ამ საკითხზე მომზადებული დასკვნა. ასევე ვაპირებთ დავსვათ საკითხი, რათა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები "აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მაისის №326 ბრძანებულებაში;

3) ზემოთ საუბარი იყო სახალხო დამცველისათვის რეალური ბერკეტების მინიჭებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, უკუპროცესი მიმდინარეობს. ასე მაგალითად, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის მიღების შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სამი მუხლი 206^7, 206^8 და 206^9, რომლებიც აცხადებდნენ დასჯადად სახალხო დამცველის მოთხოვნების შეუსრულებლობას, ზემოქმედებას სახალხო დამცველზე და მის შეურაცხყოფას. დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში დარჩა მხოლოდ ერთი, 352-ე მუხლი – "ზემოქმედება სახალხო დამცველზე". აღარ არის სისხლის სამართლებრივად დასჯადი სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა. ამჟამად ერთადერთი ბერკეტი ადამიანის უფლებათა ასეთი ფართო სპექტრით დამრღვევების წინააღმდეგ არის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^4 მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა, რომელიც 400-დან 1000-ლარამდე მერყეობს, რაც იმ მაღალი თანამდებობების პირებისთვის, რომლებიც იმხილებიან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებში, დიდი ვერაფერი სასჯელია. ამიტომ შემომაქვს წინადადება, აღდგენილ იქნას ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 206^7 მუხლის მოთხოვნა, რათა სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა დასჯადი იყოს სისხლის სამართლის წესით.

დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტის უდიდესი უმრავლესობა დაეთანხმება სახალხო დამცველის მიერ შემოტანილ წინადადებებს, რითაც რეალურ დახმარებას გაგვიწევს ადამიანების უფლებათა დაცვის ამ მნიშვნელოვან საქმეში.

მეორე ჯგუფი ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემებისა არახალია და იდენტურია მრავალი უწყებისა თუ ორგანიზაციის წინაშე მდგარი სირთულეებისა. ეს გახლავთ არასათანადო დაფინასება.

პირადად ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელის ბატონ ზ. ნოღაიდელისადმი არაერთი მიმართვისა და პრეზიდენტის დავალებების მიუხედავად, დღემდე არ გადაწყდა სახალხო დამცველისა და მისი აპარატის სათანადო დაფინანსების საკითხი.

2001 წლის სეკვესტრირებული ბიუჯეტიდან ფინანსთა სამინისტრომ სახალხო დამცველს და მის აპარატს სამეურნეო ხარჯებისათვის განკუთვნილი დაფინანსებიდან დააკლო 48,648 ათ. ლარი – 69,2%.

პარადოქსულია, რომ 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ სახალხო დამცველს და მის აპარატს (44 თანამშრომელს) შრომის ანაზღაურების სახით გამოეყო 56,7 ათასი ლარი. ეს იმ დროს, როდესაც იმავე ბიუჯეტით მინისტრების და მათთან გათანაბრებული თანამდებობის პირთა თითოეული ავტომანქანის დასაფინანსებლად გამოყოფილია წელიწადში 8000 ათასი ლარი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, სახალხო დამცველის 44 თანამშრომლის და 7 მინისტრის ავტომანქანის შენახვა ერთი ფასი უჯდება. როგორც იტყვიან, კომენტარი ნამდვილად ზედმეტია.

2001 წლის საერთო ხარჯების დაფინანსებას ბიუჯეტის სეკვესტრირების შემდეგ უნდა შეედგინა 174,6 ათასი ლარი, ფაქტობრივმა ხარჯებმა შეადგინა 113,444 ათასი ლარი და იგი ძირითადად შეეხო ხელფასს და დამქირავებლიდან ანარიცხებს. ფინანსთა სამინისტროს მხრიდან საქმისადმი ასეთი მიდგომა ნამდვილად არ იძლევა აპარატის სრულყოფილი და ეფექტიანი მუშაობის საშუალებას (თანამშრომელთა მივლინებაში გაგზავნა, კომუნიკაციების, საოფისე, ელექტროენერგიის და სხვა ხარჯები).

განმეორებით მინდა დავაფიქსირო, რომ ირღვევა კანონით გათვალისწინებული ნორმები სახალხო დამცველისა და მისი აპარატის ბიუჯეტის ფორმირების შესახებ. ფინანსთა სამინისტროს საერთოდ არ აინტერესებს სახალხო დამცველის აზრი, როცა პარლამენტს წარუდგენს ბიუჯეტის შემცირების მონაცემებს ჩვენთან შეთანხმების გარეშე, რაც, ვფიქრობ, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების გადამეტებას წარმოადგენს. არადა, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 25-ე მუხლის თანახმად, "საქართველოს სახალხო დამცველისა და მისი სამუშაო აპარატის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით. საქართველოს სახალხო დამცველი წარადგენს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯთაღრიცხვის

პროექტს კანონით განსაზღვრული წესით". აპარატის ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელია ფინანსთა სამინისტროს თანადგომა თუნდაც იმ დაბალი დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვაღწევთ და უარყოფითად ისახება ჩვენს საქმიანობაში კანონით მონიჭებული უფლებების განხორციელებისას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
საქმიანობის 2001 წლის II ნახევრის

სტატისტიკური მონაცემები	საერთო რაოდენ.	%
1. მომართვების და მიღების საერთო რაოდენობა	3918	
2. ზეპირი და წერილობითი განცხადებების რაოდენობა	1267	
- თბილისიდან	816	64,4
3. განცხადებები შინაარსის მიხედვით		
- სისხლის სამართლის საქმის წარმოება (მოკვლევა-გამოძიება)	247	19,5
მათ შორის: უკანონო პატიმრობა	24	1,9
- სამოქალაქო სამართლის საქმის წარმოების თაობაზე	150	11,8
მათ შორის: სასამართლო გადაწყვეტილების არაღსრულებს თაობაზე	50	3,9
- რწმენის თავისუფლების შეზღუდვა	23	1,8
- სამხედრო სამსახურის შესახებ	19	1,5
- ქალთა უფლებები	3	0,2
- ბავშვთა უფლებები	11	0,9
- ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაცია	1	0,1
- პენსიებისა და სოციალური დახმარების საკითხი	173	13,7
- შრომითი უფლებები	154	12,2
- სამინათ პრობლემები	162	12,8
- მიწის დავები	32	2,5
- განათლებისა და კულტურის საკითხები	39	3,1
- სამედიცინო საკითხები	21	1,7
- საბანკო-საფინანსო საკითხები	67	5,3
- მეზობლური კონფლიქტები	12	0,9
- შეწყალების თაობაზე	37	2,9
- სხვა	157	12,4
4. ვის უჩივიან		
- ხელისუფლების ორგანოებს	4	0,3
- მმართველობის ორგანოებს	56	4,4
- სასამართლო ორგანოებს	227	17,9
- თვითმმართველობის ორგანოებს	3	0,2
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს	228	18,0
- პროკურატურის ორგანოებს	72	5,7
- პენიტენციალურ სისტემას	2	0,2
- თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებს	8	0,6
- უმაშროების ორგანოებს	3	0,2
- საგადასახადო ორგანოებს	9	0,7
- ყველა დონის საარჩევნო კომისიას	1	0,1
- ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის ორგანოებს	16	1,3
- სხვადასხვა ინსტანციებს	75	5,9
5. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და შუამდგომლობები	473	37,3
– დადებითად გადაწყვეტილი საქმეები	105	22,1
– არ არის გაზიარებული	103	21,8
– განხილვის სტადიაშია	265	56,1